ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვლადიმერ გრძელიშვილი

ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესი ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაგალითზე

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე

ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი

2023

ანოტაცია

ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესი ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაგალითზე

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი, ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესი ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაგალითზე, მოწოდებულია დაადგინოს ის, თუ რა გავლენას ახდენს ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე. აღნიშნული საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის მიზეზი, რომ სამეცნიერო საზოგადოებაში არ არსებობს მხოლოდ ერთი, ჩამოყალიბებული აზრი იმასთან დაკავშირებით, ქართული პოლიტიკური პარტიების ევროპარტიებში გაერთიანება გავლენას ახდენს თუ არა მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე. ნაშრომი პრაქტიკულ ღირებულებას ატარებს, რადგან ის ყველა იმ მკვლევარს დაეხმარება, რომელიც მოწოდებულია ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების ურთიერთობები შეისწავლოს. კვლევის ამოცანების კუთხით, ყურადღება გამახვილდა იმ აქტივობებზე, რომლებიც საკითხის სიღრმისეულად შესწავლაში დაგვეხმარნენ. მაგალითად, ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის, ინტერპერსონალური კავშირების, ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების ურთიერთობების და საქართველოს პოლიტიკური პარტიების იმ დაბრკოლებების შესწავლა, რომლებიც მათი იდეოლოგიური პროფილის განვითარებას აფერხებენ. სამაგისტრო ნაშრომს თეორიული ჩარჩოს კუთხით ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია ამყარებს, რომელიც ამტკიცებს, რომ ინსტიტუციური ნორმები და წესები აყალიბებენ ეროვნული აქტორების ქცევას. მაგალითად, ევროპარტიები, როგორც ევროპის კავშირის ერთ-ერთი ინსტიტუტის, ევროპარლამენტის შემადგენელი ნაწილნი ცდილობენ ქართული პოლიტიკური პარტიების ქცევები ჩამოაყალიბონ, რათა ისინი საბოლოოდ, ევროპის კავშირში გაწევრიანდნენ. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს

თვისებრივი კვლევის მეთოდები, ხოლო ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების გაერთიანების შესასწავლად გამოყენებულ იქნა ექსპერტული შერჩევა, რომელიც რესპონდენტებისგან სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. აღნიშნული კვლევის ობიექტს წარმოადგენენ ის ექსპერტები, რომლებიც ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების გაერთიანების პროცესს, ამასთანავე, იდეოლოგიური თანხვედრისა და ინტერპერსონალური კავშირების საკითხებს იკვლევენ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის განვითარებაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს, რადგან ქართული პოლიტიკური პარტიები ადგილობრივ დონეზე ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორებიც არის ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონე, პერსონიფიცირების მაღალი მაჩვენებელი და იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის პრობლემა. აქიდან, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაგალითზე, იდეოლოგიური პროფილის განვითარების ინიციატივა სწორედ მათგან უნდა მომდინარეობდეს, რადგან ევროპარტიებს (ევროპის სახალხო პარტია, ევროპის სოციალისტური პარტია) ეროვნული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარების გარდა უამრავი სხვა საკითხი აქვთ მოსაწესრიგებელი. აღნიშნული ნაშრომი სამეცნიერო საზოგადოებაში სიახლეს წარმოადგენს, რადგან ადგილობრივ დონეზე (საქართველო) ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობები კვლევის შედარებით, ახალ სფეროს წარმოადგენს. შესაბამისად, ის სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

საკვანძო სიტყვები: ევროპარტიები, ქართული პოლიტიკური პარტიები, იდეოლოგიური პროფილი, ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპის სახალხო პარტია, ევროპის სოციალისტური პარტია, ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია.

Abstract

The Process of Unification of Georgian Parties in European Parties on the example of Georgian Dream and United National Movement

The present Master's thesis, The Process of Unification of Georgian Parties in European Parties on the example of Georgian Dream and United National Movement, aims to determine the effect of unification of Georgian political parties (Georgian Dream, United National Movement) in European parties and its impact on their ideological profile. The relevance of the mentioned issue is due to the fact that there is not only one, formed opinion in the scientific community regarding whether the unification of Georgian political parties in European parties affects refinement of their ideological profile or not. This work has practical value, as it will help all those researchers who are committed to studying the relations between European and Georgian political parties. In terms of research tasks, attention was focused on those activities that helped us to study the issue in depth. For example, studying the ideology of European and Georgian political parties, interpersonal connections, relations between European and Georgian political parties, and the obstacles of Georgian parties that hinder the development of their ideological profile. In terms of the theoretical framework, the Master's thesis is supported by the theory of New Institutionalism, which claims that institutional norms and rules shape the behavior of national actors. For example, the European parties, as constituent parts of the European Parliament, one of the institutions of the European Union, try to shape the behavior of Georgian political parties so that they eventually join the European Union. The research methodology of the Master's thesis is qualitative research, and to study relations between Georgian and European parties, expert selection was used, which requires special knowledge and experience from the respondents. Research object of the mentioned study is represented by the experts who study the process of unification of Georgian political parties in European parties, as well as the issues of ideological convergence and interpersonal connections. As a result, it was determined that the process of unification of Georgian political parties (Georgian Dream, United National Movement) in the European parties does not have a great impact on the development of their ideological profile,

because Georgian political parties at the local level face such challenges as a low level of institutionalization, a high rate of personification and the problem of clearly defining the ideology. Georgian Dream and United National Movement should develop ideological profiles on their own, because the European parties (European People's Party, Party of European Socialists) have a lot of their issues to settle apart from the development of the ideological profiles of national political parties. The mentioned work is a novelty in the scientific community, because the relations between European and Georgian political parties at the local level (Georgia) represent a new field of research. Therefore, it has not yet been properly studied.

VLADIMER GRDZELISHVILI

Keywords: European parties, Georgian Political Parties, Ideological profile, Georgian Dream, United National Movement, European People's Party, Party of European Socialists, theory of New Institutionalism.

სარჩევი

შესავალი 7

ლიტერატურის მიმოხილვა 18

თეორიული ჩარჩო 31

კვლევის მეთოდოლოგია 33

კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია 35

ნაშრომის სტრუქტურა 44

თავი I - ევროპარტიებში გაერთიანებისთვის საჭირო პროცედურები 46

1.1. ქართული ოცნება და ევროპის სოციალისტური პარტია 54

1.2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპის სახალხო პარტია 64

1.3. ევროპარტიების მოტივები ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის კუთხით 72

1.4. ქართული პოლიტიკური პარტიების მოტივები ევროპარტიებთან თანამშრომლობის კუთხით 80

თავი II - ევროპარტიებში გაერთიანება და მისი გავლენა ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარებაზე 90

2.1. ევროპის სოციალისტური პარტიის პრობლემები 102

2.2. ევროპის სახალხო პარტიის პრობლემები 106

თავი III - ქართული პოლიტიკური პარტიების გამოწვევები ადგილობრივ დონეზე ... 110

3.1. ინსტიტუციონალიზაციის საკითხი 111

3.2. პერსონიფიცირების პრობლემა 118

3.3. იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის საკითხი 124

დასკვნა 130

ბიბლიოგრაფია 136

დანართი #1 142

დანართი #2 143

დანართი #3 144

დანართი #4 145

შესავალი

თანამედროვე ევროპის კავშირის ევროპარლამენტის წევრები პოლიტიკურ ჯგუფებად იყოფიან, მაგრამ ევროპარლამენტში ევროპარტიები ეროვნების მიხედვით კი არა, არამედ პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით არიან ორგანიზებულნი. პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით, ევროპარლამენტში ამჟამად 7 პოლიტიკური ჯგუფია, მათ შორის არის ევროპის სახალხო პარტია და ევროპის სოციალისტური პარტია.

ევროპის სახალხო პარტია (EPP) [1]1976 წლის 8 ივლისს დაარსდა ლუქსემბურგში.[2] ამჟამად, ევროპის სახალხო პარტია წარმოადგენს ევროპარტიას, რომელიც ქრისტიან-დემოკრატიული, კონსერვატიული და ლიბერალ-კონსერვატიული წევრი პარტიებისგან შედგება. ევროპის სახალხო პარტია 1976 წელს ძირითადად ქრისტიან-დემოკრატიული მიმართულების პარტიების მიერ შეიქმნა, მას შემდეგ მისი წევრების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპის სახალხო პარტიის იდეოლოგიისთვის დამახასიათებელია ლიბერალურ-კონსერვატიული და სხვა მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების მქონე პარტიები. ევროპის სახალხო პარტიის მიზანია ევროპელი მოქალაქეების გაერთიანება ლოზუნგით „გაერთიანებული მრავალფეროვნებაში“, კეთილდღეობის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ეკონომიკისა და ინოვაციების განვითარებას, უსაფრთხო და თავისუფალი ევროპის ჩამოყალიბებას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ძლიერი ევროპის კავშირის ჩამოყალიბებას, კლიმატის ცვლილების საკითხის მოგვარებას და სხვა. ევროპის სახალხო პარტია არის ყველაზე დიდი პარტია ევროპარლამენტში 1999 წლიდან და ევროპულ საბჭოში 2002 წლიდან. ქართული პოლიტიკური პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2008 წლიდან არის აფილირებული ევროპის სახალხო პარტიასთან. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ევროპის სახალხო პარტიაში დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსი აქვს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იდეოლოგიურად მემარჯვენე-ცენტრისტულ პარტიას წარმოადგენს, მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური და ნაციონალური

[1] European People's Party
[2] https://www.eppgroup.eu/about-us/history

ლიბერალიზმი, პროგრესივიზმი, სამოქალაქო ნაციონალიზმი, ევროატლანტიზმი, ანტი-კორუფცია და სხვა.

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის გაფართოების შედეგად, სოციალისტურმა პარტიებმა 1974 წელს შექმნეს ევროპის სოციალისტური პარტიების კონფედერაცია, [3] ხოლო 1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, ჯგუფმა მიიღო სახელი, ევროპის სოციალისტური პარტია (PES).[4] ევროპის სოციალისტური პარტია აერთიანებს ევროპის კავშირის სოციალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ და ლეიბორისტულ პარტიებს. ევროპის სოციალისტური პარტიის მიზანია ხელი შეუწყოს დასაქმებას, სოციალური საკითხების განვითარებას, ჯანდაცვას, წინ წამოწიოს ისეთი საკითხები, როგორიც არის ენერგია, გარემო, კლიმატის ცვლილება, ეკონომიკა, ფინანსები, ახალგაზრდებისა და საზოგადოების განათლება, თანასწორობა, ევროპის მომავალი, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, საერთაშორისო საკითხები, თანამშრომლობა და სხვა. ევროპის სოციალისტური პარტია არის სოციალ-დემოკრატიული ევროპული პოლიტიკური პარტია. ქართული პოლიტიკური პარტია, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო 2015 წლიდან ევროპის სოციალისტურ პარტიაში დამკვირვებლის სტატუსით იმყოფება. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო იდეოლოგიურად მემარცხენე-ცენტრისტულ პარტიას წარმოადგენს, პარტიის წესდების მიხედვით, მისი მიზანი და ამოცანებია მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში მონაწილეობის მიღება, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და სხვა.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიიდან, აღსანიშნავია მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების მმართველი პარტიის, საქართველოს მოქალაქეთა

[3] https://pes.eu/about-us/history/
[4] The Party of European Socialists

კავშირის ურთიერთობები საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან, სოციალისტურ ინტერნაციონალთან. სოციალისტური ინტერნაციონალი (SI) წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების საერთაშორისო, მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც ცდილობს დემოკრატიული სოციალიზმის დამყარებაში შეიტანოს თავისი წვლილი. სოციალისტური ინტერნაციონალი დღესდღეობით ძირითადად, სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური და ლეიბორისტული პოლიტიკური პარტიებისგან და ორგანიზაციებისგან შედგება. ამჟამად, ორგანიზაცია მოიცავს 132 წევრ პარტიას და ორგანიზაციას 100-ზე მეტი ქვეყნიდან. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომელიც 1993 წელს დაფუძნდა და 2003 წლის ნოემბერში დაიშალა, 32 000-მდე წევრს აერთიანებდა. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსით სოციალისტურ ინტერნაციონალს 1996 წელს შეერთდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკური პარტია ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსს ევროპისთვის (ALDE) 2007 წელს შეუერთდა აფილირებული წევრის სტატუსით. მანამდე, 2006 წელს პარტია ლიბერალურ ინტერნაციონალს შეუერთდა, როგორც ასოცირებული წევრი, ხოლო 2013 წელს რესპუბლიკელებმა აღნიშნული ინტერნაციონალის სრული წევრობა მოიპოვეს. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ განაცხადის შეტანის მომენტში საქართველოს რესპუბლიკური პარტიის გარდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც ცდილობდა ლიბერალებთან გარკვეული კონტაქტების დამყარებას, ამან დაძაბულობა გამოიწვია ევროპელ ლიბერალებში. მიუხედავად ამისა, ნაციონალური მოძრაობის ევროპის სახალხო პარტიაში (EPP) მიღების შემდეგ, კონფლიქტი მოგვარდა. (SHAGINA, 2017, P. 72). საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ბედი გაიზიარა თავისუფალმა დემოკრატებმა და ის აფილირებული წევრის სტატუსით 2012 წელს შეუერთდა “ALDE”-ს. რაც შეეხება საქართველოს კონსერვატიულ პარტიას, მან სხვა ევროპული ოჯახი აირჩია და 2014 წელს ევროპელ კონსერვატორებსა და რეფორმისტებს (ECR) შეუერთდა. 2017 წელს პარტია ევროპულმა საქართველომ ევროპის სახალხო პარტიას (EPP) დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსით მიღების თხოვნით მიმართა. შესაბამისად, ევროპული საქართველო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემდეგ მეორე ქართული პარტია გახდა, რომელმაც ევროპის სახალხო პარტიაში დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსი მოიპოვა. 2021 წელს სტრატეგია აღმაშენებელი “ALDE”-ს სრული წევრის

სტატუსით შეუერთდა, ხოლო პარტია გირჩი - მეტი თავისუფლება (აფილირებული) და ლელო (სრული წევრი) “ALDE”-ს მომდევნო, 2022 წელს შუერთდნენ. ამჟამად, 2023 წლის მონაცემებით “ALDE”-სთან ყველაზე მეტი, 5 ქართული პოლიტიკური პარტია არის დაკავშირებული. რაც შეეხება “ALDE”-ს მხრიდან საქართველოს პოლიტიკური პარტიების მისამართით გამოხატულ მხარდაჭერას, მან სხვადასხვა დროს, საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები მიიღო. 2008 წლის ოქტომბერში მიღებული რეზოლუცია აგვისტოს ომის საპასუხო დოკუმენტს წარმოადგენდა, მასში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის შეჭრა საქართველოში და მისი მხრიდან ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ოკუპაცია, ისევე როგორც მათი დამოუკიდებლობის აღიარება დაგმობილი უნდა ყოფილიყო. “ALDE”-ს მეორე რეზოლუცია, რომელიც 2016 წლის ივნისში იქნა მიღებული, საქართველოსთვის და უკრაინისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხს წარმოადგენდა. აღნიშნული რეზოლუცია ევროპის კავშირის ყველა ინსტიტუტს მოუწოდებდა, საქართველოსთვის და უკრაინისთვის ვიზების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით დროული გადაწყვეტილება მიეღოთ. ორივე რეზოლუცია იმას ადასტურებს, რომ “ALDE” ჯერ კიდევ 2008 წლიდან გამოხატავდა ღია მხარდაჭერას საქართველოსა და მისი პოლიტიკური პარტიების მისამართით. (კახიშვილი, 2018, გვ. 17-18).

ევროპარტიები ევროპარლამენტში ეროვნული პარტიების გაერთიანების პროცესის ხელშესაწყობად სხვადასხვა ფაქტორების გარდა იდეოლოგიური პროფილის შესაბამისად ხელმძღვანელობენ. ეროვნული პარტია თავისი იდეოლოგიით თანხვედრაში უნდა იმყოფებოდეს კონკრეტული ევროპარტიის იდეოლოგიასთან, მაგრამ იდეოლოგიური პროფილის თანხვედრა ევროპარტიაში გაწევრიანების მხოლოდ ერთადერთი წინაპირობა არ არის, როგორც ჩანს, გაერთიანების პროცესში გადამწყვეტ როლს ინტერპერსონალური კავშირებიც თამაშობს. (კახიშვილი, 2018, გვ. 4). მოცემული **საკითხის აქტუალურობას** განაპირობებს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო საზოგადოებასა და მოქალაქეებში არ არსებობს მხოლოდ ერთი აზრი იმასთან დაკავშირებით, გავლენას ახდენს თუ არა ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად,

ევროპარტიებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილის დახვეწაში. ამასთანავე, ევროპარტიების მხრიდან ქართული პარტიებისთვის იდეოლოგიური ცოდნის გადაცემის დიდი პოტენციალი არსებობს. ევროპარტიებს შესწევთ უნარი, ეროვნულ პარტიებს უფრო ერთიანი და თანმიმდევრული იდეოლოგიური კომპასის ჩამოყალიბებაში დაეხმარონ. ევროპარტიებსა და ქართულ პარტიებს შორის აქტიურმა თანამშრომლობამ შესაძლოა ქართული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის დონე საგრძნობლად განავითაროს. (კახიშვილი, 2018, გვ. 19-20). მორიგი მოსაზრების თანახმად, ევროპარტიები მოელიან, რომ გაერთიანების გამარტივების უზრუნველსაყოფად ეროვნული პარტიები მინიმუმ თანხვედრაში იქნებიან მათ იდეოლოგიასთან და ღირებულებებთან (Von dem Berge, 2017, PP. 14-18). არაპირდაპირი გზით, ევროპის სახალხო პარტიის ჩართულობამ ხელი შეუწყო პარტიული სისტემის კონსოლიდაციას საქართველოში. ევროპის სახალხო პარტია მოწოდებულია ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ფორუმების მოწყობა, რათა მათ მოახერხონ ევროკავშირის ნორმებთან სოციალიზება და პარტიული დემოკრატიისა და დემოკრატიული მმართველობის ევროპული სტანდარტების გაცნობა. (CHRYSOGELLOS, 2020, P. 21). კიდევ ერთი მოსაზრების მიხედვით, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიები, ამიტომ ევროპარტიები მოწოდებულნი არიან დაეხმარონ ქართულ პარტიებს ამ ხარვეზის გადაჭრაში. ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ქართული პოლიტიკური პარტიების განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი მექანიზმია. (ლავრელაშვილი, 2017). 2022 წლის 30 მაისს ევროპის სახალხო პარტიამ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოსთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპის სახალხო პარტია რჩება საქართველოს დემოკრატიის მხარდაჭერის ერთგული მისი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. მოცემული ანგარიში იმის დასტურია, რომ ევროპის სახალხო პარტია აქტიურად არის ჩართული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის მონიტორინგში. (EPP Political Assembly, 2022, P. 2). რაც შეეხება ევროპის სოციალისტურ პარტიას, 2020 წლის 2 ნოემბერს მან გამოაქვეყნა პარტიის პრეზიდენტის, სერგეი სტანიშევის განცხადება, რომლის მიხედვითაც 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ

გარემოში ჩატარდა. ამასთანავე, არჩევნების შედეგები აჩვენებდა, რომ ქართველმა ხალხმა ევროატლანტიკური გზის გაგრძელება არჩია. სტანიშევის განცხადებაც გულისხმობს იმას, რომ ევროპის სოციალისტური პარტია აქტიურად ადევნებს თვალყურს ქართული ოცნების მოქმედებებს. საპირისპირო მოსაზრების თანახმად, ევროპარტიებში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაერთიანების პროცესი მათ იდეოლოგიურ პროფილს ვერ დახვეწავს, რადგან ქართულ პარტიებს ადგილობრივ დონეზე აქვთ პრობლემები. ისტორიული გამოცდილების თანახმად, საქართველოს პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ქარიზმატული პიროვნებების გარშემო იქმნებოდა. ამის ნათელი მაგალითია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება. მეტიც, ქარიზმატული ლიდერების გარშემო პარტიის შექმნის ტენდენციას არც ოპოზიციური სპექტრი ჩამორჩება. აქიდან, ქართული პოლიტიკური პარტიების ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ისინი კონცენტრირებულნი არიან ლიდერზე და არა იდეოლოგიაზე, ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა პერსონიფიცირებულია და არა იდეოლოგიზირებული. (რუსიშვილი, 2016). ქართული პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ინდივიდუალურ ლიდერებზე უფრო არის აწყობილი, ვიდრე იდეოლოგიაზე. როგორც წესი, პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ ძლიერი ადამიანების ირგვლივ შემოკრებილ გაერთიანებას, რომელიც ქარიზმატული ლიდერის დღის წესრიგის შესაბამისად ფუნქციონირებს. არაერთი მონაცემის მიხედვით, ქართველი ამომრჩევლები მიდრეკილნი არიან მხარდაჭერა გამოუცხადონ პარტიას მისი ლიდერის პიროვნული თვისებების და არა იდეების გამო. საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ისევ დასამტკიცებელი აქვთ, რომ ლიდერის სცენიდან გასვლის შემდეგაც შეუძლიათ პარტიის შენარჩუნება. (ქობალია, 2020, გვ. 120-121). საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილის დახვეწის შემაფერხებელი ფაქტორი არის პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის პრობლემა. ამერიკელი პოლიტოლოგის, სემუელ ჰანტინგტონის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების მაღალი ინსტიტუციონალიზაციის დონე პირველ რიგში გულისხმობს მათი მხრიდან პოლიტიკური ღირებულებების, ანუ იდეოლოგიის ჩამოყალიბებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ საქართველოში შექმნა

ისეთი გარემო, სადაც პარტიები არ განიხილება, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვანი კომპონენტი, მწირი პარტიული ინსტიტუციონალიზაციის გამო საქართველოს პოლიტიკური პარტიები დღემდე განიცდიან იდეოლოგიური პროფილის განვითარების პრობლემას. სუსტი პარტიული ინსტიტუციონალიზაციის განმაპირობებელი მიზეზი არის ისიც, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებში არ არიან წარმოდგენილნი ახალგაზრდები და მისი პარტიული კადრები იშვიათად იცვლებიან. პარტიას სჭირდება ახალი კადრები და იდეები, რათა მისი იდეოლოგიური პროფილი განვითარების გზას დაადგეს. (Mierzejewski, 2014, PP. 13-14). ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიური პროფილის დახვეწის მორიგი შემაფერხებელი ფაქტორი არის იდეოლოგიური ხაზების ბუნდოვანება. ქართველი ამომრჩევლის ნაწილისთვის გაუგებარია რომელ იდეოლოგიურ სიბრტყეში იმყოფება პოლიტიკური პარტია. ამასთანავე, პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შეძლეს საკუთარი იდეოლოგიის ამომრჩევლის გონებამდე მიტანა, ამომრჩეველი პარტიების იდეოლოგიას მხოლოდ ბუნდოვნად იცნობს. პოლიტიკური პარტიები ვერ ახერხებენ აქტივისტების, ლიდერებისა და მხარდამჭერების მოქცევას კონსოლიდირებულ იდეოლოგიურ ქსელში. (ქობალია, 2020, გვ. 116-117).

სამეცნიერო საზოგადოების გარდა, საკითხის აქტუალურობას განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების აზრიც, რადგან არა მარტო პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის დეფიციტი შეინიშნება საქართველოში, არამედ ევროპის კავშირის ცნობადობისადმიც. კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, 2021 წლის მონაცემებით, გამოკითხულთა მხოლოდ 11% ენდობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, 30% არ ენდობა, ხოლო 43% ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს. მოქალაქეების მხრიდან საქართველოს პოლიტიკური პარტიებისადმი დაბალი ნდობის მაჩვენებელი გარკვეულ სირთულეებს უქმნის საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მათ შორის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილის დახვეწის პროცესს, რადგან ამომრჩეველთა და პარტიათა შორის სიახლოვე იდეოლოგიური პროფილის დახვეწის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. მართალია, რომ 2021 წლის კავკასიის ბარომეტრის მონაცემების მიხედვით ევროპის კავშირს საქართველოს მოსახლეობის 42%

ენდობა, მაგრამ ევროპარტიების ცნობადობისა და მათი მხრიდან ქართული პარტიების იდეოლოგიური პროფილის დახვეწაში შეტანილი წვლილის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია ევროპის კავშირის მიმართ საქართველოს მოსახლეობისა და პოლიტიკური პარტიების ნდობის ამაღლება. (კავკასიის ბარომეტრი, 2021). დამატებით, მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის მიხედვით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლები პოლიტიკურად უფრო მემარჯვენე, ლიბერალური პოზიციისკენ იხრებიან, ხოლო ეკონომიკურად მემარცხენე იდეოლოგიისკენ, მაშინ, როცა თავად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მემარჯვენე ეკონომიკურ იდეოლოგიას აღიარებს. ამგვარი სხვაობა პარტიასა და ამომრჩეველს შორის აიხსნება იმით, რომ პარტიის ამომრჩევლები იდეოლოგიასთან შედარებით უფრო დიდ ყურადღებას მათ ლიდერებს უთმობენ. (კახიშვილი & კეშელავა & პაპავა & სიჭინავა, 2021, გვ. 28).

ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესი აქტუალურობის კუთხით **პრაქტიკულ ღირებულებას** ატარებს. აღნიშნული ნაშრომი პრაქტიკული კუთხით დაეხმარება ყველა იმ მკვლევარს, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობები, იდეოლოგიური თანხვედრის საკითხები, ინტერპერსონალური კავშირები და ქართული პოლიტიკური პარტიების ის პრობლემები, რომლებიც იდეოლოგიური პროფილის განვითარებას აფერხებენ.

აღნიშნული ნაშრომი **აქტუალურია პოლიტიკის მეცნიერებაში,** რადგან მხოლოდ ერთი ჩამოყალიბებული და შეთანხმებული აზრი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აისახება ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე, ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპარტიებსა და ეროვნულ პარტიებს შორის ურთიერთობების სიღრმისეული შესწავლა სამეცნიერო საზოგადოებაში შედარებით ახალ სფეროს წარმოადგენს, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ საკითხის გარშემო სამეცნიერო საზოგადოების, მათ შორის, პოლიტიკის მეცნიერების მკვლევრების დაინტერესება,

რადგან ევროპარტიებში ინტეგრაციის პროცესი პირდაპირ უკავშირდება ევროპის კავშირში გაწევრიანების საკითხსაც.

კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ რა გავლენას ახდენს ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე.

კვლევის ამოცანები წარმოადგენს იმ აქტივობებს, რაც მიზნის მიღწევის საქმეში დაგვეხმარება, აღნიშნული კვლევის ამოცანები იქნება შემდეგი:

- ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) იდეოლოგიის შესწავლა.
- ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) ურთიერთობების შესწავლა.
- ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების ინტერპერსონალური კავშირების შესწავლა.
- საქართველოს პოლიტიკური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) იმ დაბრკოლებების შესწავლა, რომლებიც აფერხებენ მათი იდეოლოგიური პროფილის განვითარებას.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, **საკვლევი კითხვა** ჩამოყალიბდება შემდეგნაირად - რა გავლენას ახდენს ევროპარტიებში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე?

რაც შეეხება **ჰიპოთეზას,** ის ფორმულირდება შემდეგნაირად - რაც უფრო იზრდება იდეოლოგიური თანხვედრა, მით უფრო იზრდება ევროპარტიაში ეროვნული პოლიტიკური პარტიის გაერთიანების ალბათობა, რაც ზრდის პარტიების იდეოლოგიური პროფილის დახვეწის შესაძლებლობას. ჰიპოთეზის ფორმულირების მიხედვით, გამოიკვეთა წინამავალი, დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები.

აქიდან, წინამავალი ცვლადი იქნება - იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი, დამოუკიდებელი ცვლადი - ევროპარტიაში გაერთიანება, ხოლო დამოკიდებული ცვლადი - იდეოლოგიური პროფილი.

ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესის ირგვლივ არსებულ **ფუნდამენტურ ნაშრომს** წარმოადგენს *„ევროპის პოლიტიკური პარტიების ფედერაციებში ქართული პარტიების სოციალიზაციის ეფექტები“,* რომელიც ლევან კახიშვილს ეკუთვნის. აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენი საკითხის შესასწავლად, რადგან ის პირდაპირ ეხმიანება საკვლევ კითხვას და დეტალურად მიმოიხილავს ევროპარტიებსა და ქართულ პარტიებს შორის ურთიერთობებს, მათ შორის, იდეოლოგიური პროფილის განვითარების კუთხით. მორიგი ფუნდამენტური ნაშრომი გახლავთ „*Prospects for European Cross-Party Partnership in the South Caucasus and Europeanisation: The Case of Georgia",* რომელიც თეონა ლავრელაშვილს ეკუთვნის. აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ საინტერესოა, რადგან ის ყურადღებას ამახვილებს ევროპარტიებსა და ქართულ პარტიებს შორის ურთიერთობების გამოწვევებზე და აღნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური თანმიმდევრულობა საკმაოდ სუსტია. ამასთანავე, ნაშრომის მიხედვით, ევროპარტიები ქართულ პარტიებს სემინარების, ვორქშოფებისა და ფორუმების სახით ეხმარებიან, რომლებიც ხელს უწყობენ ევროპული აზროვნების განვითარებას. ევროპარტიებსა და ქართულ პარტიებს შორის ურთიერთობების შესწავლის მიზნით აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის შესწავლის კუთხით ფუნდამენტურ სტატიას წარმოადგენს *„ქართული პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგია“,* რომელიც აკაკი რუსიშვილს ეკუთვნის. სტატიის მიხედვით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები იდეოლოგიურად ერთმანეთის მსგავსნი არიან, რაც ხელს უშლის მოქალაქეებს მკაფიოდ გამიჯნონ პარტიათა იდეოლოგიები ერთმანეთისგან. ავტორის შეხედულებით, საქართველოში პოლიტიკური პარტიების ნაწილი ქარიზმატული ლიდერების გარშემო იქმნებოდა იდეოლოგიის ნაცვლად, რაც მათი იდეოლოგიური პროფილის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს.

ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანია **საყრდენი თეორიის** დასახელება, რომელიც საკვლევი თემიდან და ჰიპოთეზიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში, საყრდენ თეორიას წარმოადგენს ახალი ინსტიტუციონალიზმის [5]თეორია, რომელიც დეტალურად იქნება მიმოხილული თეორიული ჩარჩოს სექციაში. ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია ყურადღებას ამახვილებს ევროპულ ინსტიტუტებზე და აღნიშნავს, რომ ევროპული ინსტიტუტები, მათ შორის, ევროპარლამენტი ეროვნული პარტიებისთვის წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს ევროპის კავშირში გაწევრიანების გზაზე.

[5] New Institutionalism

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, მათ შორის, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას იდეოლოგიური პროფილის დახვეწაში სუსტი ინსტიტუციონალიზაციის პრობლემა აფერხებს. **Melanie Mierzejewski თავის ნაშრომში, "*Party Politics, Institutionalization, and Democratization in Ukraine and Georgia*".** ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების სუსტი ინსტიტუციონალიზაციის პრობლემებს განიხილავს. მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობამ საქართველოში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ერთად შექმნა ისეთი გარემო, სადაც პოლიტიკური პარტიები არ განიხილებიან საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად. აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან ინფორმაციას გადმოგვცემს ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების ინსტიტუციონალური სისუსტის შესახებ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინსტიტუციონალური სისუსტე, რომელიც პარტიის იდეოლოგიური პროფილის საწინააღმდეგოდ მოქმედებს გამოიხატება რიგი მიზეზებით. მაგალითად, მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობით, პარტიისა და მისი ამომრჩევლის მიჯაჭვულობით ქარიზმატული ლიდერებისადმი, მმართველობის პერიოდში სახელმწიფო რესურსების სარგებლობით, რომლებიც მიუწვდომელი იყო ოპოზიციური პარტიებისთვის, ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიური პროფილის გარჩევის სირთულით მიხეილ სააკაშვილის პირადი შეხედულებებისგან, შიდაპარტიული გადაწყვეტილებების მაღალი ავტონომიურობის ხარისხით და სხვა. რაც შეეხება ქართულ ოცნებას, მისი სუსტი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი. მაგალითად, საწყის ეტაპზე მასთან ერთად სხვა კოალიციური პოლიტიკური პარტიების გაერთიანება, რაც მისი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს წინააღმდეგობას უწევდა, პარტიის პერსონიფიცირება ბიძინა ივანიშვილთან პარტიულ იდეოლოგიაზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად, პარტიის მფარველობითი, კლიენტისტური კულტურა, შიდაპარტიული ავტონომიის მაღალი ხარისხი და სხვა. (Mierzejewski, 2014, P. 35). ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების ინსტიტუციონალიზაციის კრიტიკით ავტორი პასუხს სცემს პარტიების იდეოლოგიური სისუსტის განმაპირობებელ ფაქტორებს, თუმცა მოცემული ნაშრომი მხოლოდ

ინსტიტუციონალიზაციის კუთხით განიხილავს ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრობას, რაც მხოლოდ მათი იდეოლოგიური პროფილის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორია. მართალია დაბალი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი მიუთითებს იმაზე, რომ ხშირად ამომრჩევლები პარტიის იდეოლოგიის ნაცვლად აქცენტს მათ ქარიზმატულ ლიდერებზე აკეთებენ, თუმცა სუსტი ინსტიტუციონალიზაციის გარდა იდეოლოგიური პროფილის წინააღმდეგ ისტორიულმა გამოცდილებამაც შესაძლოა იმოქმედოს, კერძოდ, მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობამ, თუმცა ავტორი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ საფუძვლებს საერთოდ არ ახსენებს, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ნაშრომი მხოლოდ ფრაგმენტულად განიხილავს საქართველოს პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის დახვეწის შემაფერხებელ ფაქტორებს. გარდა ამისა, აღნიშნული ნაშრომი დაწერილია 2014 წელს, რის შემდეგაც ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შიგნით ბევრი ცვლილება განხორციელდა. საბოლოო ჯამში, ნაშრომი მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს პარტიათა ინსტიტუციონალიზაციისა და იდეოლოგიური პროფილის კუთხით, თუმცა სუსტი ინსტიტუციონალიზაცია მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორს წარმოადგენს პარტიის იდეოლოგიური პროფილის წინააღმდეგ.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მათ შორის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილის დახვეწის შემაფერხებელი ფაქტორი არის მიჯაჭვულობა პარტიის ქარიზმატული ლიდერებისადმი, აქიდან, საქართველოს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა პერსონიფიცირებულია და არა იდეოლოგიზირებული. სწორედ ქარიზმატული ლიდერებისადმი მიჯაჭვულობისა და პარტიათა პერსონიფიცირების პრობლემის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს **ირაკლი ქობალიას ნაშრომი, "*პარტიების მიერ ინტერესების გაერთიანება და პოლიტიკის შექმნა (ქართული პარტიული პოლიტიკის ბოლო ათწლეული)*".** აღნიშნული ნაშრომი თანხვედრაშია ჩვენს მიერ დასმულ პრობლემასთან იმასთან დაკავშირებით, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილის განვითარებას პარტიათა ლიდერებზე დამოკიდებულება უშლის ხელს. როგორც წესი, საქართველოს

პოლიტიკური პარტიები ქარიზმატული ლიდერების გარშემო იქმნებოდნენ და მისი დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებდნენ იდეოლოგიური პროფილის განვითარების ნაცვლად. ამასთანავე, ნაშრომი ქარიზმატული ლიდერების პრობლემის გარდა, რომელიც პარტიათა იდეოლოგიური პროფილის დახვეწას აფერხებს ყურადღებას ამახვილებს შიდაპარტიული დემოკრატიის პრობლემებზეც, რაც ჩამოთვლილი პრობლემების აღქმას ამარტივებს. პოლიტიკური პარტიების ქარიზმატული ლიდერები უზარმაზარ გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, თუმცა მათ არ შეუძლიათ პარტიის შიგნით არსებული ყველა პრობლემის ერთპიროვნულად გადაჭრა, რადგან მსგავსი ნაბიჯებით შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპი დაირღვევა. ირაკლი ქობალიას მოსაზრებით, პარტიათა პერსონიფიცირება მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს მათ სამომავლო ბედს, რადგან ქარიზმატული ლიდერების წასვლის შემდეგ პოლიტიკური პარტიები გაქრობისა და გადაშენების საფრთხის წინაშე დგებიან, თუმცა 2012 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემის შემდეგ პოლიტიკური პროცესების სტაბილიზაციასაც უნდა ველოდოთ. მართალია ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის პროცესი დადებით ტენდენციას წარმოადგენს, მაგრამ მმართველ პარტიებს, მათ შორის, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას დასამტკიცებელი აქვთ, რომ ქარიზმატული ლიდერების პოლიტიკური ცხოვრებიდან გასვლის შემდეგაც შეუძლიათ პარტიის იდეოლოგიური პროფილის განვითარება. (ქობალია, 2020, გვ. 120-121). ირაკლი ქობალიას ნაშრომი მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს საქართველოს პოლიტიკური პარტიების გამოწვევების შესახებ და გამოწვევათა მაგალითებად პარტიათა სტრუქტურულ არასტაბილურობას, მიკერძოებულ საარჩევნო სისტემას, მსხვილი საკითხების აკვიატებას, დაბალ ნდობას, პოლარიზაციას, იდეოლოგიური ხაზების ბუნდოვანებას, ხმის მიცემის რეტროსპექტულობას, მმართველი პარტიების დომინაციას, ლიდერებზე დამოკიდებულებასა და სუსტ შიდაპარტიულ დემოკრატიას ასახელებს. ამასთანავე, აღნიშნული ნაშრომი 2020 წელს არის დაწერილი, რაც ახალი ინფორმაციის გადმოცემაზეც მიუთითებს, მაგრამ ავტორის რიტორიკა მხოლოდ ზოგადი ფორმით გადმოსცემს პარტიათა გამოწვევებს და ბევრს არ საუბრობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების შესახებ, რაც ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მართალია ავტორი აღნიშნავს, რომ პარტიათა

იდეოლოგიური განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ქარიზმატული ლიდერებისადმი მიჯაჭვულობა წარმოადგენს, მაგრამ ერთმანეთთან არ არის შედარებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების გამოწვევები იდეოლოგიური პროფილის კუთხით. შესაძლოა ავტორის ინტერესის სფერო ზოგადად საქართველოს პოლიტიკური პარტიების გამოწვევებია, თუმცა საინტერესო იქნებოდა მმართველი პარტიების შედარებაც იდეოლოგიური პროფილის დახვეწის კუთხით. საბოლოო ჯამში, ნაშრომი მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს საქართველოს პარტიების წინაშე არსებული გამოწვევების, მათ შორის, ქარიზმატული ლიდერების შესახებ, მაგრამ ჩვენი ინტერესის სფეროს უფრო ვიწრო საკითხი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილი წარმოადგენს.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების პერსონიფიცირების პრობლემის შესახებ მორიგ საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს **ზურაბ ჭიაბერაშვილისა და გიგი თევზაძის ნაშრომი, "*Power Elites in Georgia: Old and New*",** რომლის მიხედვითაც ამბიციური პოლიტიკური პიროვნებების გამო, ეროვნული პარტიები გაჩნდნენ, გაიყვნენ და დაიშალნენ. აქიდან, საქართველოს კანონმდებლობაც ძლიერი, ელიტური დაჯგუფებების ინტერესებიდან გამომდინარე შემუშავდა, რამაც პოლიტიკური პარტიების, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პერსონიფიცირება გამოიწვია. ავტორების განცხადებით, საქართველოს ელიტებმა წამყვანი როლი შეასრულეს პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული ნაშრომი 2005 წელს არის დაწერილი, რის შემდეგაც საქართველოს პოლიტიკური პარტიების ცხოვრებაში ბევრი საკითხი გადაიხედა, ამასთანავე, ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული მხოლოდ პერსონიფიცირების პრობლემაზე, ისევე როგორც ელიტურ დაჯგუფებებზე. სინამდვილეში, საქართველოს პოლიტიკური პარტიები იმ პერიოდში უამრავი გამოწვევის წინაშე იდგნენ, მაგრამ ნაშრომის რიტორიკა, ალბათ, ყურადღებას უფრო საქართველოს ელიტებს უთმობდა და მისი აზრობრივი განვითარებაც სწორედ ამ კუთხით წარმოაჩინა, რაც სრულიად გასაგებია.

ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს **აკაკი რუსიშვილის სტატია, *"ქართული პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგია".*** აღნიშნული სტატია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს პარტიების იდეოლოგიური მსგავსების პრობლემაზე, რაც ხელს უშლის ამომრჩეველს მკაფიოდ დაინახოს განსხვავება პარტიათა იდეოლოგიურ პროფილებს შორის. ამომრჩეველს მსგავსი იდეოლოგიის მქონე პარტიების გამიჯვნა უჭირს ერთმანეთისგან, რაც პარტიათა იდეოლოგიური პროფილის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოში არ არსებობს ძლიერი მემარცხენე იდეოლოგიის მქონე პარტია, რაც განპირობებულია არასწორი წარმოდგენებით, რომ თითქოს მემარცხენე იდეოლოგია მხოლოდ მარქსიზმისა და კომუნიზმის დაბრუნებას გულისხმობდეს. მემარცხენე იდეოლოგიის მქონე პარტიები ევროპის მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებენ და ისინი საზოგადოებაში დიდი გავლენით სარგებლობენ. ამომრჩევლისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან მემარცხენე იდეოლოგიის ასოცირება მარქსიზმ-ლენინიზმთან პოლიტიკური პარტიების იდეოლიგიური პროფილის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს, რაც ჩვენს ნაშრომს პირდაპირ უკავშირდება. აკაკი რუსიშვილის შეხედულებით, საქართველოში პოლიტიკური პარტიების მხრიდან სუსტი იდეოლოგიური პროფილის არსებობა განპირობებულია განათლების დონით, პოლიტიკური რეჟიმის ტიპით და პოლიტიკური კულტურით, რადგან ქართული პარტიების უმეტესობა არა იდეოლოგიის, არამედ ქარიზმატული პიროვნებების გარშემო იქმნებოდა. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ პარტიების მხრიდან იდეოლოგიური პროფილის გამოკვეთა არა მარტო პარტიებისთვის იქნება ხელსაყრელი, არამედ საზოგადოებისთვისაც, რადგან ამომრჩევლისთვის ნათელი გახდება, კონკრეტულად რომელ იდეათა სისტემას და პოლიტიკურ კურსს უჭერს მხარს. (რუსიშვილი, 2016). სტატია თანხვედრაშია ჩვენს მიერ დასმულ პრობლემასთან, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მათ შორის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილის დახვეწის შემაფერხებელი ფაქტორი არის ქარიზმატული ლიდერების გარშემო გაერთიანების კონცეფცია, მაგრამ აღნიშნული სტატია მხოლოდ ზოგადად მიმოიხილავს ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიზირების შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორს და მხოლოდ მცირე ინფორმაციას შეიცავს პარტიათა ინსტიტუციონალიზაციის

პრობლემის შესახებ. რა თქმა უნდა, სტატიაში გადმოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ავტორის ინტერესის სფეროს, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია კონკრეტულად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების გარშემო არსებული პრობლემები იდეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით და არა პარტიათა გამოწვევები ზოგადი ფორმით.

ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) შესახებ საინტერესო ინფორმაციას მოიცავს **პარტიის მიერ გამოქვეყნებული რეზოლუცია,** ***"Fair, Free, Sustainable, The Progressive Europe We Want",*** რომელშიც აღნიშნულია, რომ ევროპის სოციალისტური პარტია მოწოდებულია მხარი დაუჭიროს კანონის უზენაესობასა და დემოკრატიაზე დაფუძნებულ საზოგადოებას, სადაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებები იქნება დაცული. რეზოლუციაში წერია, რომ ევროპის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები ხელს შეუწყობენ გენდერულ თანასწორობასა და სოლიდარობას, ამასთანავე, ძლიერი ევროპის კავშირის იდეის განვითარებას. ევროპის სოციალისტური პარტია აღნიშნავს იმასაც, რომ მისთვის მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში რეფორმების ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ევროპული, ფუნდამენტური ღირებულებების ხელშეწყობის მიზნით. დამატებით, პარტია რეზოლუციაში ყურადღებას ამახვილებს ღირებულებებზე და აღნიშნავს, რომ ის ერთგულია ევროპის კავშირის გლობალური სტრატეგიის, პირველ რიგში, ნატოსთან მჭირდრო თანამშრომლობის მიმართ. აღნიშნული რეზოლუცია საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) ღირებულებების შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს მისი და ქართული ოცნების ფასეულობები ერთმანეთს შევადაროთ, მაგრამ დოკუმენტში არაფერი წერია საქართველოს, მათ შორის ქართული ოცნების შესახებ, ამასთანავე, რეზოლუციაში ნახსენები არ არის იდეოლოგიური პროფილის ან პარტიის ძალისხმევის შესახებ ეროვნული პარტიებისთვის დახმარების გაწევის საქმეში, რაც ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ღირებულებების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს **პარტიის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი, "*EPP Manifesto, Let's Open the Next Chapter for Europe Together",*** რომელშიც აღნიშნულია, რომ პარტიისთვის ღირებულია ევროპის დაცვა არალეგალური იმიგრაციისგან, მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით. ამასთანავე, ევროპის სახალხო პარტია წერს, რომ ის იღებს ქრისტიანულ და ჰუმანიტარულ პასუხისმგებლობას დაეხმაროს გაჭირვებულ მოსახლეობას და გააუმჯობესოს მათი საცხოვრებელი პირობები. დოკუმენტის მიხედვით, ევროპის სახალხო პარტიის მორიგი გამოწვევა არის ტერორიზმი და ორგანიზებული დანაშაული, აქიდან, პარტია ნდობას უცხადებს ევროპული უსაფრთხოების სისტემას, რათა გააქტიურდეს ბრძოლა აღნიშნული გამოწვევების წინააღმდეგ. დამატებით, ევროპის სახალხო პარტიისთვის მნიშვნელოვანია ევროპული სოციალური მოდელის განვითარება, რომლის დახმარებითაც ყველა ისარგებლებს ჯანმრთელობის დაზღვევითა და მაღალი ხარისხის საჯარო მომსახურებით. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს კლიმატის ცვლილებაზეც და აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება. ამასთანავე, ევროპის სახალხო პარტიის სხვა ღირებულებები მოიცავს: კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ევროპული და დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, ევროპული პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას, მათ შორის 5 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, ცხოვრების სტანდარტების ამაღლებას, ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერებას, სამართლიანი საგადასახადო სისტემის შექმნას და სხვა. მიუხედავად ამისა, დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას ეროვნული პარტიების, მათ შორის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შესახებ, რაც პირდაპირ წარმოადგენს ჩვენი ინტერესის სფეროს.

საქართველოს პოლიტიკური პარტიებიდან, მათ შორის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების მხრიდან არსებობს იდეოლოგიის მკაფიოდ და ნათლად გამოკვეთის პრობლემა, რომლის შესახებაც მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს **ნაშრომი, "*საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი".*** საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის შეფასებით, ქართული ოცნების ამომრჩევლის ნაწილი

ლიბერალური ღირებულებებისკენ, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი (ეკონომიკური საკითხების კუთხით) მემარცხენე იდეოლოგიისკენ იხრება. სინამდვილეში, პირველი პარტია მემარცხენე-ცენტრისტული, მეორე კი მემარჯვენე-ცენტრისტული ღირებულებების მატარებელია, რაც იდეოლოგიურ ვაკუუმს წარმოქმნის. ამასთანავე, იდეოლოგიის მკაფიოდ და ნათლად გამოკვეთის საკითხს ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ თავად ამომრჩევლის ცნობიერება პარტიათა იდეოლოგიის მიმართ საკმაოდ დაბალია. ნაშრომის მიხედვით, საქართველოში არსებული პარტიები იდეოლოგიური კუთხით ერთმანეთს ძალიან გვანან, ამიტომ ამომრჩეველს მათი ერთმანეთისგან იდეოლოგიურად გამიჯვნა საკმაოდ უჭირს. ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, მათ შორის ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას ახლო მომავალში ვერ ექნებათ დახვეწილი იდეოლოგიური პროფილი, რადგან პოლიტიკური სისტემის მშენებლობის კუთხით ქვეყანას მცირედი გამოცდილება აქვს. აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას მოიცავს, მაგრამ საუბარი არ არის ევროპარტიებსა და ქართულ პარტიებს შორის ურთიერთობებზე, ისევე როგორც ინტერპერსონალურ კავშირებზე, რაც ჩვენი საკვლევი თემის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ევროპარტიებში ქართული პარტიების, მათ შორის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების გაერთიანების პროცესის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს **ლევან კახიშვილის ნაშრომი, "*ევროპის პოლიტიკური პარტიების ფედერაციებში ქართული პარტიების სოციალიზაციის ეფექტები*".** ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა, ავტორი მიმოიხილავს ევროპარტიებში სხვა ოპოზიციური პარტიების გაერთიანების პროცესსაც. აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განსაზღვრულია რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ ქართულმა პარტიებმა იმისთვის, რომ ევროპარტიებში გაწევრიანდნენ. ევროპარტიებში ქართული პარტიების გაწევრიანების პროცესი დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებთან, როგორიც არის აპლიკანტი პარტიის იდეოლოგიური ორიენტაციის თანხვედრა შესაბამისი ევროპარტიის იდეოლოგიასთან, ინტერპერსონალური კავშირები და სხვა. გარდა ამისა, ლევან

კახიშვილის შეფასებით, ევროპარტიებში ქართული პარტიების გაწევრიანების პროცესი ხელს უწყობს ეროვნულ პარტიებს იდეოლოგიური პროფილის დახვეწაში, პარტიული ცოდნის გადაცემაში, შიდა ლეგიტიმაციის უზრუნველყოფაში, საერთაშორისო აღიარებაში, შიდა კონკურენციის ამაღლებაში და თანამშრომლობის გაღრმავებაში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ევროპატიებში ქართული პარტიების გაწევრიანების ერთ-ერთი წინაპირობა იდეოლოგიური თანხვედრის საკითხია, ქართული პარტიები მოწოდებულნი არიან ყურადღება მიაქციონ თავიანთი იდეოლოგიური პროფილის თემატიკას. აქიდან, ევროპარტიები ინტერპერსონალური კავშირების გარდა ეროვნული პარტიებისგან მოითხოვენ ყურადღების გამახვილებას იდეოლოგიური თანმიმდევრულობის საკითხზე, რადგან გაწევრიანების შემდეგ არ შეიქმნას პრობლემები იდეოლოგიური თანხვედრის საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთი გამოკითხვის თანახმად, ქართული ოცნება მემარცხენე, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მემარჯვენე იდეოლოგიისკენ არის გადახრილი, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული პარტიები მართლაც იმ ევროპარტიებთან არიან აფილირებულნი, რომლებიც მსგავს იდეოლოგიას ეფუძნებიან. (კახიშვილი, 2018, გვ. 7). აღნიშნული ნაშრომი პირდაპირ უკავშირდება ჩვენს მიერ დასმულ საკვლევ კითხვას და დეტალურად მიმოიხილავს ქართული პარტიების, მათ შორის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების გაწევრიანების პროცესს ევროპარტიებში, მეტიც, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა ყურადღება არის გამახვილებული სხვა ქართულ ოპოზიციურ პარტიებზეც. ნაშრომი საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს იმასთან დაკავშირებით თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ეროვნული პარტიები, რომ ევროპარტიებში გაწევრიანება შეძლონ. ევროპარტიებში ქართული პარტიების გაწევრიანების მნიშვნელოვან ფაქტორად დასახლებელია იდეოლოგიური თანხვედრა და ინტერპერსონალური კავშირები, მაგრამ დეტალურად არ არის აღწერილი ის გარემოება, რომ ევროპარტიებში ქართული პარტიების გაწევრიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწის წინაპირობაა. ყურადღება უფრო გამახვილებულია ევროპარტიების მხრიდან ქართული პარტიებისთვის პარტიული ცოდნის გადაცემაზე, შიდა ლეგიტიმაციისა და საერთაშორისო აღიარების საკითხზე, შიდა კონკურენციასა და თანამშრომლობაში დახმარებაზე და სხვა. გასაგებია, რომ

ევროპარტიები ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას ამ კუთხით ეხმარებიან, მაგრამ რაში გამოიხატება მათი იდეოლოგიური პროფილის განვითარება? შესაძლოა ეროვნული პარტიები იდეოლოგიური კუთხით თანხვედრაში არიან ევროპარტიებთან, მაგრამ რამდენად თანმიმდევრულნი არიან ისინი იდეოლოგიური კუთხით სახელმწიფო დონეზე? ან რატომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიათა იდეოლოგიური პროფილი განვითარებულია? მოცემულ ნაშრომში მსგავს კითხვებზე პასუხი არ არის გაცემული.

ევროპის სახალხო (EPP) და ევროპის სოციალისტურ პარტიაში (PES) ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების გაწევრიანების პროცესის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს **თეონა ლავრელაშვილის ნაშრომი, "*Prospects for European Cross-Party Partnership in the South Caucasus and Europeanisation: The Case of Georgia".*** ავტორის მოსაზრებით, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ევროპის სახალხო პარტიას შორის თანამშრომლობის განმაპირობებელი მთავარი სტიმული იყო იდეოლოგიური სიახლოვე, მაგრამ საარჩევნო პროგრამების განხილვისას პარტიის მხრიდან ადვილად შეიმჩნევა ხშირი იდეოლოგიური შეუსაბამობები, რაც გამოწვეულია იმით, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჯერ კიდევ არ აქვს განვითარებული იდეოლოგიური პროფილი. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპის სახალხო პარტია საკმაოდ განსხვავებული პარტიების კონგლომერატია, როგორც ჩანს, იდეოლოგიამ ფაქტობრივად უმნიშვნელო როლი ითამაშა ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობის პროცესში. ავტორის ამგვარი შეხედულება წინა ნაშრომის ავტორის შეხედულებასაც ემთხვევა, რომლის მოსაზრებითაც იდეოლოგიური თანხვედრის გარდა ევროპარტიებში გაერთიანებისთვის ინტერპერსონალური კავშირებიც არის მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, ევროპარტიებში გაწევრიანებით ქართული პოლიტიკური პარტიები ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულებას ამტკიცებენ, ისევე როგორც ევროპის კავშირში გაწევრიანებისთვის მზადყოფნას, რაც მათი უმრავლესობის თვითმიზანს წარმოადგენს. თეონა ლავრელაშვილი აღნიშნულ ნაშრომში საინტერესო დასკვნამდე მიდის და წერს, რომ მიუხედავად ევროპარტიული კუთვნილებისა, ქართული პარტიების იდეოლოგიური თანმიმდევრულობა მაინც სუსტი რჩება.

მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პროგრამები არ არის თანმიმდევრული და ხშირად პოპულისტურ და ურთიერთგამომრიცხავ გზავნილებს შეიცავს. ევროპარტიების მხრიდან ქართული პარტიებისადმი დახმარების პროცესი მოიცავს სემინარებში, ვორქშოფებში და ფორუმებში მონაწილეობას, რომელიც ქართული პარტიების მხრიდან ხელს უწყობს ევროპული აზროვნების განვითარებას. ავტორის შეფასებით, ქართული პარტიები ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად მიუახლოვდებიან ევროპული პარტიების სტანდარტებს, რადგან აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობს შიდაპარტიული სტრუქტურის განვითარებას. ევროპის სახალხო პარტიის მთავარ მიზანს საერთაშორისო გავლენის გაფართოება წარმოადგენს, ამიტომ მისმა წევრებმა ხაზი გაუსვეს ნაციონალური მოძრაობის ჩართულობის მნიშვნელობას, რადგან მისი დახმარებით ევროპის სახალხო პარტია ინფორმირებული და კომპეტენტური რჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნაშრომი საინტერესო ინფორმაციას მოიცავს ქართული ოცნებისა და ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) ურთიერთობის შესახებ. ავტორის შეხედულებით, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ქართულმა ოცნებამ (კოალიციის პერიოდი) გადაწყვიტა ევროპარტიაში გაწევრიანება იყო ის, რომ მისი კოალიციის ორი პარტია უკვე ევროპარტიის წევრი იყო. (LAVRELASHVILI, 2015). მოცემული ნაშრომი საინტერესო კუთხით განიხილავს ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპის სახალხო პარტიის, ისევე როგორც ქართული ოცნებისა და ევროპის სოციალისტური პარტიის ურთიერთობებს, მაგრამ მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ის თუ რა უნდა მოიმოქმედონ პარტიებმა იდეოლოგიური პროფილის განვითარების მიმართულებით ან რას ნიშნავს განვითარებული იდეოლოგიური პროფილი? ამასთანავე, ყურადღება უფრო გამახვილებული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპის სახალხო პარტიის შესახებ, რაც შეეხება ქართულ ოცნებასა და ევროპის სოციალისტურ პარტიას, მათზე მხოლოდ მცირედი იყო დაწერილი.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის არსებული ურთიერთობების, მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ საინტერესო წყაროს წარმოადგენს **თეონა ლავრელაშვილის სტატია, "*Georgian Parties and the "Euro-Parties"***

Cooperation, Achievements and Challenges". ავტორის შეხედულებით, ქართულ და ევროპულ პარტიებს შორის ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ევროპეიზაციის კუთხით. აღნიშნული სტატია ყურადღებას ამახვილებს ევროპარტიებთან ურთიერთობის უპირატესობებთან დაკავშირებით, ეროვნული პარტიების ევროპარტიებში გაერთიანების პროცესი ხელს უწყობს პარტიათა მხრიდან საერთაშორისო პოლიტიკური ლეგიტიმაციის მოპოვებას, საერთაშორისო ლეგიტიმაციის მოპოვებასთან ერთად კი პარტიათა გავლენის ხარისხი შიდა დონეზე შესაძლოა გაიზარდოს. არსებობს განსხვავება ეროვნულ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის, რადგან ევროპარტიები პარტიულ ოჯახებს აყალიბებენ, რომლებიც იდეოლოგიურ საფუძველზე იქმნებიან. ამ კუთხით, მემარჯვენე და მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიები ერთ ოჯახს ქმნიან, მემარცხენე და მემარცხენე-ცენტრისტული კი სხვას. რაც შეეხება ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის ურთიერთობებს, ამ კუთხით სტატია საინტერესო ინფორმაციას მოიცავს. სხვა ლიტერატურის მსგავსად, ავტორი ყურადღებას ამახვილებს ევროპარტიებში გაერთიანების პროცედურებთან დაკავშირებით და წერს, რომ გაერთიანების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია პარტიის სტრუქტურა, პროცედურები და შესაბამისობა იდეოლოგიასთან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების გარდა, სტატიაში მიმოხილულია სხვა ქართული პოლიტიკური პარტიებიც, რომლებიც თავის მხრივ, დაკავშირებულნი არიან ევროპარტიებთან. მნიშვნელოვანია ავტორის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებითაც, რომ ქართული პარტიები აქტიურად მონაწილეობენ ევროპარტიების კონგრესებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, ამასთანავე, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ევროპის კავშირის სახელით ჩატარებულ სემინარებსა და ტრენინგებში. ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის ურთიერთობის კუთხით არაერთი პრობლემა არსებობს. სტატიაზე დაყრდნობით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ქართულ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის განსხვავებულია შიდაპარტიული თანამშრომლობის მოტივაცია. ევროპარტიების შემთხვევაში შიდაპარტიული თანამშრომლობის დონე საკმაოდ მაღალია, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ პარტიებზე. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იდეოლოგიური პროფილის განვითარების საკითხი, ამ კუთხით ავტორი

აღნიშნავს, რომ ქართული პარტიების შემთხვევაში დიდი განსხვავებები არსებობს ჩამოყალიბებულ იდეოლოგიურ კონცეფციებსა და საარჩევნო პროგრამებს შორის. ევროპარტიები მოწოდებულნი არიან დაეხმარონ ქართულ პარტიებს იდეოლოგიური პროფილის განვითარებაში, მაგრამ მათი გავლენა ამ კუთხით ნომინალურია. სტატიის ბოლოს ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ქართული პარტიების მხრიდან პარტიული კვლევების რესურსები სრულიად გამოუყენებელია, როცა ევროპარტიებს აქვთ საკუთარი კვლევითი ცენტრები. ავტორი იმედოვნებს, რომ ევროპარტიებსა და ქართულ პარტიებს შორის თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდება. (LAVRELASHVILI, 2017). საბოლოო ჯამში, სტატია მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს ევროპარტიებსა და ქართულ პარტიებს შორის თანამშრომლობაზე, მიღწევებზე და გამოწვევებზე, მაგრამ მხოლოდ ზოგადი ფორმით მიმოიხილავს ეროვნულ პარტიებს, როცა ჩვენი ინტერესის სფეროს უფრო ვიწრო თემატიკა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება და მათი იდეოლოგიური პროფილის საკითხი წარმოადგენს. ამასთანავე, იდეოლოგიური პროფილის კუთხით ერთმანეთს არ არის შედარებული აღნიშნული პარტიები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარტიათა ზოგადი მიმოხილვა ევროპარტიებთან ურთიერთობის კუთხით შესაძლოა ავტორის ინტერესის სფეროს წარმოადგენდეს. გარდა ამისა, აღნიშნული სტატია არ მოიცავს დიდ ინფორმაციას პარტიათა იდეოლოგიური პროფილის განვითარებასთან დაკავშირებით, რაც ასევე წარმოადგენს ჩვენი ინტერესის სფეროს.

თეორიული ჩარჩო

საკვლევი თემიდან და ჰიპოთეზიდან გამომდინარე, **ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია** დაგვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ არიან მოწოდებულნი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება ევროპარტიებში გაერთიანებისკენ, ამასთანავე, რა როლს ასრულებენ ევროპარტიები ქართული პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარებაში? ახალი ინსტიტუციონალისტებისთვის ინსტიტუტები წარმოადგენს ძირითად ცვლადს ევროპის კავშირში ინტეგრაციის პროცესში, რადგან მათ შეუძლიათ განსაზღვრონ და გავლენა მოახდინონ ევროპის კავშირის პოლიტიკის მიმდინარეობაზე. ასეთი მიდგომის მიხედვით, ევროპის კავშირის ინსტიტუტები ეროვნული სახელმწიფოების ინტეგრაციისთვის თამაშობენ შუამავალ როლს. ინსტიტუციური წესები, ნორმები და რესურსები აყალიბებენ ეროვნული აქტორების ქცევას. (STEINMO, 2001, PP. 1-5).

ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია 1977 წელს წარმოიშვა სოციოლოგის, ჯონ მეიერის ნაშრომებიდან. მეიერის დამსახურებით, ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორიამ განსაზღვრა ინსტიტუტების როლი ორგანიზაციულ სტრუქტურებში. ამ შეხედულების მიხედვით, ინსტიტუტები გავლენას ახდენენ და აყალიბებენ ინდივიდების ქცევებს, რადგან თავად ორგანიზაციებიც ინსტიტუტების შესაბამისად ფუნქციონირებენ. ჯონ მეიერის გარდა, ახალი ინსტიტუციონალიზმის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს როვანისა და ცუკერის ნაშრომებმა. ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია აღიარებს ინსტიტუტების სიძლიერეს მის ირგვლივ არსებული აქტორების განვითარების საქმეში. ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორიისა და ჩვენს მიერ ფორმულირებული ჰიპოთეზის გაერთიანების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპარტიები წარმოადგენენ ევროპის კავშირის ერთ-ერთი ინსტიტუტის, ევროპარლამენტის ელემენტებს, რომლებიც თავის მხრივ მოწოდებულნი არიან ეროვნულ პარტიებს, ამ შემთხვევაში, ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას იდეოლოგიური პროფილის განვითარებაში გაუწიონ დახმარება.

ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპარტიებში გაერთიანების პროცესი პირდაპირ უკავშირდება ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორიას. აღნიშნული პარტიები იდეოლოგიური პროფილის განვითარებას სწორედ იმ მიზეზით ცდილობენ, რომ ევროპის კავშირში გაერთიანდნენ. ამ შემთხვევაში, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ევროპის კავშირში ინტეგრაციის მნიშვნელოვან საფეხურს სწორედ მისი ერთ-ერთი ინსტიტუტი, ევროპარლამენტი წარმოადგენს, სადაც სხვადასხვა ევროპარტიები არიან წარმოდგენილნი. ევროპარლამენტი ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის წარმოადგენს ძირითად ცვლადს ევროპის კავშირში გაწევრიანების კუთხით, რაც ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორიას პირდაპირ უკავშირდება. გარდა ამისა, ახალი ინსტიტუციონალიზმის თანახმად ინსტიტუციური ნორმები, წესები და რესურსები აყალიბებენ ეროვნული აქტორების ქცევას, აქიდან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება მოწოდებულნი არიან იდეოლოგიური პროფილის განვითარების კუთხით ევროპარტიების რეკომენდაციების შესაბამისად იმოქმედონ. ევროპარლამენტი, როგორც ევროპის კავშირის ერთ-ერთი ინსტიტუტი გავლენას ახდენს ქართული პოლიტიკური პარტიების ქცევაზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპარლამენტსა და ევროპარტიებში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაერთიანების პროცესი იდეოლოგიური პროფილის დახვეწის კუთხით წარმოადგენს ინსტრუმენტს, რათა ევროპის კავშირში გაწევრიანებისკენ გადაიდგას პრაგმატული ნაბიჯი. ქართული პოლიტიკური პარტიების ნაწილისთვის, ევროპის კავშირის ინსტიტუტებთან დაახლოება ევროპის კავშირში გაწევრიანების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. (STEINMO, 2001, PP. 1-5).

ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპარტიებთან თანამშრომლობა წარმოადგენს ევროპარლამენტში გაწევრიანების ერთ-ერთი წინაპირობას, რაც თავის მხრივ, გულისხმობს საბოლოო მიზნის მიღწევას, ევროპის კავშირში გაწევრიანებას. სწორედ ამ კუთხით დაგვეხმარება ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია, რათა აღნიშნული საკითხი უკეთ შევისწავლოთ.

კვლევის მეთოდოლოგია

ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესის სიღრმისეული ანალიზის შესწავლის მიზნით დაგვეხმარება **თვისებრივი კვლევის მეთოდები**, რადგან ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა აღნიშნული საკითხის გამომწვევი მიზეზების შესწავლა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოკვეთის ნაცვლად. თვისებრივი კვლევის მეთოდები დაგვეხმარება გავარკვიოთ ის, თუ რა გავლენას ახდენს ევროპარტიებში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე, ამასთანავე, რა როლს თამაშობს იდეოლოგია ქართული პარტიების დღის წესრიგში და რა კავშირი არსებობს ერთი მხრივ, ევროპარტიებს, მეორე მხრივ კი, ეროვნულ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) შორის. თვისებრივი კვლევის მეთოდები დაგვეხმარება იმის შესწავლაშიც, თუ რა როლს ასრულებს ინტერპერსონალური კავშირები ეროვნულ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის ურთიერთობების განვითარების კუთხით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევის მეთოდებისთვის დამახასიათებელია მისი დახვეწა და მოდიფიკაცია, რის გამოც მას ხშირად „ინტერაქციულსაც“ უწოდებენ. ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების ურთიერთობათა პროცესი სტატიკურობას არის მოკლებული, რადგან მხარეთა შორის პოლიტიკური პროცესები საკმაოდ ხშირად იცვლება. შესაბამისად, თვისებრივი კვლევის მეთოდები საშუალებას იძლევა კვლევის ყველა პუნქტი წინდაწინ მკაცრად გაწერილი არ იყოს და ურთიერთობათა ცვლილების შემთხვევაში შეგვეძლოს გარკვეული დეტალების მოდიფიკაცია. აღნიშნული კვლევის მიზანია ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპარტიებში გაწევრიანებას, მათი იდეოლოგიური პროფილის განვითარებასა და მხარეთა შორის იდეოლოგიური თანხვედრის საკითხებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და იმის გამოკვეთა, თუ რა კავშირშია ევროპარტიაში გაწევრიანება თავად ეროვნული პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიური პროფილის დახვეწასთან. ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ურთიერთობათა შესწავლა ეფექტურია **„შემთხვევის**

შესწავლის“ (Case Study) პირობებში, რომელიც ინდივიდის, ჯგუფისა თუ რომელიმე მოვლენის სიღრმისეულ ანალიზს ითვალისწინებს. აღნიშნული კვლევის პროცესში ასეთ მოვლენას წარმოადგენს ქართული ოცნების გადაწყვეტილება, რომ ევროპარტიიდან გარიცხვამდე თავად დაეტოვებინა ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) ოჯახი. აღნიშნული მოვლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ქართულმა ოცნებამ ევროპარტიის დატოვების ერთ-ერთ მიზეზად მისი იდეოლოგიური ტრანსფორმაცია დაასახელა, რაც მხარეთა შორის იდეოლოგიური თანხვედრის პრობლემის საკითხს უკავშირდება. იქიდან გამომდინარე, რომ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი ჩვენი კვლევის ჰიპოთეზაში ფიგურირებს, მნიშვნელოვანია ამ მოვლენის სიღრმისეული ანალიზი, რადგან მისი დახმარებით სხვა დასკვნების გამოტანის საშუალებაც მოგვეცემა. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ფორმულირება, რომ მხარეთა შორის იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი ზოგჯერ, მართლაც ასრულებს გადამწყვეტ როლს. ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესის შესასწავლად დაგვეხმარება **ექსპერტული შერჩევა,** რომელიც სპეციალურ გამოცდილებასა და კვალიფიკაციას მოითხოვს რესპონდენტისგან. ექსპერტული შერჩევის სპეციფიკის გათვალისწინებით, რესპონდენტს გამოკვლეული უნდა ჰქონდეს ევროპარტიებში ქართული პარტიების გაერთიანების პროცესი, იდეოლოგიური თანხვედრისა და ინტერპერსონალური კავშირების საკითხები. ექსპერტული შერჩევის დახმარებით, შესაძლებელი ხდება აღნიშნული თემის სიღრმისეულად გაანალიზება, რადგან მოწოდებული ინფორმაცია დაფუძნებული იქნება კონკრეტულ ცოდნაზე. ექსპერტული შერჩევა, თავის მხრივ, აღნიშნულ კვლევას მეტ სანდოობასა და ობიექტურობას მიანიჭებს, რადგან ცოდნაზე/გამოცდილებაზე დაფუძნებული ინფორმაცია გარკვეულ მიკერძოებასაც არის მოკლებული. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტული შერჩევის საფუძველზე ინტერვიუების ჩასატარებლად სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა დაგვეხმარა, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სადისკუსიო გეგმის ჩამოყალიბებას. მონაცემთა მოპოვების მეთოდის კუთხით, რელევანტურია **სიღრმისეული ინტერვიუს,** კერძოდ კი, **ინდივიდუალური ინტერვიუს** გამოყენება. ინდივიდუალური ინტერვიუ დაგვეხმარება კვლევის კუთხით მივიღოთ ცოდნა რესპონდენტთა გამოცდილებისა და დამოკიდებულებების შესახებ. სიღრმისეული ინტერვიუ სოციალური ინტერაქციის

კუთხით ორ მხარეს, რესპონდენტსა და მკვლევარს მოიცავს. ამასთანავე, მისი გამოყენების პირობებში მკვლევარს გარკვეული შემოქმედების საშუალება ეძლევა და ის მკაცრად განსაზღვრული კითხვარის მიხედვით აღარ მოქმედებს. შესაბამისად, საკითხის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ინტერვიუს მიმდინარეობისას შესაძლოა კითხვათა თანმიმდევრობა შეიცვალოს, რაც თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენების საფუძველს კიდევ უფრო ამყარებს.

აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, ექსპერტულ შერჩევაზე დაყრდნობით, ჩატარდა 4 ინდივიდუალური ინტერვიუ, მათგან, 3 ინტერვიუ ყურადღებას ამახვილებს ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობებზე, ხოლო 1 ინტერვიუ მიმოიხილავს ქართული პოლიტიკური პარტიების იმ პრობლემებს, რომლებიც აფერხებენ იდეოლოგიური პროფილის განვითარების პროცესს. ექსპერტული შერჩევის საფუძველზე ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუების პირობებში ლევან კახიშვილმა, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსმა საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარა ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების კვლევის კუთხით, ხოლო დიმიტრი ცქიტიშვილთან (ქართული ოცნების ყოფილი წევრი) და ლევან ბეჟაშვილთან (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი) ჩატარებულმა ინტერვიუებმა შესაძლებლობა მოგვცა ქართული პოლიტიკური პარტიების შიდა სამზარეულოში ჩაგვეხედა და ევროპარტიებთან ურთიერთობის კუთხით ეროვნული პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებებიც შეგვესწავლა. რაც შეეხება ლევან ლორთქიფანიძესთან, პოლიტიკური პარტიების მკვლევართან ჩატარებულ ინტერვიუს, შეიძლება ითქვას, რომ მისი დახმარებით კვლევის პროცესში ყურადღება იქნა გამახვილებული ქართული პოლიტიკური პარტიების იმ პრობლემებზე, რომლებიც იდეოლოგიური პროფილის განვითარებას უშლიან ხელს. კერძოდ, ინტერვიუს მსვლელობისას წამოჭრილ იქნა ისეთი გამოწვევები, როგორებიც არის პერსონიფიცირების მაღალი დონე, ინსტიტუციონალიზაციის დაბალი ხარისხი და იდეოლოგიის ნათლად/მკაფიოდ გამოკვეთის პრობლემა.

კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია გარკვეული ცნებების კონცეპტუალიზაცია, რომელიც გულისხმობს იმის ახსნას, თუ მკვლევარი რას მოიაზრებს/გულისხმობს ცალკეული ცნების ქვეშ. ბუნდოვანი ცნებების ახსნის გარეშე მკითხველი გაურკვევლობის მდგომარეობაში რჩება, რადგან მან ზუსტად არ იცის, თუ რას გულისხმობს მკვლევარი შესაბამისი ცნების უკან, თუმცა მხოლოდ ბუნდოვანი ცნებების კონცეპტუალიზაცია საკმარისი არაა, რადგან მნიშვნელოვანია ახსნის გარდა მოხდეს მისი ემპირიულად გაზომვაც, მსგავსი პროცესი ცნობილია ოპერაციონალიზაციის სახელით. სწორედ ოპერაციონალიზაციის დახმარებით, მკითხველისთვის ნათელი ხდება ის, თუ მკვლევარი როგორ ზომავს კონკრეტულ ცვლადებს. მაგალითად, სახელმწიფოს დემოკრატიულობის გაზომვა უამრავი ინდიკატორის დახმარებით შეიძლება, მაგრამ ოპერაციონალიზაციის მეშვეობით მკვლევარი მის შესწავლას მხოლოდ რამდენიმე ინდიკატორით ცდილობს, რაც მკითხველს გარკვეულ ორიენტირს აძლევს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რითი ზომავს მკვლევარი სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხს.

ამ შემთხვევაში, კვლევის პროცესში აშკარად გამოიკვეთა ბუნდოვანი ცნება, **იდეოლოგიური პროფილი.** აქიდან, მნიშვნელოვანია მკითხველისთვის გასაგები იყოს, ერთი მხრივ, რას გულისხმობს იდეოლოგიური პროფილი, მეორე მხრივ კი ის, თუ რა ინდიკატორებით შეგვიძლია მისი გაზომვა. იდეოლოგიური პროფილი გულისხმობს საქართველოს პოლიტიკური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) მხრიდან პოლიტიკაში იდეოლოგიური კომპასის მიხედვით მოქმედებას, მაგალითად, ქართული ოცნება იდეოლოგიური პროფილის კუთხით, მემარცხენე-ცენტრისტული პარტიაა, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მემარჯვენე-ცენტრისტული. იდეოლოგიური პროფილი პირდაპირპროპორციულად უკავშირდება საქართველოს პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურ ორიენტაციას, რაც გულისხმობს იმის განსაზღვრას, თუ რამდენად სათანადოდ წარმოადგენენ პარტიები იდეოლოგიურ პოზიციებს. (საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, 2021, გვ. 34). განვითარებული იდეოლოგიური პროფილის მქონე პოლიტიკური პარტია მოწოდებულია იმოქმედოს

იდეოლოგიური ორიენტაციის მიხედვით, განუვითარებელი იდეოლოგიური პროფილის მქონე პარტია კი მოქმედებს იდეოლოგიის გარეშე და ის შედარებით პერსონიფიცირებულია იდეოლოგიზირების ნაცვლად. (რუსიშვილი, 2016). აქიდან, იდეოლოგიური პროფილი გულისხმობს იმას, თუ რომელი იდეოლოგიის მატარებელია პოლიტიკური პარტია, მისი განვითარება/განუვითარებლობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იყენებს ის იდეოლოგიას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) იდეოლოგიური პროფილის განვითარება/განუვითარებლობის გაზომვა შესაძლებელია რამდენიმე ინდიკატორით. განუვითარებელი იდეოლოგიური პროფილის მქონე პარტია ხასიათდება სუსტი ინსტიტუციონალიზაციის დონით (Mierzejewski, 2014, PP. 84-92). სუსტი ინსტიტუციონალიზაციის დონე კი პირველ რიგში გამოიხატება შიდაპარტიული გადაწყვეტილებების მაღალი ავტონომიურობის ხარისხით, რთული საბჭოთა მემკვიდრეობით, კლიენტისტური კულტურით, პერსონიფიცირებით იდეოლოგიზირების ნაცვლად და სხვა. რაც შეეხება, განვითარებული იდეოლოგიური პროფილის მქონე პარტიას, ის არ ხასიათდება მიჯაჭვულობით პარტიის ქარიზმატული ლიდერებისადმი (ქობალია, 2020, გვ. 120-121). პერსონიფიცირება იდეოლოგიზირების ნაცვლად პოლიტიკურ პარტიებს ხელს უშლის გამოიყენონ თავიანთი იდეოლოგია პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში, პარტიის იდეოლოგია ქარიზმატული ლიდერის ინტერესებით იცვლება, შესაბამისად, იდებიის მაგივრად პოლიტიკური პარტია მანევრირებას იწყებს ქარიზმატული ლიდერის ინტერესების შესაბამისად. იდეოლოგიური პროფილის განვითარება/განუვითარებლობის საკითხი პოლიტიკური პარტიების გარდა დამოკიდებულია თავად ამომრჩეველზეც, რომელსაც უჭირს ერთმანეთისგან გამიჯნოს მსგავსი იდეოლოგიის მქონე პარტიები (რუსიშვილი, 2016). საქართველოს პოლიტიკური პარტიების მხრიდან იდეოლოგიური პროფილის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთა როგორც პარტიებისთვის, ისე ამომრჩევლისთვის არის ხელსაყრელი. აქიდან, პოლიტიკური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) იდეოლოგიური პროფილის განვითარებულობის/განუვითარებლობის ინდიკატორები არის შემდეგი: **ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, პერსონიფიცირების დონე და**

იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის მაჩვენებელი. დაბალი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში შიდაპარტიული დემოკრატია იდეოლოგიური დეფიციტის გარემოში ფუნქციონირებს, მაღალი პერსონიფიცირების გამო პოლიტიკური პარტიები ქარიზმატული ლიდერების დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებენ იდეათა სისტემის ნაცვლად, ხოლო იდეოლოგიის მწირად გამოკვეთის პირობებში ამომრჩეველი გაუცხოებულია პოლიტიკურ პარტიასთან და მისთვის გაურკვეველია, თუ რომელ იდეოლოგიურ სიბრტყეში იმყოფება ის, იდეოლოგიური გაუგებრობის ვითარებაში პოლიტიკური პარტიები განსხვავებულობის ნაცვლად ერთმანეთს ემსგავსებიან, რაც საზოგადოებას ურთულებს არჩევნის გაკეთების საშუალებას.

ძლიერი პარტიული ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს პროცესს, რომლის დახმარებითაც პარტიები აყალიბებენ მასობრივი მობილიზაციისა და შიდა ორგანიზაციის თანმიმდევრულ ეტაპებს. პარტიული ინსტიტუციონალიზაციის დონე, ზოგიერთი კვლევის მიხედვით, გამოითვლება ორი განსხვავებული ინდიკატორის მიხედვით, კერძოდ, პარტიის საშუალო ასაკითა და საარჩევნო პარტიის დომინირების ინდექსით. მეორე ინდიკატორი განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის მიღწევებს არჩევნების კუთხით.

საქართველოს **პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის** კუთხით, დიდი უთანხმოება არსებობს მეცნიერთა შორის, თუ როგორ უნდა განისაზღვროს პარტიული ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი. საქართველოს პოლიტიკურ სისტემას ახასიათებს დაბალი პარტიული წევრობის დონე და სუსტი პარტიული ლოიალობის მაჩვენებელი. საქართველოში რეგისტრირებულია 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტია, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმე არის აქტიურად ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკური პარტიების სუსტი ინსტიტუციონალიზაციის გამო, ისინი ადეკვატურად ვერ წარმოადგენენ მოსახლეობის ფართო ინტერესებს. საქართველოში არ არსებობს სტაბილური და სოციალურად სრულყოფილი პოლიტიკური პარტია, რომელსაც შეუძლია საზოგადოების ინტერესების გაერთიანება. საქართველოს პარტიული სისტემისთვის დამახასიათებელია ერთი, დომინანტი პარტიის კონცეფცია („მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“). საკანონმდებლო ორგანოებში ძალაუფლების პარტიების დომინირება კიდევ ერთხელ მიუთითებს პარტიათა სუსტი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხზე. სუსტი ინსტიტუციონალიზმის დამსახურებით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) იმართებიან ზემოდან ქვემოთ კონცეფციით, რაც ხელს უშლის მათ მჭიდრო კავშირს ქართულ საზოგადოებასთან. საქართველოს პოლიტიკური პარტიები მოკლებულნი არიან იდეოლოგიას, მათ არ აქვთ განვითარებული ინსტიტუციური ჩართულობა და არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი სოციალურ დონეზე. პოლიტიკური პარტიებისთვის უპირველესი მიზანი არის პარლამენტში ადგილების მოპოვება და არა იდეოლოგიური პროფილის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩევლისა და პარტიის დაახლოების შესაძლებლობას. საქართველოში პარტიათა უმრავლესობის ჩამოყალიბება პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების გათვალისწინებით ხდება, სოციალური ფაქტორების გაანალიზების გარეშე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) დაბალი ინსტიტუციონალიზაციის დონე მოწმობს იმაზე, რომ მხარეებმა ვერ შეძლეს მყარი კავშირების დამყარება ამომრჩეველთან, პოლიტიკური პარტიების ამომრჩევლები საკმაოდ ცუდად იცნობენ პარტიათა იდეოლოგიურ პროფილს. სუსტი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში, ოპოზიციური პარტიები სწრაფად ყალიბდებიან და ქრებიან. მაღალი საარჩევნო არასტაბილურობის კუთხით, საქართველოს პოლიტიკური პარტიებისთვის დამახასიათებელია საარჩევნო პროგრამის სისუსტე, მოქალაქეთა უმრავლესობას უჭირს პარტიათა საარჩევნო პროგრამის ამოცნობა. სუსტი ინსტიტუციონალიზაციის გავლენით, პოლიტიკური ელიტა არ მოქმედებს ამომრჩევლის შესაბამისად, არამედ სტრატეგიული გაანგარიშების მიხედვით. საქართველოში მოჩვენებითი ინსტიტუციონალიზაციის მთავარი მახასიათებელი არის ელიტაზე ორიენტირებული პარტიული სისტემა, საზოგადოებაზე ორიენტირებული იდეოლოგიის ნაცვლად. ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის დამახასიათებელია ლიდერთა პიროვნების გადაჭარბებული როლი, იდეოლოგიზირების ნაცვლად, პარტიათა უმრავლესობა პერსონიფიცირებულია. ჩვეულებისამებრ, საქართველოში პარტიების შექმნა ქარიზმატული ფიგურის გარშემო ნორმად ითვლება, პოლიტიკური

პარტიების პერსონიფიცირების გამოკვეთას ხელს მედიის წარმომადგენლებიც უწყობენ. ასეთ პირობებში, პოლიტიკოსების პიროვნული ნიშან-თვისებები და ქცევები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური და პოლიტიკური საკითხები. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების არჩევისას ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ქარიზმატული პიროვნების გავლენა. კლიენტისტური ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩეველს შორის სუსტი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხზე მიუთითებს, იდეოლოგიური პროფილის გამოკვეთის ნაცვლად, ამომრჩეველსა და პარტიას შორის კომუნიკაცია იერარქიული დონის მიხედვით ხორციელდება. საქართველოს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობაში ახალგაზრდები მხოლოდ ნაწილობრივ არიან წარმოდგენილნი, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ისინი პოლიტიკური პარტიების რიგებში საერთოდ არ არიან. ამასთანავე, პარტიული გადაწყვეტილების მიღება ხშირად, იერარქიული კიბის მიხედვით ხორციელდება, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინების გარეშე, რაც პარტიათა სუსტი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხით არის გამოწვეული. (MELIKIDZE, 2016, P. 163).

პიროვნების პოლიტიკური პროფილი შემუშავდა იმისთვის, რომ პოლიტიკის შემქმნელებს ჰქონდეთ ინფორმაცია ლიდერის ფენომენის შესახებ, ფსიქოლოგიური წარმოდგენის კონტექსტში. პიროვნების პოლიტიკური პროფილის საკითხის ირგვლივ მთავარი კითხვა არის ის, თუ რა მოვლენებმა და გამოცდილებამ შეუწყო ხელი ლიდერის პიროვნების ჩამოყალიბებას და რა ფსიქოლოგიური ძალები არსებობს პიროვნებაში, რომლებიც პოლიტიკურ ქცევას განაპირობებენ? პოლიტიკური ლიდერის ქარიზმატული თვისებების შესწავლით მკვლევარმა შესაძლოა გამოიკვლიოს ის, თუ რატომ ანიჭებენ ამომრჩევლები უპირატესობას პიროვნებას იდეოლოგიის სანაცვლოდ.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების **პერსონიფიცირების** კუთხით, ამბიციური პოლიტიკური პიროვნებების ხელმძღვანელობით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები გაჩნდნენ, გაიყვნენ ან დაიშალნენ. საქართველოს საპარლამენტო ისტორიის გათვალისწინებით, მიხეილ სააკაშვილის მსგავს მსხვილ საარჩევნო ალიანსებს ფრაგმენტაციისა და ნგრევის სამწუხარო გამოცდილება აქვთ. საქართველოს ელიტების ფორმირება და მათი მორგება 2003 და 2004 წლების მოვლენების შემდგომ გარემოებებთან

თვალსაჩინო იყო. საქართველოში კანონმდებლობა შემუშავდა ძლიერი, ელიტური დაჯგუფებების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ამას პარლამენტში პოლიტიკური ალიანსების შემაჯამებელი აღწერა ასახავს. ასეთი კონგლომერატები არ არიან გარკვეული პოლიტიკისა და პრინციპების საფუძველზე აგებული ორგანიზაციები, არამედ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ელიტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და იდეოლოგიზირების ნაცვლად, ქარიზმატული ლიდერის დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებენ. 2013 წლის ნოემბერში ქართული ოცნების ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმა გაკეთებული განცხადების საფუძველზე პრემიერ-მინისტრობის პოსტი დატოვა, 2018 წელს, ის პოლიტიკაში კვლავ დაბრუნდა და პარტიის თავმჯდომარედ იქნა არჩეული. მანამდე, 2016 წელს ქართული ოცნების ერთ-ერთი წევრის განცხადებით, ქართული ოცნების წარმომადგენლები ბიძინა ივანიშვილს მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით აზრს ეკითხებოდნენ. აღნიშნული საკითხი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსა და ოპოზიციური პარტიების უმრავლესობაში ეჭვს ბადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი არაფორმალური მეთოდებით მართავს პარტიას. თავის დროზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მისამართით გაჟღერებული კრიტიკაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი იყო მიხეილ სააკაშვილი, როგორც ქარიზმატული ლიდერი და არა თავად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიური ჭრილი. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ქარიზმატული ადამიანების გარშემო იქმნებოდა (მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება). საქართველოს პოლიტიკური პარტიები (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) დღემდე მოქმედებენ პოლიტიკური ლიდერების დღის წესრიგის მიხედვით, იდეოლოგიური ჭრილის მიხედვით მოქმედების სანაცვლოდ. პარტიათა ნაწილისთვის, მნიშვნელოვანია ლიდერის იმიჯი და პიროვნული თვისებები და არა იდეათა ერთობლიობა, როგორც პარტიის განმსაზღვრელი, მამოძრავებელი ბერკეტი. აქიდან, მაღალი პერსონიფიცირების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ამომრჩეველი კონცენტრირებულია ქარიზმატულ ლიდერზე, იდეოლოგიური გათვითცნობიერების მაგივრად. (რუსიშვილი, 2016).

იდეოლოგიის მთავარი მიზანია საზოგადოებას შესთავაზოს ცვლილება, იდეოლოგია არის იდეათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივი საკითხების შესაფასებლად. იდეოლოგიას აქვს ახსნა-განმარტებითი ფუნქცია, მისი დახმარებით, შესაძლებელია სოციალური პრობლემებისა და ფაქტების გამომწვევი მიზეზების ახსნა, რაც ინდივიდებსა და ჯგუფებს საშუალებას აძლევს საზოგადოებაში გარკვეული ორიენტირის მიხედვით იმოქმედონ. ამასთანავე, იდეოლოგიას აქვს შეფასებითი ფუნქციაც.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების მხრიდან **იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის** კუთხით, ქართულ პოლიტიკაში იდეოლოგიური ვაკუუმი არსებობს. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის მიხედვით, ქართული ოცნების ამომრჩეველს სოციალურ-კულტურულ საკითხებზე ნაწილობრივ, ცენტრისტული ხედვები აქვს, რომელიც ლიბერალური ღირებულებებისკენაც იხრება, როცა თავად პარტია, მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგიის მატარებელია. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლები, ზოგადად, ლიბერალიზმისკენ იხრებიან, თუმცა ეკონომიკურად მემარცხენე იდეოლოგიისკენ არიან მიდრეკილნი, როცა თავად პარტია მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიის აღმსარებელია. აქიდან, საქართველოს პოლიტიკური პარტიების მხრიდან იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები არსებობს, რადგან ერთი საკითხია პარტიის იდეოლოგია, ხოლო მეორე საკითხი, ამომრჩევლის ცნობიერება პარტიათა იდეოლოგიის მიმართ. მემარცხენე-ცენტრისტული პარტიის ამომრჩეველი ზოგიერთ შემთხვევაში, უპირატესობას ანიჭებს მემარჯვენე იდეოლოგიას, ხოლო მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიის შემთხვევაში, მემარცხენე იდეოლოგიას, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პარტიასა და ამომრჩეველს შორის იდეოლოგიური სიცხადის კუთხით ვაკუუმი არსებობს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გათვითცნობიერებული აქვთ ამომრჩევლებს პარტიებისადმი ხმის მიცემის პროცესი, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის მიხედვით, იდეოლოგიური კუთხით, ამომრჩევლის დაშორება ქართულ ოცნებასთან ყველაზე მცირეა, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იგივე შემთხვევაში, მე-6 ადგილზე იმყოფება. (9 საპარლამენტო პარტიიდან). იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის თვალსაზრისით, საქართველოში პოლიტიკური პარტიების მხრიდან

სერიოზული პრობლემები იკვეთება. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებობენ ისეთი პარტიები, რომლებიც იდეოლოგიური კუთხით, ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგანან და ამომრჩეველს მათი ერთმანეთისგან გარჩევა საკმაოდ უჭირს. (ევროპული საქართველო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ლელო, სტრატეგია აღმაშენებელი და სხვა). პარტიათა თითოეული წყვილების იდეოლოგიური სიახლოვე მიგვითითებს, რომ იდეოლოგიას მართლაც რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდეს, უამრავი პარტიის ნაცვლად, მხოლოდ რამდენიმე უნდა არსებობდეს. არაერთი ექსპერტის შეფასებით, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ვერ ექნებათ დახვეწილი იდეოლოგიური პროფილი, რადგან ქვეყანას პოლიტიკური სისტემის შენების კუთხით, მხოლოდ მცირედი გამოცდილება აქვს. (საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, 2021, გვ. 34).

ნაშრომის სტრუქტურა

აღნიშნული ნაშრომი სტრუქტურის კუთხით სამ ძირითად ნაწილად არის დაყოფილი. პირველი თავი ევროპარტიებში გაერთიანებისთვის საჭირო პროცედურებს მიმოიხილავს. მეორე თავი ყურადღებას ამახვილებს ევროპარტიებში გაერთიანებაზე და მის გავლენაზე ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარების კუთხით, ხოლო მესამე თავი მიმოიხილავს ქართული პოლიტიკური პარტიების გამოწვევებს ადგილობრივ დონეზე.

პირველი თავი, თავის მხრივ, იმ პროცედურების განხილვას ეძღვნება, რომელთა დახმარებითაც ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს ევროპარტიებში გაწევრიანება შეუძლიათ. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი თავი ოთხი ქვეთავისგან შედგება. 1.1. და 1.2. ქვეთავები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ქართული ოცნებისა და ევროპის სოციალისტური პარტიის (PES), ამასთანავე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ურთიერთობებს მიმოიხილავს. რაც შეეხება 1.3. და 1.4. ქვეთავებს, მათში განხილულია ევროპარტიების მოტივები ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის კუთხით და პირიქით, ქართული პოლიტიკური პარტიების მოტივები ევროპარტიებთან თანამშრომლობის კუთხით.

აღნიშნული ნაშრომის მეორე თავი პირდაპირ ეხმიანება საკვლევ კითხვასა და ჰიპოთეზას, ის მიმოიხილავს ევროპარტიებში გაერთიანებას და მის გავლენას ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარებაზე. მეორე თავი ორი ქვეთავისგან შედგება. 2.1. ქვეთავი ევროპის სოციალისტური პარტიის (PES), ხოლო 2.2. ქვეთავი ევროპის სახალხო პარტიის (EPP) პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას. საკითხის მეტი ობიექტურობის მიზნით, დაუშვებელია ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების ურთიერთობებში მხოლოდ ამ უკანასკნელთა დადანაშაულება, რადგან თავად ევროპარტიებიც დგანან რიგი გამოწვევების წინაშე.

ნაშრომის მესამე თავი ქართული პოლიტიკური პარტიების იმ პრობლემებს ეხება, რომლებიც მათი იდეოლოგიური პროფილის განვითარების საკითხს აფერხებენ. აქიდან, მესამე თავი ქართული პოლიტიკური პარტიების გამოწვევებს მიმოიხილავს

ადგილობრივ დონეზე. მესამე თავი სამი ქვეთავისგან შედგება. 3.1. ქვეთავი არის ინსტიტუციონალიზაციის საკითხი, 3.2. ქვეთავი - პერსონიფიცირების პრობლემა, ხოლო 3.3. ქვეთავი - იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის საკითხი.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მიმოხილულია კვლევის შედეგები.

თავი I - ევროპარტიებში გაერთიანებისთვის საჭირო პროცედურები

ევროპარტიებში გაერთიანებისთვის საჭირო პროცედურების განხილვამდე მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა, თუ თავად ევროპარტიები რა როლს ასრულებენ ევროპარლამენტის ფუნქციონირებაში. ევროპარტიები წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციულ ტიპს, რომლებიც მოქმედებენ ევროპის კავშირის ინსტიტუტებში. ევროპარტიები რეგულირდებიან და ფინანსდებიან ევროპის კავშირის რეგულაციით (No. 1141/2014). ევროპარტიები, როგორც წესი, შედგება ეროვნული პარტიებისგან და არა ცალკეული პირებისგან, მათ აქვთ ექსკლუზიური უფლება განახორციელონ კამპანია ევროპული არჩევნების დროს და გამოხატონ საკუთარი თავი ევროპარლამენტში აფილირებულ პოლიტიკურ ჯგუფებთან თანამშრომლობის კუთხით. ამასთანავე, ევროპარტიები გავლენას ახდენენ ევროპული საბჭოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მთავრობათა მეთაურებთან საკოორდინაციო შეხვედრების გზით. ევროპარტიები მჭიდროდ თანამშრომლობენ მათთან აფილირებულ წევრებთან და ცდილობენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ევროპის კავშირის პოლიტიკის შემუშავებაში. 2022 წლის ივნისის მონაცემებით, ევოპის კავშირში რეგისტრირებულია 10 ევროპარტია, მათგან ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ორი მათგანი, ევროპის სახალხო პარტია და ევროპის სოციალისტური პარტია. ყველა ამჟამინდელი ევროპარტია ძირითადად შედგება ეროვნული პარტიებისგან და ცალკეული წევრებისგან (დეპუტატი ან ევროპარლამენტარი). ამასთანავე, საინტერესოა რომ ინდივიდებს შეუძლიათ გახდნენ ევროპარტიების ცალკეული წევრები ეროვნულ პარტიაში გაწევრიანების გარეშე, მაგალითად, მარიან ჰარკინი, რომელიც ევროპის დემოკრატიული პარტიის ინდივიდუალური წევრი იყო.

რაც შეეხება ევროპარლამენტს, მისი წევრები პოლიტიკური და არა ეროვნული კუთვნილების მიხედვით არიან გაერთიანებულნი. პოლიტიკური ჯგუფის შესაქმნელად საჭიროა 23 წევრი და წევრი სახელმწიფოების მინიმუმ ¼ მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი ჯგუფში. ევროპის კავშირის რეგულაციებით, წევრები არ შეიძლება ეკუთვნოდნენ ერთზე მეტ პოლიტიკურ ჯგუფს. ევროპარლამენტში წარმოდგენილი

თითოეული პოლიტიკური ჯგუფი ზრუნავს საკუთარი შიდა ორგანიზაციის განვითარებაზე და მის უზრუნველსაყოფად თავმჯდომარეს, თანათავმჯდომარეებს, ბიუროსა და სამდივნოს ნიშნავს. ჯგუფები შესაძლოა დაფუძნებული იყოს ერთი ევროპული პოლიტიკური პარტიის გარშემო (ევროპის სახალხო პარტია, ევროპის სოციალისტური პარტია) ან შესაძლოა შეიცავდეს ერთზე მეტ ევროპულ პარტიას, ეროვნულ პარტიებსა და დამოუკიდებელ ინდივიდებს (ლიბერალური ჯგუფი). თითოეული ჯგუფის თავმჯდომარეები იკრიბებიან პრეზიდენტთა კონფერენციაზე, რათა გადაწყვიტონ ის, თუ რა საკითხები განიხილება ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე. ისტორიულად, ევროპის კავშირში ორი უდიდესი საპარლამენტო ფორმირება იყო ევროპის სახალხო პარტიისა (EPP Group) და სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის (S&D)[6] ჯგუფი, რომლებიც აფილირებულნი არიან მათ შესაბამის ევროპულ პოლიტიკურ პარტიებთან. (ევროპის სახალხო პარტია, ევროპის სოციალისტური პარტია). 2023 წლის მონაცემებით, ევროპის სახალხო პარტიის წევრების რაოდენობა ევროპარლამენტში წარმოადგენს 175-ს, ხოლო ევროპის სოციალისტური პარტიისა, 145-ს.

ევროპის კავშირში არსებული პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები ასრულებენ რამდენიმე მნიშვნელოვან როლს. ისინი საგარეო დონეზე წარმოადგენენ ამომრჩევლისა და პარტიის წევრების შეხედულებებსა და ინტერესებს, ამომრჩეველს სთავაზობენ საჯარო პოლიტიკის ვარიანტების კონკურენტულ კომპლექტს, რეკრუტირებენ და ამზადებენ პოლიტიკურ ლიდერებს, ხელს უწყობენ საზოგადოებაში სხვადასხვა ინტერესების კოლექტიური მიზნების გამოხატვას და გაერთიანებას, ლობირებენ ეროვნულ დონეზე არსებულ პრობლემებს და სხვა.

ევროპარტიებში გაერთიანებისთვის საჭირო პროცედურების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიური ორიენტაციის თანხვედრა (კახიშვილი, 2018, გვ. 4) აფილირებულ ევროპარტიასთან, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი ძირითადად, მაინც ფორმალობას წარმოადგენს, რადგან გაერთიანების პროცედურაში გადამწყვეტი როლი

[6] Progressive Alliance of Socialists and Democrats

მაინც ინტერპერსონალურ კავშირებს ენიჭება. მიუხედავად ამისა, ნაკლებად არის მოსალოდნელი ეროვნული პარტიების მხრიდან ევროპარტიებში გაერთიანება თუ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი მოუწესრიგებელია. იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი გულისხმობს კონკრეტული ევროპული ოჯახის ღირებულებათა აღიარებას და პოლიტიკურ ველზე მის მიხედვით მოქმედებას. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული პოლიტიკური პარტია ღირებულებების კუთხით თანხვედრაში ვერ მოდის ევროპარტიასთან შესაძლოა მისი წევრობის სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. მაგალითად, სწორედ იდეოლოგიური დაშორებისა და ღირებულებითი გამოწვევების გამო მოუწია უნგრეთის პოლიტიკურ პარტიას, „ფიდესს“ ევროპის სახალხო პარტიის (EPP) დატოვება. აქიდან, ღირებულებითი კომპონენტი მხარეებს იდეოლოგიური კუთხით ჰარმონიაში ამყოფებს. იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მხოლოდ დეკლარირებული, ერთია ეროვნული პოლიტიკური პარტია მხოლოდ განცხადებების სახით გამოხატავდეს ღირებულებით ერთგულებას ევროპარტიის მიმართ, ხოლო მეორე ის, რომ ეროვნული პოლიტიკური პარტია სწორედ ამ ღირებულებების მიხედვით მოქმედებდეს. დეკლარირებული განცხადებები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ეროვნული პოლიტიკური პარტიები ევროპარტიებთან იყვნენ აფილირებულნი, რადგან ამ უკანასკნელთათვის იდეოლოგიური თანხვედრის საკითხს პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს. ევროპარტიებში გაწევრიანებისთვის საჭირო ინტერპერსონალური კავშირების გავლენაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ევროპის სახალხო პარტიაში ახალი მემარჯვენეების გაწევრიანებას ერთიანმა ნაციონალურმა მოძრობამ სავარაუდო არაფორმალური ვეტო დაადო, ამასთანავე, ევროპულმა საქართველომ მარტივად შეძლო ევროპის სახალხო პარტიასთან აფილირება, რადგან პარტიის ლიდერებს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში ყოფნის დროსაც ჰქონდათ ევროპის სახალხო პარტიასთან ახლო ურთიერთობები. (კახიშვილი, 2018, გვ. 19). ევროპარტიაში გაწევრიანების მიზნით, ეროვნული პარტიებისთვის (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრობა) დიდ მნიშვნელობას ატარებს ინტერპერსონალური კავშირები, რადგან გაწევრიანებაზე მიმართვის შემთხვევაში პარტიის წევრები პირდაპირ უნდა დაუკავშირდნენ ევროპარტიის წარმომადგენლებს, შესაბამისად, თუკი ეროვნული პარტიის წევრებს

ევროპარტიაში გაწევრიანებამდე მასთან ახლო ურთიერთობები აქვთ (შეხვედრები, ფორუმები, სემინარები, ვორქშოფები) საგრძნობლად იზრდება იმის ალბათობა, რომ თხოვნა გაწევრიანებაზე დაკმაყოფილებული იქნება. ინტერპერსონალური კავშირები ეროვნულ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის მოლაპარაკებების დაჩქარების პროცესს უწყობს ხელს, რაც პოზიტიურად აისახება გაწევრიანების პერსპექტივებზეც. ინტერპერსონალური კავშირების როლის გამოსაკვეთად საკმარისია საქართველოს პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხის გამოკვლევა, რომელიც სამწუხაროდ, საკმაოდ განუვითარებელია. ეროვნული პარტიები (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ორგანიზაციული კუთხით საკმაოდ სუსტნი არიან, შესაბამისად, სუსტი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში ერთ-ერთი გამოსავალი ევროპარტიებთან თანამშრომლობის კუთხით არის ინტერპერსონალური კავშირები, რომელიც მხარეთა შორის ურთიერთობათა განგრძობითობის პროცესს უწყობს ხელს. ევროპარტიები ეროვნული პოლიტიკური პარტიების მათ ოჯახში გასაწევრიანებლად საპარლამენტო სტატუსს აქცევენ ყურადღებას. მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ევროპის სახალხო პარტიაში (EPP) გაწევრიანება სწორედ მაშინ მოხდა, როცა მას მმართველობითი გამოცდილება დაგროვილი ჰქონდა და შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში მანდატებს ფლობდა. მიუხედავად ამისა, არ არის გადამწყვეტი რომ ევროპარტიასთან აფილირებული ეროვნული პარტია მმართველ ძალას წარმოადგენდეს. საკმარისია, რომ საპარლამენტო მანდატების კუთხით მას გარკვეული გავლენა ჰქონდეს, რათა ევროპარტიაში გაწევრიანების შემდეგ თავად ევროპარტიის იმიჯიც გაიზარდოს. ეროვნული პოლიტიკური პარტიებისადმი (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) საზოგადოების მხრიდან გამოჩენილი მხარდაჭერა და საპარლამენტო მანდატების მოპოვება ევროპარტიებს აგრძნობინებს, რომ მისი ევროპის ოჯახში გაწევრიანებით თავად ევროპარტიის პრესტიჟი გაიზრდება. საქართველოს პოლიტიკური სისტემის პირობებში ეროვნული პარტიების უმრავლესობა მხოლოდ იდეოლოგიური თანხვედრისა და ინტერპერსონალური კავშირების დამსახურებით ევროპარტიაში ვერ გაწევრიანდება, რადგან ევროპული ოჯახებისთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალაუფლებისა და გავლენის გაზრდას, რაც პირდაპირ გამოიხატება ეროვნული პოლიტიკური პარტიის საპარლამენტო სტატუსში.

შესაბამისად, საპარლამენტო სტატუსი საგრძნობლად ზრდის იმის ალბათობას, რომ ეროვნული პოლიტიკური პარტია ევროპარტიაში გაწევრიანდება. მიუხედავად ამისა, საპარლამენტო სტატუსი არ წარმოადგენს მხოლოდ ერთადერთ ფაქტორს, რადგან იდეოლოგიური თანხვედრისა და ინტერპერსონალური კავშირების გარეშე საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ევროპარტიებში გაწევრიანება საკმაოდ გაუჭირდებათ. *[ინტერვიუ ლევან კახიშვილთან].*

ევროპის სახალხო პარტიაში გაწევრიანების პროცედურა რამდენიმე ძირითად ნაბიჯს მოიცავს. პირველი ნაბიჯი არის ის, რომ განმცხადებელი მხარე წერილობით თხოვნას წარუდგენს პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს. მოთხოვნაში განმცხადებელმა მხარემ უნდა მიუთითოს ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკური პროგრამის მიღების სურვილის შესახებ, ამასთანავე, ევროპის სახალხო პარტიის ეთიკური ქცევის მიღების შესახებ პოლიტიკაში. პირველი საფეხურის შესრულების შემდეგ გენერალური მდივანი, პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაბამისად, განცხადებას რჩევის მისაღებად გადასცემს ევროპის სახალხო პარტიის წევრობის სამუშაო ჯგუფს, დამატებით, მოთხოვნა გადაეცემა პოლიტიკურ ასამბლეასაც (EPP Internal Regulations, 2021). საბოლოო ნაბიჯს წარმოადგენს ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკური ასამბლეის მხრიდან განაცხადის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების სტატუსი, შესაბამისად, ევროპის სახალხო პარტიასა და ევროპის სოციალისტურ პარტიაში არის დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსი (Observer Membership Party), აღნიშნული სტატუსის მქონე წევრი შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ პარტიად, რომელიც წარმოადგენს ევროპის კავშირის გარეთ მყოფ პოლიტიკურ პარტიას ან იმ სახელმწიფოს, რომელიც ისწრაფვის ევროპის კავშირის წევრობისკენ, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსი არ არის ცალსახად შექმნილი ევროპის კავშირის არაწევრი პარტიებისთვის, სანაცვლოდ, ამ ტიპის სტატუსი შესაძლოა ჩაითვალოს უფრო დაბალი ხარისხის წევრობად, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაკლები პასუხისმგებლობა როგორც ევროპარტიების, ისე ეროვნული პარტიების მხრიდან. დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსის მქონე ეროვნულ პარტიებს (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) არ აქვთ ხმის მიცემის უფლება. (LAVRELASHVILI, 2022, P. 104).

ძირითადი ევროპარტიები, მათ შორის ევროპის სახალხო პარტია და ევროპის სოციალისტური პარტია იზიარებენ მსგავს მიდგომას მათთან აფილირებული ეროვნული პოლიტიკური პარტიების მიმართ. ევროპარტიასთან აფილირებულის სტატუსის მოსაპოვებლად თავად ევროპარტია კონკრეტულ ქვეყანაში ქმნის ფაქტების დამდგენ მისიას, რათა შეისწავლოს მისი პოლიტიკური ლანდშაფტი. მისიის ფარგლებში, ევროპარტიის წარმომადგენლები ხვდებიან პოლიტიკური პარტიის წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ექსპერტებს, ჟურნალისტებს და ა.შ. პოლიტიკური ლანდშაფტის შესწავლის შემდეგ ევროპარტიის მხრიდან ხდება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შეფასება, რის შემდეგაც ევროპარტიის თავმჯდომარეობა წყვეტს, მიიღოს თუ არა განმცხადებელი ეროვნული პარტია თავის რიგებში. ევროპარტიაში გაერთიანებისთვის საბოლოო პროცედურა მოიცავს ევროპარტიის გადაწყვეტილებას, შეიძლება თუ არა პარტია პოტენციურად ასოცირებული იყოს მის პარტიულ ოჯახთან. მაგალითად, ევროპის სახალხო პარტიის (EPP) წევრობის სამუშაო ჯგუფი (Working Group on Membership) აფილირებული პოლიტიკური პარტიის სახელმწიფოში აგზავნის ფაქტების დამდგენ მისიას პოლიტიკური სიტუაციის შესაფასებლად. აღნიშნული მისია მიზნად ისახავს აპლიკანტებზე ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოპოვებას, პარტიის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდებისა და ქალთა ფილიალების აქტივისტებთან, ადგილობრივ პარტიებთან, პარტიულ ფონდებთან, საერთაშორისო დახმარების დონორებთან, ჟურნალისტებთან და ექსპერტებთან შეხვედრას. ამასთანავე, ფაქტების დამდგენი მისია მოწოდებულია შეისწავლოს განმცხადებლის პარტიული იდეოლოგია და შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხი. ამის შემდეგ, შეფასების საფუძველზე, რეკომენდაციები გადაეგზავნება პოლიტიკურ ასამბლეას, რადგან სწორედ ასამბლეა წყვეტს აპლიკანტის განაცხადი დააკმაყოფილოს თუ არა. ვინაიდან შერჩევის კრიტერიუმები ფორმალური კუთხით გაწერილი არ არის, არსებობს რამდენიმე არაფორმალური ფაქტორი, რომელიც ევროპარტიაში ეროვნული პარტიის გაერთიანების შანსს საგრძნობლად ზრდის. მაგალითად, ჩამოყალიბებული ურთიერთობა, მათ შორის ინტერპერსონალური კავშირები მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია პოლიტიკურ კომუნიკაციაში. ლოიალობა და ნდობა, თავის მხრივ, ქმნის გამჭირვალე პოლიტიკურ კომუნიკაციას, რომელიც ხელს უწყობს

განაცხადის პროცესს. პარტიის ხელმძღვანელობის ახლო ურთიერთობა ევროპარტიასთან ნდობის ფაქტორზე დადებითად აისახება. პირადი კომუნიკაცია ხელს უწყობს ევროპარტიებისთვის შესაძლო რისკების თავიდან აცილებას ან შემსუბუქებას. ურთიერთნდობის ჩამოყალიბება გულისხმობს ორმხრივ პროცედურას, ურთიერთნდობა გადამწყვეტია, ერთი მხრივ, ევროპარტიასა და განმცხადებელს შორის და მეორე მხრივ, ევროპარტიის ადგილობრივ პარტნიორებსა და განმცხადებელს შორის. ევროპარტიებისა და ეროვნული პარტიების ურთიერთნდობამ, მხარდაჭერამ შესაძლოა უარყოფითად პოზიციონირებული პარტიების დამოკიდებულება შეცვალოს განმცხადებელი ეროვნული პარტიის სასარგებლოდ. ინტერპერსონალური კავშირების გარდა, ევროპარტიებსა და ეროვნულ პარტიებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სანდო ინფორმაციის ნაკადი. იშვიათად იწყება ფაქტების დამდგენი მისიების ფუნქციონირება ქვეყანაში ნულიდან. ვინაიდან, ბრიუსელში პოლიტიკოსები ყოველთვის სიღრმისეულად არ იცნობენ ზოგიერთ სახელმწიფოში განვითარებულ მოვლენებს, ისინი ჩვეულებრივ ეყრდნობიან თავიანთი პარტნიორების რეკომენდაციებსა და შეფასებებს. მათი იდეოლოგიური ვალდებულებებისა და ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციაში ინვესტირებით, ევროპარტიები დაინტერესებულნი არიან სტაბილური და სანდო პარტნიორებით. (SHAGINA, 2017, P. 64).

როგორც ჩანს, ევროპარტიებში გაერთიანებისთვის საჭირო პროცედურები არ მოიცავს მკაცრი შემოწმებების სერიებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღნიშნული პროცედურა მმართველ პარტიას ეხება. ეროვნული მმართველი პარტიის (ქართული ოცნება) მხრიდან ევროპარტიაში გაწევრიანების განაცხადიც თავის დროზე ეფუძნებოდა უფრო ინტერპერსონალურ კავშირებსა და იდეოლოგიური თანხვედრის საკითხს, ვიდრე ღრმა და კომპლექსური პროცედურების შესრულებას. ქართული ოცნების მხრიდან ევროპის სოციალისტურ პარტიაში გაწევრიანების სურვილის კუთხით ადგილი არ ჰქონია იდეოლოგიური პროფილის მკაცრ გადამოწმებას, ყურადღება გამახვილებული იყო უფრო ქართული ოცნების იდეოლოგიაზე სოციალური, ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის რეფორმის მიმართულებით. *[ინტერვიუ დიმიტრი ცქიტიშვილთან].*

როგორც ჩანს, იდეოლოგიური თანხვედრა, ინტერპერსონალური კავშირები, საპარლამენტო სტატუსი, ლოიალობა/ნდობა და სანდო ინფორმაციის ნაკადი წარმოადგენს იმ საკითხებს, რომლებსაც ევროპარტიებში გასაერთიანებლად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

1.1. ქართული ოცნება და ევროპის სოციალისტური პარტია

თავდაპირველად, ქართული ოცნება განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიებისგან შემდგარ კოალიციას წარმოადგენდა. მისი პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების შემდეგ, ევროპარლამენტის წევრთა ნაწილმა, მათ შორის ევროპის სახალხო პარტიის (EPP) წევრებმა იმდროინდელ პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან გააგზავნეს წერილი, რომელშიც მას საქართველოს ევროპისგან დისტანცირებაში ადანაშაულებდნენ. (კახიშვილი, 2018, გვ. 9). აღნიშნული შემთხვევა საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ ამგვარი თავდასხმებისგან მოგერიების მიზნით ქართულ ოცნებას ევროპარლამენტში სანდო ევროპარტია მოეძებნა, რომელიც მას პარტნიორობას გაუწევდა. სწორედ ასეთი პარტნიორი აღმოჩნდა ევროპის სოციალისტური პარტია (PES), რომელმაც ქართულ ოცნებასთან ურთიერთობათა გაღრმავების მიზნით იდეოლოგიური თანხვედრის საკითხზე დაიწყო მუშაობა. ქართულ ოცნებას უნდა ჩამოეყალიბებინა მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგიური პოზიციები, რადგან ევროპის სოციალისტური პარტია სწორედ მსგავსი კომპასის გარშემო მოქმედებდა. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ განაახლა ქართულმა ოცნებამ პარტიის წესდება და რატომ განისაზღვრა თავი მემარცხენე-ცენტრისტულ პარტიად იყო სწორედ ევროპის სოციალისტურ პარტიაში გაერთიანების სურვილი. შედეგად, 2015 წლის ივნისში ქართულმა ოცნებამ ევროპის სოციალისტურ პარტიაში (PES) დამკვირვებლის სტატუსი მიიღო. (SHAGINA, 2017, P. 181).

2013 წლის 6 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილისადმი გაგზავნილ ღია წერილში ევროპარლამენტის 23 წევრი (მათგან 19 ევროპის სახალხო პარტიიდან) მას საქართველოს დემოკრატიულ უკუსვლაში ადანაშაულებდა და აფრთხილებდა, რომ საქართველოს ევროპული პერსპექტივები მცირდებოდა. ღია წერილში ჩამოთვლილი იყო რიგი საჩივრები, რომლებიც ახალ მთავრობას ამხილებდნენ დეპუტატებზე და ადგილობრივ კანონმდებლებზე საჯარო ზეწოლაში, ქართული მედიის თავისუფლების შეზღუდვაში და სიძულვილის ენის გამოყენებაში. ევროპარლამენტარებმა ბიძინა ივანიშვილის ახალი მთავრობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაშანტაჟებაშიც დაადანაშაულეს და ის გააფრთხილეს, რომ მსგავსი

ქმედებები ეწინააღმდეგებოდა ევროპულ ღირებულებებს. ევროპარლამენტარების შენიშვნებს თბილისში მწვავე კრიტიკა მოჰყვა. საქართველოს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ დასავლელი პოლიტიკოსები, მათ შორის, ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი, ვილფრედ მარტენსი ქართული ოცნების მიმართ მიკერძოებულობაში დაადანაშაულა. ევროპარლამენტარების ღია კრიტიკას პირდაპირი რეაქცია მოჰყვა მაშინდელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის მხრიდან, რომელმაც ევროპარლამენტარებს მოუწოდა თავი შეეკავებინათ დაუსაბუთებელი პრეტენზიებისგან. თავის მხრივ, დავით უსუფაშვილმა დაასახელა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი რამდენიმე დანაშაული, რომელიც არ შეესაბამებოდა ევროპულ ღირებულებებს. ახალი მთავრობის მხარდასაჭერად შვეიცარიის ელჩმა საქართველოში, გიუნტერ ბახლერმა ივანიშვილს ღია წერილი მისწერა და ევროპის სახალხო პარტიის ტაქტიკას საბჭოთა სტილის პროპაგანდისტული მეთოდები უწოდა. ბახლერმა შეაქო ივანიშვილის მთავრობის პირველი ნაბიჯები და ყურადღება გაამახვილა სამინისტროების შესანიშნავ საქმიანობაზე. ე.წ. „წერილების ომმა“ რამდენიმე შედეგი გამოიღო როგორც შიდა, ისე ევროპულ ასპარეზზე. ქვეყნის შიგნით, ევროპის სახალხო პარტიის კრიტიკაზე მძაფრმა რეაქციამ აჩვენა, რომ ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო აქტორების თვალით საქართველოს აღქმას. მეორეც, ამ ინციდენტმა ნაწილობრივ გამოიწვია ქართული ოცნების მისწრაფება, ევროპარტიებთან საკუთარი კონტაქტები დაემყარებინა. ევროპის სახალხო პარტიის მტკიცე მხარდაჭერამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მისამართით ქართულ ოცნებას შეუქმნა აღქმა, რომ მასაც სჭირდებოდა სანდო ევროპარტია, რომელიც ეროვნულ და საგარეო დონეზე დაიცავდა მის ინტერესებს. მხოლოდ „წერილების ომის“ შემდეგ გამოაცხადა ქართულმა ოცნებამ თავისი გეგმების შესახებ, რომ ევროპის სოციალისტურ პარტიაში სურდა გაწევრიანება. (SHAGINA, 2017, P. 179). 2013 წელს ევროპის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდნენ. შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ევროპული ინტეგრაცია იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი და მას მხარს უჭერდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. ევროპის სოციალისტური პარტიის თანათავმჯდომარეებისა და წევრების განცხადებით მნიშვნელოვანი იყო რომ

საქართველოს მიეღო სრული მხარდაჭერა ევროპის კავშირთან მჭრიდრო ინტეგრაციის მიზნით. პროცესის გასამარტივებლად საჭირო იყო ურთიერთობათა გაღრმავება ადამიანებსა და ორგანიზაციებს შორის, განაცხადა ევროპარლამენტის წევრმა, ტომი ვაიდელიჩმა. ევროპის სოციალისტური პარტიის დელეგაციას შეხვდა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც დელეგაციასთან ერთად ისაუბრა ევროპის კავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობაზე და დემოკრატიის მნიშვნელობაზე საქართველოში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ევროპის სოციალისტური პარტიის დელეგაცია ეწვია ე.წ. სამხრეთ ოსეთთან არსებულ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს, რომელიც რუსებმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაავლეს. ვიზიტის ფარგლებში ქართულმა ოცნებამ ევროპის სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე გაამახვილა ყურადღება. 2014 წელს პარტია ქართული ოცნების საერთაშორისო მდივანი, არმაზ ახვლედიანი ევროპის სოციალისტური პარტიის საარჩევნო კონგრესს დაესწრო, რომელიც რომში გაიმართა. კონგრესის ფარგლებში არმაზ ახვლედიანი ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტს, სერგეი სტანიშევს შეხვდა, რომელთანაც ქართული ოცნების ევროპის სოციალისტურ პარტიაში გაწევრიანების საკითხი განიხილა. შეხვედრის შესახებ არმაზ ახვლედიანმა აღნიშნა, რომ ევროპის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებისთვის მისასალმებელი იყო საქართველოს დემოკრატიული წინსვლა და გადადგმული ნაბიჯები სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. ახვლედიანის განცხადებით, ევროპის სოციალისტური პარტია მხარს უჭერდა ქართული ოცნების სოციალ-დემოკრატიულ ოჯახში გაწევრიანებას. (რამაზაშვილი, 2014). 2014 წლის 17 ივნისს საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელმაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ქართული ოცნებისა და ევროპის სოციალისტური პარტიის ურთიერთობათა დაახლოების პროცესს. 2015 წლის მაისში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში (რიგა) გაიმართა ევროპის სოციალისტური პარტიის ლიდერების სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა. რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციის პროცესს, მასთან დაკავშირებით ევროპის სოციალისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაცია რაც შეიძლება მალე უნდა

მიეღო. ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტის, სერგეი სტანიშევის განცხადებით, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ვიზალიბერალიზაციის მიღება, რადგან აღნიშნული პროცესი წარმოადგენდა ყველაზე ხილულ დასტურს, რომ საქართველო უახლოვდებოდა ევროპას, ამასთანავე, სტანიშევმა აღნიშნა, რომ საქართველომ შეასრულა ყველა დავალება და ის ვიზალიბერალიზაციის მიღებას ნამდვილად იმსახურებდა. 2017 წელს ქართული ოცნების წარმომადგენლები ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტს, სერგეი სტანიშევს შეხვდნენ. შეხვედრაზე ქართულმა ოცნებამ და ევროპის სოციალისტურმა პარტიამ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებასა და სახელმწიფოში დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ირაკლი კობახიძის განცხადებით, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხი ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა და ქართული ოცნების მხრიდან ბევრი გაკეთდა იმისთვის, რომ შედეგი პოზიტიური ყოფილიყო. შეხვედრის დასაწყისში ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტმა, სერგეი სტანიშევმა ირაკლი კობახიძეს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა მიულოცა და მას წარმატებები უსურვა. სტანიშევის მიხედვით, ის ქართული ოცნების პოლიტიკას მიესალმებოდა და იმედოვნებდა, რომ სოციალური დაცვისა და განათლების რეფორმები კიდევ უფრო გაფართოვდებოდა. 2018 წელს ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტმა, სერგეი სტანიშევმა განაცხადა, რომ ევროპის კავშირი ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, ამასთანავე, სტანიშევმა აღნიშნა, რომ საქართველოს პროგრესი უახლოვდებოდა ევროპის კავშირის სტანდარტებს. ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტის განცხადება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან მასში აღინიშნებოდა, რომ ევროპარტიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მმართველ პარტიასთან, ქართულ ოცნებასთან. განცხადებაში სტანიშევი ახსენებდა მიხეილ სააკაშვილსაც და აცხადებდა, რომ საქართველომ დაიწყო ავტორიტარული წესებიდან და სვლა გააგრძელა თავისუფალი საზოგადოების შექმნით, რომელიც ქართული ოცნების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო. (ბროლაძე, 2018). აღსანიშნავია სტანიშევის რიტორიკული შეკითხვა, რომელიც მან 2018 წელს დაუსვა ქართველ ჟურნალისტებს. ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტი კითხულობდა, ახლა უფრო თავისუფლად ცხოვრობდა საზოგადოება თუ ადრე? მისი

შეფასებით, პასუხი იქნებოდა, რომ საზოგადოება დღეს უფრო თავისუფლად ცხოვრობდა. 2019 წლის ნოემბერში სოციალურ ქსელში გავრცელდა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და აქტივისტების მიმართვა ევროპის სოციალისტური პარტიისადმი. წერილის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ევროპის სოციალისტურ პარტიას მიმართავდნენ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მომენტში და მოუწოდებდნენ, რომ ევროპარტიას მიეღო ადეკვატური ზომები მმართველი პარტიის, ქართული ოცნების საწინააღმდეგოდ და რეაგირება მოეხდინა ბიძინა ივანიშვილის მიერ სახელმწიფოს მიტაცების მცდელობაზე. მიმართვაში ყურადღება გამახვილებული იყო დაპირებაზე საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით (სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა), რომელზეც მმართველმა პარტიამ, ქართულმა ოცნებამ 14 ნოემბერს უარი განაცხადა. წერილის ავტორების მოსაზრებით, მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ აღნიშნული დაპირების უარყოფის უკან ბიძინა ივანიშვილი, ქვეყნის არაფორმალური მმართველი იდგა. დამატებით, წერილის მიხედვით მმართველი პარტიის უპასუხისმგებლო ნაბიჯი პოლიტიკურ პროცესს პარლამენტიდან ქუჩაში გადასვლისკენ უბიძგებდა, რითაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. სამოქალაქო სექტორი აღნიშნავდა, რომ მმართველი პარტიის მიერ განხორციელებული ქმედებები ეწინააღმდეგებოდა ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) ფუნდამენტურ ღირებულებებსა და პრინციპებს, სწორედ ამიტომ ევროპარტიას მკაფიო და მკაცრი რეაგირება უნდა მოეხდინა ქართული ოცნების ქმედებებთან დაკავშირებით. აღნიშნულ წერილს ხელს აწერდნენ: „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, „საქართველოს ატლანტიკური საბჭო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და სხვები. 2020 წელს ევროპის სოციალისტური პარტია გამოეხმაურა საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს. ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტის, სერგეი სტანიშევის განცხადებით ასეთ რთულ პერიოდში საქართველომ უაღრესად კონკურენტული არჩევნები ჩაატარა. საპარლამენტო არჩევნების შედეგები აჩვენებდა, რომ ქართველი ხალხი ევროატლანტიკური გზის ერთგული რჩებოდა. ევროპის სოციალისტური პარტია იზიარებდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ევროპის საბჭოს საერთაშორისო დამკვირვებლების

მოსაზრებას, რომ არჩევნები ჩატარდა კონკურენტულ გარემოში და მთლიანობაში, დაცული იყო ამომრჩეველთა ფუნდამენტური თავისუფლებები. (თორაძე, 2020). 2020 წელს გავრცელდა ევროპის სოციალისტური პარტიის განცხადება, რომლის მიხედვითაც ისინი მხარს უჭერდნენ გიგი უგულავას საქმის შესწავლას და საქართველოში ევროპარლამენტის ეგიდით ფაქტების დამდგენი მისიის გამოგზავნას. ევროპის სოციალისტური პარტიის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებულ წერილში ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული ინიციატივა კახა კალაძეს ეკუთვნოდა. სტანიშევის განცხადებით, ევროპის სოციალისტური პარტია მიესალმებოდა ამგვარ ნაბიჯს, რადგან ის საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაზე დადებითად იმოქმედებდა. თბილისის ყოფილ მერს, გიგი უგულავას ბრალი ედებოდა „თბილისის განვითარების ფონდიდან“ თანხის გაფლანგვაში და უფლებამოსილების გადამეტებაში. 2022 წელს ევროპის სოციალისტურმა პარტიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერდა ევროპის კავშირში უკრაინისთვის, მოლდოვისთვის და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ევროპის სოციალისტური პარტიის განცხადებით, აღნიშნული სახელმწიფოების მომავალი ევროპის კავშირში იყო და მათ სურდათ, რომ ეს მომხდარიყო რაც შეიძლება მალე, მას შემდეგ, რაც ისინი დააკმაყოფილებდნენ გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმს, მათ შორის კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სტანდარტებს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა ევროპის სოციალისტური პარტიის საქართველოსთვის მხარდაჭერის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მათი მხარდაჭერა აუცილებელი იყო ქვეყნის ევროპის კავშირში ინტეგრაციის გზაზე. (KARTOZIA, 2022). 2022 წლის ივნისში სოციალურ ქსელში გავრცელდა პოლიტოლოგის, ნიკა ჩიტაძის განცხადება, რომლის მიხედვითაც ევროპის სოციალისტური პარტია ქართული ოცნების მხარდამჭერ განცხადებებს ვერ აკეთებდა, ვინაიდან მმართველ პარტიას საქართველო არასწორი მიმართულებით მიყავდა. 2023 წლის 28 აპრილს ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) წარმომადგენლები ერთმანეთს ონლაინ შეხვდნენ და სხვა საკითხებთან ერთად ქართული ოცნების ირგვლივ განვითარებული მოვლენები განიხილეს. ევროპის სოციალისტურმა პარტიამ ღრმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებების გამო, რომელსაც დაგეგმილი

ჰქონდა, რომ ულტრაკონსერვატიულ ფორუმსა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრთან, ვიქტორ ორბანთან შეხვედრას დაესწრებოდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი მაისში ყოველწლიური კონსერვატიული პოლიტიკური კონფერენციის (CPAC) ფარგლებში მართლაც შეხვდა ორბანს. შეხვედრაზე მხარეებმა სხვა საკითხებთან ერთად საქართველოს ევროპის კავშირში ინტეგრაციის პერსპექტივა განიხილეს. ევროპის სოციალისტური პარტიის მხრიდან ქართული ოცნების მისამართით გაჟღერებულ კრიტიკას უყურადღებოდ არ ჩაუვლია თავად მმართველი პარტიისთვის. ქართული ოცნების ერთ-ერთი ლიდერის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებით ევროპელი სოციალისტების დამოკიდებულება გაუგებარი იყო, რადგან პრემიერს ორბანთან შეხვედრის დროს მათთვის მიუღებელი არაფერი გაუჟღერებია. დამატებით, ქართული ოცნების დეპუტატის, ნიკა სამხარაძის მოსაზრებით, მან არ იცოდა, ღირდა თუ არა ისეთ პოლიტიკურ ჯგუფში ქართული ოცნების დარჩენა, რომელიც კონკრეტულ კონფერენციაში მონაწილეობას კრძალავდა. ევროპის სოციალისტური პარტია (PES), რომელშიც ქართული ოცნება დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსით იმყოფება, ივნისში მისი ჯგუფიდან გარიცხვის თაობაზე იმსჯელებდა. აღნიშნული საკითხის წამოწევის მთავარი მიზეზი ევროპელი პარტნიორების განცხადებით, ბუდაპეშტში გამართულ პოლიტიკურ კონფერენციაში (CPAC) მონაწილეობა და პრორუსული ღირებულებების გაზიარება იყო. ევროპის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელმა გენერალურმა მდივანმა, ჯაკომო ფილიბეკმა განაცხადა, რომ თუ ღარიბაშვილს ღირებულებების გაზიარება ვიქტორ ორბანთან სურდა, მაშინ მათ ოფიციალურად უნდა განეხილათ ქართული ოცნების სტატუსი ევროპის სოციალისტურ პარტიაში. საქმე ქართული ოცნების ევროპის სოციალისტურ პარტიაში (PES) წევრობის სტატუსთან დაკავშირებით უკვე წამოჭრა მისმა პრეზიდენტმა, სტეფან ლოფვენმა. მიუხედავად ამისა, 11 მაისს პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ქართული ოცნება არ დაელოდებოდა ევროპის სოციალისტური პარტიის გადაწყვეტილებას და მანამდე თავად დატოვებდა ევროპარტიის რიგებს. ქართული ოცნების გადაწყვეტილების ერთ-ერთ საბაბად კობახიძემ ბოლო ხანებში ევროპის სოციალისტური პარტიის იდეოლოგიური ტრანსფორმაცია დაასახელა და განაცხადა, რომ აღნიშნული ევროპარტია სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას შორდებოდა და

ფსევდო-ლიბერალურ პლატფორმაზე გადადიოდა. ქართული ოცნების შეხედულებით, 2015 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართული ოცნება ევროპის სოციალისტური პარტიის დამკვირვებელი წევრი გახდა, მას არცერთი ხმამაღალი განცხადება არ გაუკეთებია ქართული ოცნების მხარდასაჭერად. მეტიც, კობახიძის მოსაზრებით ევროპარტიის სხვადასხვა წარმომადგენლები რადიკალური ოპოზიციის მხარდასაჭერ პოლიტიკურ კამპანიებს რეგულარულად უერთდებოდნენ. ქართული ოცნების თავმჯდომარის შეხედულებით, ევროპის სოციალისტური პარტიის სხვადასხვა წარმომადგენლები ისეთ რეზოლუციებს უჭერდნენ მხარს, რომლებიც ბიძინა ივანიშვილისადმი სანქციების დაწესებას, მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას განთავისუფლებას, ამასთანავე, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ამართლებდნენ. გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მაიკლ როთმა ირაკლი კობახიძის განცხადებებს აღმაშფოთებელი უწოდა და განაცხადა, რომ ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) იდეოლოგიური ტრანსფორმაცია არ მომხდარა. დამატებით, მისი მოსაზრებით, ქართული ოცნება არ წარმოადგენდა ევროპულ ოცნებას. ლუვენის უნივერსიტეტის ევროპის პოლიტიკური პარტიების პროგრამის თანახელმძღვანელის, თეონა ლავრელაშვილის განცხადებით, ევროპარლამენტის მასშტაბით, სოციალ-დემოკრატების ჯგუფი (S&D) ევროინტეგრაციის, გაფართოების კუთხით მაინც და მაინც, ენთუზიაზმით არ გამოირჩეოდნენ ევროპის სახალხო პარტიისგან (EPP) განსხვავებით, რომელშიც დამკვირვებლის სტატუსით იმყოფება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ამასთანავე, სოციალ-დემოკრატების (S&D) ჯგუფისთვის დამახასიათებელია უფრო ჰორიზონტალური მმართველობა, ხოლო ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფისთვის, ცენტრალიზებული მმართველობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკურ ჯგუფს ევროპარლამენტში მობილიზაციისა და კონსოლიდაციისთვის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს. ამასთანავე, თეონა ლავრელაშვილის განცხადებით, ევროპის სახალხო პარტიაში უფრო მეტი კონსოლიდაცია არსებობს, ვიდრე ევროპის სოციალისტურ პარტიაში და ეს ფაქტორიც ახდენს გავლენას იმაზე, თუ რამდენად აქტიურია ევროპის სოციალისტური პარტია ქართული ოცნების მხარდაჭერის საქმეში. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ისიც, რომ

ქართული ოცნებისა და ევროპის სოციალისტური პარტიის ურთიერთობათა ისტორია შედარებით, ახალია, ვიდრე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ევროპის სახალხო პარტიისა, რომლებსაც პირადი ურთიერთობებიც ჩამოუყალიბდათ. თეონა ლავრელაშვილის მიხედვით, ქართული ოცნება ლობირებისა და ადვოკატირების კუთხითაც მოიკოჭლებს, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების ჯგუფის (S&D) ისტორიული პრინციპებისა, საქართველოში მათი აქტივობის დონე შედარებით შეუმჩნეველია, რაც ერთგვარ პარადოქსს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ქართული ოცნების მხრიდან ლობიზმისა და ადვოკატირების პროცესი გააქტიურდეს, რათა სოციალ-დემოკრატების ჯგუფს (S&D) მეტი ინტერესი გაუჩნდეს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე. თეონა ლავრელაშვილის შეფასებით, ქართული ოცნება ყოველთვის მოიკოჭლებდა დიპლომატიურ მხარეში, ამიტომ პარტიული დიპლომატიის განვითარებისთვის საჭიროა ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც სამომავლოდ, უფრო მეტი რესურსის ჩადება უნდა მოხდეს. საერთაშორისო ურთიერთობებში ქართული ოცნების ჩავარდნაზე მიუთითებს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი კორნელი კაკაჩია, რომელიც აღნიშნავს, რომ ევროპის სოციალისტურ პარტიასთან აფილირების მიუხედავად, მათგან ქართულმა ოცნებამ უპირობო მხარდაჭერის მოპოვება მაინც ვერ მოახერხა. ამასთანავე, კორნელი კაკაჩია ფიქრობს, რომ ევროპის სოციალისტურ პარტიასა და ქართულ ოცნებას მხოლოდ სამუშაო ურთიერთობები აკავშირებთ, რაც არ არის საკმარისი. სინამდვილეში, ქართული ოცნება ევროპის სოციალისტურ პარტიასთან იდეოლოგიური კუთხით ახლოს არ არის და მის ოჯახში გაწევრიანება პარტიის მხრიდან უფრო სტრატეგიულ ნაბიჯს წარმოადგენდა. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის მიხედვით, ალბათ, ქართული ოცნება ფიქრობდა, რომ ევროპის სოციალისტურ პარტიაში გაწევრიანებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპის სახალხო პარტიის ურთიერთობებს დააბალანსებდა, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მსგავსი ნაბიჯისგან არაფერი გამოვიდა. კორნელი კაკაჩიას შეფასებით, ქართული ოცნება საერთაშორისო ურთიერთობებს სერიოზულად არ უყურებს და შედეგიც შესაბამისია, რადგან მას უჭირს ევროპასა და ამერიკაში ისეთი პერსონების გახსენება, რომლებიც ქართულ ოცნებას უპირობოდ დაუჭერდნენ მხარს. (ცქიფურიშვილი, 2022).

ევროპის სოციალისტურ პარტიასა და ქართულ ოცნებას შორის დაახლოების პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო 2016 წელს, რაც განპირობებული იყო ევროპასთან თანამშრომლობის არაერთი ფორმატის არსებობით, თუმცა ქართული ოცნებიდან საერთაშორისო ჯგუფის წასვლის შემდეგ პრაქტიკულად, თანამშრომლობის გაღრმავების რაიმე პროცესი არ მიმდინარეობს, თუ არ ჩავთვლით ზემოთ აღნიშნულ რამდენიმე შეხვედრას. *[ინტერვიუ დიმიტრი ცქიტიშვილთან].*

1.2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპის სახალხო პარტია

საქართველოს პოლიტიკურმა პარტიამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს მოიპოვა დამკვირვებლის სტატუსი ევროპის სახალხო პარტიაში. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ახლო კონტაქტები (ინტერპერსონალური კავშირები) ჰქონდათ ევროპის სახალხო პარტიასთან სხვადასხვა ფორუმების მეშვეობით. მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ევროპის საბჭოს ლიბერალურ ფრაქციაში იყო. „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდმა“ და „ჰოლანდიის სახალხო პარტიამ თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა განიხილეს პოტენციურ პარტნიორად მას შემდეგ, რაც პარტიამ გააჟღერა თავისი განზრახვა შეერთებოდა ლიბერალურ ინტერნაციონალს. პარტიაში საერთაშორისო კუთვნილების შესახებ პოზიციები გაიყო. ზურაბ ჟვანიასთან დაახლოებული ჯგუფი ლიბერალებთან კონტაქტების დამყარების მომხრე იყო, გიგა ბოკერიასთან დაახლოებული პირები კი მტკიცედ უჭერდნენ მხარს ევროპის სახალხო პარტიასთან დაახლოების პროცესს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა საბოლოოდ შეცვალა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიციები ევროპის სახალხო პარტიის სასარგებლოდ. ევროპის სახალხო პარტიის მტკიცე პოზიციამ საქართველოს ევროპის კავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ, ისევე როგორც რუსეთის აგრესიის მიმართ ძლიერმა კრიტიკამ საბოლოოდ შემოაბრუნა სასწორი ევროპის სახალხო პარტიის სასარგებლოდ. ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში ითვლებოდა, რომ ლიბერალების პოზიცია რუსეთის აგრესიის მიმართ ნაკლებად ძლიერი და კრიტიკული იქნებოდა. როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამტკიცებდა, ლიბერალებში საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია შორდებოდა იმ პოზიციას, რომელსაც პარტია იზიარებდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ევროპის სახალხო პარტიასთან კონტაქტები დიდწილად, მიხეილ სააკაშვილის დახმარებით დამყარდა. თავიდან, ევროპის სახალხო პარტიაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოჯახის წევრად მიღების პერსპექტივას საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდნენ, მაგრამ

გადამწყვეტი როლი ითამაშა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა და რეგიონში შეცვლილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ. (SHAGINA, 2017, PP. 68-69).

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ევროპის სახალხო პარტიის ჩართულობას საქართველოში იყო მისი მაშინდელი პრეზიდენტის, ვილფრედ მარტენსის განსაკუთრებული ინტერესი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ. საპირისპიროდ, ქართველმა პოლიტიკოსებმაც ითამაშეს თავიანთი როლი ეუთოსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეებში ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებით. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პირველი კონტაქტები ევროპის სახალხო პარტიასთან 2004 წელს დამყარდა, რამაც ეროვნული პარტიის დელეგატებს შესაძლებლობა მისცა მონაწილეობა მიეღოთ რობერტ შუმანის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული კამპანიისა და პარტიათა მშენებლობის სემინარებში. ორი წლის შემდეგ თანამშრომლობა უფრო ფორმალურ ეტაპზე გადავიდა, ძირითადად, ევროპის სახალხო პარტიის მაშინდელი პრეზიდენტის, ვილფრედ მარტენსის პირადი ფაქტორების გამო, რომელიც მეტ ყურადღებას აქცევდა საქართველოში წარმატებული რეფორმების დღის წესრიგს. სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო გამოხატა სურვილი ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ ევროპის სახალხო პარტიის ოჯახს შეერთებოდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრობის პროცესი ევროპის სახალხო პარტიაში საგრძნობლად დაჩქარდა, რადგან ევროპის სახალხო პარტია მიიჩნევდა, რომ მმართველი პარტიის ოჯახში მიღება სოლიდარობის დემონსტრირება იქნებოდა. ორგანიზაციული, იდეოლოგიური და პარტიული ქცევის ასპექტებთან დაკავშირებული ხარვეზები ევროპის სახალხო პარტიისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ. ამრიგად, 2008 წლის სექტემბერში ევროპის სახალხო პარტიამ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსი მიანიჭა. (LAVRELASHVILI, 2022, P. 146).

2011 წელს გავრცელდა ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის, ვილფრედ მარტენსის განცხადება, რომლის მიხედვითაც საქართველოს მესამე პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატია დაამყარა და მაშინდელი

მდგომარეობით, საქართველოს რეალური პერსპექტივა გაუჩნდა რომ ევროპის კავშირში გაწევრიანებულიყო. მარტენსის განცხადებით, მართლმსაჯულებისა და კანონმდებლობის დამოუკიდებლობით, ძალაუფლების გადანაწილებით, იუსტიციის, პოლიციისა და საარჩევნო რეფორმებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში რეალური დემოკრატიის დამყარებას შეუწყო ხელი. 2012 წელს ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის, ვილფრედ მარტენსის რიტორიკა შეიცვალა, მან განაცხადა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას საფრთხე ემუქრებოდა. მარტენსის მიხედვით, საერთაშორისო გაფრთხილების მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილისა და მისი ადმინისტრაციის ქმედებები დღითიდღე უფრო არადემოკრატიული ხდებოდა. მარტენსი გმობდა დევნას, პოლიტიკურ დაპატიმრებებს, თავდასხმებს თვითმმართველობებზე და პარლამენტართა იძულებით მოსყიდვას. ვილფრედ მარტენსი საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, პატივი ეცათ დემოკრატიისთვის, კონსტიტუციური ნორმებისთვის, ფუნდამენტური ღირებულებებისთვის და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის. 2013 წელს მარტენსი გამოეხმაურა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაპატიმრებასაც, მისი შეფასებით, მსგავსი დაკავებები უკან გადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოსთვის, რადგან ოპოზიციის დანაწევრებას სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში. ვილფრედ მარტენსი მოუწოდებდა საერთაშორისო საზოგადოებას შექმნილიყო მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც შეაფასებდა საპრეზიდენტო არჩევნების საარჩევნო პროცესს. 2015 წლის 21-22 ოქტომბერს ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე (მადრიდი, ესპანეთი) მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ეხებოდა დემოკრატიის უკუსვლას საქართველოში. რეზოლუციის მიხედვით, ევროპის სახალხო პარტია უკიდურესად შეშფოთებული იყო „რუსთავი 2“-ის მფლობელობისა და სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებით, მთავრობის მიერ მხარდაჭერილი კამპანიის ანგარიშებით და ქვეყანაში მედიის თავისუფლების დონით, მათ შორის, საარჩევნო წელს პოლიტიკური თოქ-შოუების დახურვის გამო. დამატებით, ევროპის სახალხო პარტია აღნიშნავდა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ოპოზიციის ლიდერთა პოლიტიკური დევნა და „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერების წინასწარი დაკავება. ევროპის სახალხო პარტიის რეზოლუცია გმობდა თბილისის

ყოფილი მერის, გიგი უგულავას ხელახლა დაკავებას მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მისი პატიმრობა ანტიკონსტიტუციურად და უკანონოდ გამოაცხადა. ამასთანავე, ევროპის სახალხო პარტია გამოხატავდა შეშფოთებას იმის გამო, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა ხელისუფლების ხელში პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ანგარიშსწორების იარაღად იქცა. ევროპის სახალხო პარტიის რეზოლუცია მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, პატივი ეცა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის და თავი შეეკავებინა ნებისმიერი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციისგან, რადგან აღნიშნული ნაბიჯები სერიოზულ ზიანს აყენებდა საქართველოს და მის პროგრესს ევროპული ოჯახისკენ სწრაფვის საქმეში. 2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე ევროპის სახალხო პარტიის (EPP) პრეზიდენტმა, ჟოზეფ დოლმა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მხარდაჭერა გამოუცხადა. მისი განცხადებით, თავის დროზე, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ წამოიწყო ძალიან საჭირო რეფორმები კანონის უზენაესობის დამყარების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველსაყოფად. ჟოზეფ დოლის მიხედვით, ევროპის სახალხო პარტია ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებების ერთგული რჩებოდა და მხარდაჭერას უცხადებდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად ევროპის სახალხო პარტია საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა უზრუნველყო თავისუფალი, სამართლიანი და მშვიდობიანი არჩევნები, ევროპის სახალხო პარტია გმობდა ნებისმიერ ძალადობას ან დაშინებას, რომელიც ოპოზიციისკენ იქნებოდა მიმართული. ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი, ჟოზეფ დოლი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში წარმატებებს უსურვებდა და იმედოვნებდა, რომ საქართველოში დემოკრატია გაიმარჯვებდა. 2018 წელს ბრიუსელში, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ევროპულმა საქართველომ ევროპის სახალხო პარტიის რეკომენდაციით ხელი მოაწერეს შეთანხმებას საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. შეთანხმების მიხედვით, აღნიშნული პარტიები მხარს დაუჭერდნენ მეორე ტურში გადასულ საპრეზიდენტო კანდიდატს, ამასთანავე, საპრეზიდენტო კამპანიის მიმდინარეობისას ისინი ერთმანეთის მიმართ არ გამოიყენებდნენ შეტევას და

თავს შეიკავებდნენ კრიტიკისგან. დამატებით, აღნიშნული შეთანხმების მესამე პუნქტით არჩევნების ორივე ტურში პარტიები მოახდენდნენ ამომრჩევლის მობილიზებას, რადგან სწორედ არჩევნები იყო ხელისუფლების ცვლილების ერთ-ერთი გზა. შეთანხმებას ხელს აწერდნენ გიორგი ბარამიძე და გიგა ბოკერია. 2018 წლის 7-8 ნოემბერს ფინეთში (ჰელსინკი), ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას ეხებოდა. რეზოლუციის მიხედვით, ევროპის კავშირის უშუალო მეზობლების, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განვითარება და უსაფრთხოება პირდაპირ გავლენას ახდენდა არამარტო ევროპის კავშირზე, მეტიც, მთელ ევროპულ კონტინენტზეც. უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას მოახლოებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები შესაძლოა გამხდარიყო გადამწყვეტი დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და შემდგომი პროევროპული განვითარების საქმეში. რეზოლუციის მიღებით ევროპის სახალხო პარტია იმეორებდა უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას, ევროპის სახალხო პარტია კიდევ ერთხელ გმობდა საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას. დამატებით, ევროპის სახალხო პარტია შეშფოთებას გამოთქვამდა საქართველოში ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ოპოზიციის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობრივ თავდასხმებთან დაკავშირებით. რეზოლუციის დახმარებით, ევროპის სახალხო პარტია აცხადებდა თავის სტრატეგიულ მიზანს, გაეწია მთელი თავისი ძალისხმევა საჭირო რეფორმების მომზადებაში, რათა უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას შეძლებოდათ კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილება. 2021 წლის სექტემბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპის სახალხო პარტია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, 2014 წელს, როდესაც ის საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მოპოვებას ცდილობდა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლების დახმარებით ამ პროცესის თავიდან აცილებას ცდილობდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, 2012 წელს, როცა არჩევნები ჯერ დასრულებული არ იყო, საქართველოში ჩამოვიდნენ ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები და ისინი ადგილზე, ისევე როგორც

ევროპის კავშირში ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, მათ შორის, ქართულ ოცნებაზე და მის დამფუძნებელზე, ბიძინა ივანიშვილზე. ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპის სახალხო პარტიას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დედა პარტია (Mother Party) უწოდა. 2021 წლის ოქტომბერში ევროპის სახალხო პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოში ჩატარებულმა ბოლო არჩევნებმა გამოიწვია მათი შეშფოთება ქვეყანაში დემოკრატიისა და თავისუფლების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ევროპის სახალხო პარტიის მიხედვით, საერთაშორისო დამკვირვებლების მოხსენებებში ხაზგასმული იყო დემოკრატიული სტანდარტების დაქვეითება, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს არარსებობა, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება, დარღვევები და სიძულვილის ენა. ევროპის სახალხო პარტიის განცხადება შეეხო მიხეილ სააკაშვილსაც, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის დაკავება და პოლიტიკური დევნა კიდევ უფრო ზრდიდა დაძაბულობასა და პოლარიზაციას ქვეყანაში. ევროპის სახალხო პარტიის მიხედვით, ქართველი ხალხი იმსახურებდა უკეთეს მომავალს. 2022 წლის 18 ნოემბერს ევროპის სახალხო პარტიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბიძინა ივანიშვილის ჩართვამ ქართულ პოლიტიკაში გამოიწვია რუსეთის გავლენის გაზრდა, ამიტომ მიზანშეწონილი იყო მასზე პირადი სანქციების დაწესება. საქართველოს დემოკრატიული რეგრესი და რუსეთის გავლენა ქვეყანაში გამოწვეული იყო ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიული მმართველობით და შემდგომ, სახელმწიფოს ხელში ჩაგდებით. ევროპის სახალხო პარტია მოუწოდებდა ევროპის კავშირსა და დემოკრატიულ პარტნიორებს, რათა მათ დაეწესებინათ პირადი სანქციები ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილისთვის, რადგან მისი როლი საქართველოს და ევროინტეგრაციას საფრთხეს უქმინდა. 2022 წელს როტერდამში გაიმართა ევროპის სახალხო პარტიის კონგრესი, ევროპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება საქართველოს შესახებ, რომელიც შეთავაზებული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ. განცხადების მიხედვით, ევროპის სახალხო პარტია ბოლო წლებში დიდი შეშფოთებით აკვირდებოდა საქართველოში დემოკრატიის უკუსვლის ტენდენციას. ქვეყნის არაფორმალურმა, ოლიგარქიულმა მმართველობამ ძირი გამოუთხარა დემოკრატიულ ინსტიტუტებს, დამოუკიდებელ სასამართლოს, მედიის თავისუფლებას, სამართლიან არჩევნებსა და

თანაბარი პირობების შექმნას. საქართველოს ხელისუფლების მიერ მიხეილ სააკაშვილის, საქართველოს ისტორიაში დემოკრატიულად არჩეული მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ აგორებული ცილისმწამებლური პროპაგანდა ამ ტენდენციების კიდევ ერთი მაგალითი იყო, ხოლო ნიკა გვარამიას ბოლოდროინდელი პატიმრობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა საქართველოში მედიის თავისუფლების საფრთხეს და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სიტყვის სივრცის შემცირებას. განცხადებაში ევროპის სახალხო პარტია აღნიშნავდა, რომ ის ყოველთვის იდგა საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის გვერდით, ამიტომ ევროპარტია საქართველოს ხელისუფლებას ახსენებდა მათი სრული პასუხისმგებლობის შესახებ. ევროპის სახალხო პარტია ქართულ ოცნებას მოუწოდებდა მიხეილ სააკაშვილის ევროპის კავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში გადაყვანისა და ადეკვატური მკურნალობის შესახებ. 2022 წლის მაისში ევროპის სახალხო პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ის ხაზს უსვამდა ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობას და მის გაუარესებულ მდგომარეობას, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა კი საქართველოს მთავრობას ეკისრებოდა. 2022 წლის ივნისში ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, დევიდ მაკალისტერმა (ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი) განაცხადა, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ევროკომისიასთან ერთად განიხილავდა უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანებაზე განაცხადს. მაკალისტერის მიხედვით, ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი თვლიდა, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭება იმ დროს, როდესაც მთელი რეგიონის ბედი საფრთხეში იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიგნალი იქნებოდა. ივნისში გავრცელდა ქართული ოცნების თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებაც, რომელიც აღნიშნავდა, რომ ევროპის სახალხო პარტია (EPP) შემჩნეული იყო არასწორი პრინციპების მიხედვით მოქმედებაში - „ცუდი ბიჭია, მაგრამ ჩემი ცუდი ბიჭია“. კობახიძის მიხედვით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მეგობარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს მეგობარი. (დობორჯგინიძე, 2022). 2022 წლის ივნისში ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპის სახალხო პარტიის ურთიერთობების შესახებ განცხადება გააკეთა თეა წულუკიანმაც. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიხედვით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მისი ლობისტები (ევროპის

სახალხო პარტია) ყველაფერს ცდილობდნენ, რომ საქართველოს არ მიეღო ევროპის კავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. თეა წულუკიანისთვის გაუგებარი იყო ევროპის სახალხო პარტიის განცხადება, რადგან იმ ადამიანს, რომელსაც რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე წლები ჰქონდა მისჯილი საპატიმროში (მიხეილ სააკაშვილი) ევროპარტია მას მაინც დიდ დემოკრატად მიიჩნევდა. (ჯალაღონია, 2022). 2023 წლის მარტში სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ევროპის სახალხო პარტიის (EPP) განცხადება გავრცელდა, რომლის მიხედვითაც ისინი შეშფოთებულნი იყვნენ ქართული ოცნების მცდელობით თავს დასხმოდნენ ქვეყნის დემოკრატიულ ღირებულებებს. ევროპის სახალხო პარტიის მიხედვით, აღნიშნული ქმედება ქართველი ხალხის ევროპულ მისწრაფებებს ეწინააღმდეგებოდა. დამატებით, ევროპის სახალხო პარტიის ტვიტერის გვერდზე ერთ-ერთი ევროპარლამენტარის, მირიამ ლექსმანის განცხადებაც გამოქვეყნდა. მისი მოსაზრებით, ქართულმა ოცნებამ დაამტკიცა, რომ ის ერთადერთ რადიკალურ ძალასა და ტყუილის მანქანას წარმოადგენდა. (ახალაია, 2023).

ქართული პოლიტიკური პარტიების, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან არ არის ათვისებული თანამშრომლობა ფონდებთან. „კონრად ადენაუერის ფონდი“, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპის სახალხო პარტიასთან, „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი“, რომელიც დაკავშირებულია ლიბერალურ პარტიებთან ან „ფრიდრიხ ებერტის ფონდი“, რომელსაც მემარცხენე იდეოლოგიური პოზიციები აქვს. (კახიშვილი, 2018, გვ. 20).

1.3. ევროპარტიების მოტივები ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის კუთხით

კონკრეტულ, ევროპულ პარტიულ ოჯახში გაწევრიანება პირდაპირ მიუთითებს ეროვნული პარტიის იდეოლოგიურ პრეფერენციებზე, თუმცა ევროპის კავშირის არაწევრი პარტიების კუთვნილების პროცესი სულაც არ არის დაფუძნებული მხოლოდ იდეოლოგიურ ვალდებულებებზე. ხშირად, ევროპის კავშირის არაწევრი აქტორები ევროპარტიებს უერთდებიან ინსტრუმენტული მიზეზების ან თანამშრომლობის პრესტიჟული რეპუტაციის სტატუსის გამო. ევროპარტიების დამკვირვებელი სტატუსის მქონე ეროვნული პარტიები (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) მოკლებულნი არიან ხმის მიცემისა და ინიციატივის უფლებას, რაც თანამშრომლობას შედარებით, ზღუდავს. უპირველეს ყოვლისა, ვინაიდან თანამშრომლობის დამყარება ურთიერთქმედებისა და მოლაპარაკების პროცესია, მნიშვნელოვანია რომ ორივე მხარემ (ეროვნული პარტიები და ევროპარტიები) ხარჯებისა და სარგებლის მაჩვენებელი გაიაზროს. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია იმის გაგება, თუ რომელი რესურსების გაცვლა შეიძლება ურთიერთქმედებისას და რა მოტივაცია ამოძრავებს ორივე აქტორს. ევროპარტიები მოკლებულნი არიან ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს, საპარლამენტო გავლენის მაქსიმიზაციას. ამრიგად, ევროპის კავშირის არაწევრ მხარეებთან თანამშრომლობისას, ევროპარტიები ევროპარლამენტში არ იღებენ დამატებით ადგილს და არ გააჩნიათ პირდაპირი გავლენა ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე. მიუხედავად ამისა, პირდაპირი უპირატესობების არარსებობის პირობებში, ევროპარტიები მაინც თანამშრომლობენ თანამოაზრე ეროვნულ პარტიებთან. ისმის კითხვა, რატომ ხდება ასე? თანამშრომლობის დამყარების მრავალი მოტივი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ევროპული პარტიული ოჯახებისთვის თანამშრომლობის უპირველესი მიზანი ნორმებისა და ღირებულებების პოპულარიზაციაა. ევროპარტიები დაინტერესებულნი არიან იდეური ქსელის ჩამოყალიბებით, რომელიც მხოლოდ ევროპის კავშირის საზღვრებით არ მთავრდება. ევროპარტიებს სურთ შეინარჩუნონ და გააძლიერონ თავიანთი თანამოაზრე პარტნიორების ქსელი, რომელიც დაფუძნებულია საერთო ღირებულებებზე. მათი

ქსელის გაფართოებით, ევროპარტიები მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ თავიანთი პარტიული ოჯახის იდეოლოგიურ ვალდებულებებს ევროპის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. *[ინტერვიუ ლევან კახიშვილთან].* თითოეული ევროპარტია თავის წესდებაში უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს ნორმებისა და ღირებულებების პოპულარიზაციას. ევროპის სახალხო პარტია უფრო მეტად ორიენტირებული არის დემოკრატიული სტანდარტებისა და თავისუფლების გავრცელებაზე. დამატებით, ევროპარტია ყოველთვის ისახავდა მიზნად გაეფართოვებინა თავისი გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზეც, რაც ევროპარტიას დღემდე ეხმარება ევროპის კავშირის მეზობელ ქვეყნებთან დაახლოების პროცესში. ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) ვალდებულებათა ნაწილი ევროპის სახალხო პარტიისას (EPP) ემთხვევა. ევროპელი სოციალისტებიც მხარს უჭერებენ დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაციას და იბრძვიან ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემისთვის. მიუხედავად ამისა, თავის წესდებაში ევროპის სოციალისტური პარტია უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს პარტიული ოჯახის ღირებულებათა პოპულარიზაციაზე. ევროპის სოციალისტური პარტია მიზნად ისახავს გაძლიერდეს სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, შრომითი და პროგრესული მოძრაობები და მისი ღირებულებები მთელს ევროპაში. აღმოსავლეთ პარტნიორობის კუთხით, ევროპარტიები მიზნად ისახავენ ისეთი დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, როგორებიცაა დემოკრატიის მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. თანამოაზრე პარტნიორების თავიანთ პარტიულ ოჯახებში ინტეგრაციით, ევროპარტიებს აქვთ პირდაპირი კავშირები ეროვნულ პოლიტიკურ ელიტებთან და ისინი მსგავსი ნაბიჯით წვდომას იღებენ საკვანძო გადაწყვეტილებებზე. სამომავლოდ, მათ შეუძლიათ ირიბად მოახდინონ გავლენა ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე. ევროპარტიებს კვლავ სურთ კავშირების დამყარება ევროპის კავშირის მეზობელ ქვეყნებთან, რათა ამით პოსტსაბჭოთა სივრცეზე თავიანთი გავლენა გააფართოვონ. ევროპარტიები ეყრდნობიან ადგილობრივ პარტნიორებს შიდა პოლიტიკის შემუშავების საქმეში, რათა მასზე არაპირდაპირი წვდომა ჰქონდეთ. პოლიტიკურ კრიზისებში შუამავლობისას ევროპარტიებს აქვთ პირდაპირი წვდომა პოლიტიკურ ელიტებთან, რათა ხელი შეუწყონ და/ან გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. შედეგად, ევროპარტიების

ხელმისაწვდომობამ შესაძლოა ეროვნულ სახელმწიფოებში (საქართველო) ხელი შეუწყოს პოლიტიკური რისკებისა და არასტაბილურობის შემცირებას. როგორც ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ყოფილმა პრეზიდენტმა, მარტენსმა განაცხადა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პარტიებთან მისმა ხანგრძლივმა გამოცდილებამ ასწავლა, რომ პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყნებში პარტნიორობის შექმნა ძალიან რთული და რისკებით სავსე იყო, მაგრამ ისეთი პანევროპული პარტია, როგორიც ევროპის სახალხო პარტია გახლდათ თავის ღირებულებებს ევროპულ კონტინენტზე მაინც გაავრცელებდა. ამ კუთხით, ევროპარტიათა პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამოაზრე პარტნიორების იდენტიფიცირების საქმეში. მდგრად და სიცოცხლისუნარიან მხარეებთან კავშირების დამყარება ევროპარტიებს საშუალებას აძლევს გრძელვადიანი წვდომა ჰქონდეთ გავლენის ქვეყნებში. სწორედ ამიტომ, ევროპის სახალხო პარტიამ ოფიციალურად დაიწყო გაფართოების სტრატეგიის შემუშავება მმართველი და/ან პერსპექტიული მმართველი ეროვნული პარტიებისთვის არხების შესაქმნელად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპის კავშირის გაფართოების პროცესი და ევროპის სახალხო პარტიის გაფართოების სტრატეგია ერთმანეთს დაემთხვა, აქიდან, ევროპის სახალხო პარტიამ ადრევე მიიღო გადაწყვეტილება ახალი პარტნიორების მოზიდვის სასარგებლოდ. ევროპის სახალხო პარტია დაინტერესებულია პოლიტიკური წონის მქონე ეროვნული პარტიებით, რომლებიც თავის მხრივ, მონაწილეობენ ეროვნულ და ადგილობრივ არჩევნებში ან/და წარმოდგენილნი არიან პარლამენტში, რადგან მსგავსი ეროვნული პარტიების მოზიდვით ევროპის სახალხო პარტია უზრუნველყოფს წვდომის გაფართოებას როგორც შიდა, ისე გარე დონეზე. ამ მხრივ, ნორმებისა და ღირებულებების პოპულარიზაცია დაკავშირებულია ეროვნული პოლიტიკური პარტიების მდგრადობასთან. ევროპარტიები თავიანთი ნორმებისა და ღირებულებების პოპულარიზაციისთვის საუკეთესო გზად მიიჩნევენ სტაბილურ და სიცოცხლისუნარიან ეროვნულ პარტიებთან კომუნიკაციას. ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) არგუმენტებიც საკმაოდ ჰგავს ევროპის სახალხო პარტიისას (EPP). ევროპის სოციალისტური პარტიის შემთხვევაში, პოლიტიკა იდეოლოგიური სიახლოვის მნიშვნელობას აჭარბებს, რადგან ამ ევროპარტიასაც სურს თავის ოჯახში გავლენიანი ეროვნული პარტიები მიიღოს. პარტიულ ელიტებთან (ქართული ოცნება) პირდაპირი

წვდომით ევროპის სოციალისტურ პარტიას შეუძლია გავლენა მოახდინოს შიდა მთავრობების პარტიულ შემადგენლობაზე და ეროვნული პოლიტიკის ძალთა ბალანსზე. ევროპის კავშირის არაწევრ ქვეყნებში (საქართველო), მაშინ როცა ევროპის სახალხო პარტია (EPP) აქცენტს აკეთებდა სიცოცხლისუნარიანობაზე, ევროპის სოციალისტურმა პარტიამ (PES) კონცენტრირება მოახდინა მდგრადობაზე. ევროპის სოციალისტურმა პარტიამ კატეგორიული უარი განაცხადა საქართველოს ლეიბორისტულ პარტიასთან თანამშრომლობაზე (იდეოლოგიური თანხვედრის მიუხედავად) და მიზეზად მისი პარტიის ლიდერის ავტორიტარულობა დაასახელა. ევროპის ფარგლებს გარეთ პარტნიორების ყოლამ შესაძლოა, ევროპარტიის გავლენა საერთაშორისო დონეზეც გააძლიეროს. ამასთანავე, ევროპარტიები სრულად აცნობიერებენ ეროვნული პარტიების სუსტი იდეოლოგიური ვალდებულებების მნიშვნელობას და პოსტკომუნისტურ პარტიებს შორის უფრო ნაკლებად მკაცრ პროგრამულ ზომებს მიმართავენ. (SHAGINA, 2017, PP. 46-47).

ევროპარტიები დაინტერესებულნი არიან, რომ აფილირებული ეროვნული პარტიების საშინაო პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ და საჭიროების შემთხვევაში, იმოქმედონ როგორც საერთაშორისო აქტორებმა, რადგან მსგავსი ნაბიჯით ისინი ევროპარლამენტშიც მოიპოვებენ გავლენას. რაც უფრო მეტი მმართველი ეროვნული პარტია იარსებებს ევროპარტიის ოჯახში, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ მისი გავლენა სერიოზული იქნება. გარდა ამისა, ევროპარტიები ეროვნულ პარტიებთან თანამშრომლობას პარტიული პოლიტიკის ცოდნის გადაცემის კუთხითაც უყურებენ, აქიდან, ევროპარტიები მოწოდებულნი არიან მაგალითად, ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის ტრენინგები, კონსულტაციები და სასწავლო ვიზიტები მოაწყონ, თუმცა იმდენად, რამდენადაც ამის სურვილი ეროვნულ პარტიებსაც ექნებათ, რადგან აღნიშნული პროცესი შესაბამის ფინანსურ რესურსებთანაც არის დაკავშირებული. პარტიული პოლიტიკის ცოდნის გადაცემა არ გულისხმობს მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პოზიციების დახვეწას, არამედ მათი მხრიდან ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობას და გამოცდილების გადაცემას იმასთან დაკავშირებით, თუ მხარეთა შორის როგორ უნდა შემუშავდეს პოლიტიკური კავშირი ისე, რომ აღნიშნული პროცესი მაქსიმალურად დემოკრატიული და გამჭირვალე იყოს.

ევროპულ სახელმწიფოებში, პარტნიორი ევროპარტიები სასწავლო ვიზიტებისთვის და ტრენინგებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას არ უზრუნველყოფენ, ამიტომ ფინანსური რესურსების მობილიზება ეროვნული პოლიტიკური პარტიების პასუხისმგებლობად რჩება. საქართველოში ფუნქციონირებადი პოლიტიკური პარტიების მწირი ფინანსური რესურსების გამო, აღნიშნული პროცესი დიდი გამოწვევების წინაშე დგას, აქიდან, ახლო მომავალში ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები ევროპარტიების ეგიდით მოწყობილ ტრენინგებში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ. ევროპარტიები ეროვნულ პარტიებთან თანამშრომლობით დაინტერესებულნი არიან იდეოლოგიური ორიენტაციის გაძლიერების კუთხითაც, ამ მიზნით, ევროპარტიები ხშირად ამარტივებენ მათ ოჯახში გაწევრიანების პროცედურებს. მაგალითად, ევროპის სახალხო პარტიამ (EPP) 2017 წელს დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსი მიანიჭა ევროპულ საქართველოს, რადგან მისი შეხედულებით, საქართველოში ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიას სწორედ ის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენდა. მეტიც, ევროპის სახალხო პარტია ორივე მათგანს თანამშრომლობის მიღწევაშიც დაეხმარა. შეთანხმების მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანიისას ისინი ერთმანეთს თავს არ დაესხმებოდნენ და ამომრჩეველთა მობილიზებას მოახდენდნენ. შეთანხმება ნამდვილად შედგა და შედეგად, ევროპულმა საქართველომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს, გრიგოლ ვაშაძეს მეორე ტურში გადასვლისას მხარი დაუჭირა. აღნიშნული შეთანხმების დახმარებით ევროპის სახალხო პარტიამ აჩვენა, რომ ეროვნულ პარტიებს შორის თანამშრომლობა მართლაც შესაძლებელია. (კახიშვილი, 2018, გვ. 18).

ევროპული პარტიული გაერთიანებები არსებობენ იმისთვის, რომ საპარლამენტო ჯგუფები ჰქონდეთ, ევროპარლამენტის როლი ევროპის კავშირში კი დღითიდღე იზრდება, რაც პირდაპირ გულისხმობს ევროპარტიების როლის გაზრდასაც. ევროპარტიების მიზანი არის ის, რომ ევროპარლამენტში ჰქონდეთ რაც შეიძლება დიდი ჯგუფები, ამასთანავე, ევროპარტიები მოწოდებულნი არიან ევროსაბჭოზეც ჰქონდეთ რაიმე ტიპის გავლენა მაინც, აქიდან, ნებისმიერი ევროპარტიის მიზანი არის ის, რომ მისი წევრი იყოს არა მხოლოდ ევროპარლამენტში, არამედ ეროვნულ მთავრობაში ძალაუფლების მქონეც. თუკი ევროპარტიის წევრი ეროვნული პოლიტიკური პარტია ეროვნულ მთავრობაშიც ფლობს ძალაუფლებას, აღნიშნული ფაქტი ევროპარტიის

გავლენას კიდევ უფრო ზრდის. ევროპარტიების თანამშრომლობის ძირითადი სტიმული დაკავშირებულია შიდაევროპული პოლიტიკური გავლენის გაძლიერების მიზანთან და ევროპარტიის მნიშვნელობის გაზრდასთან. მაგალითად, ევროპის სახალხო პარტიისთვის (EPP) და ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსისთვის ევროპისთვის (ALDE)[7] ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის მთავარი სტიმული ეროვნულ დონეზე მათი გავლენის გაძლიერების სურვილია, რადგან გაძლიერებულ ეროვნულ პარტიებს უკეთ შეუძლიათ შეიტანონ წვლილი ევროპარტიების ფუნქციონირებაში, მიუხედავად იმისა, საბოლოოდ გაწევრიანდება თუ არა საქართველო ევროპის კავშირში. ევროპის სახალხო პარტიისთვის (EPP) თანამშრომლობის სტიმული პრაგმატული იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონი ევროპის კავშირისთვის სტრატეგიული ინტერესის ობიექტად იქცა. ევროპის კავშირის გაფართოების ფონზე, ევროპის სახალხო პარტიის ინტერესი ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიცაა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი კიდევ უფრო გაიზარდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოსთან თანამშრომლობით ევროპის სახალხო პარტია ევროპარლამენტში მეტ ადგილს ვერ მოიპოვებდა, შესაძლოა, მას თავისი გავლენა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მაინც გაეზარდა. ევროპის სახალხო პარტია ყოველთვის უსვამს ხაზს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ჩართულობის მნიშვნელობას, რადგან მისი დახმარებით ევროპარტია ინფორმირებული რჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკასთან დაკავშირებით. ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობა წარმოადგენს ევროპეიზაციის პროცესის ნაწილს, ევროპეიზაციის პროცესი კი ქართული პოლიტიკური პარტიების შიდა ორგანიზაციასა და პოლიტიკურ დღის წესრიგში ცვლილებებს იწვევს. საქართველოს ევროპეიზაციის გარდა, ევროპარტიებთან თანამშრომლობა დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური სისტემის ევროპეიზაციის პროცესშიც. ინტერპარტიული თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს შიდა პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში, რადგან ქართული პოლიტიკური პარტიები თანდათან ადაპტირდებიან ევროპის კავშირის პოლიტიკურ ნორმებთან. ევროპარტიები, თავის მხრივ, მოწოდებულნი არიან ხელი შეუწყონ ევროპეიზაციისა და ინტეგრაციის პროცესს, რადგან

[7] Alliance of Liberals and Democrats for Europe

მსგავსი ნაბიჯით ისინი ეროვნულ პარტიებს ევროპის კავშირთან დაახლოებაში ეხმარებიან. ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობამ აშკარად გააძლიერა საქართველოს საკითხი ევროპის კავშირის პოლიტიკური დღის წესრიგში. (LAVRELASHVILI, 2016).

საქართველოს შემთხვევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ევროპარტიები ეროვნულ პარტიებზე გავლენას ახდენენ მაშინაც კი, როდესაც მათი მხრიდან არ არსებობს ევროპის კავშირის გაფართოების დაპირება. ევროპარტიები ქართულ პოლიტიკურ პარტიებს აძლევენ პირად, პოლიტიკურ რჩევებს და შესაბამისად, სტიმულს საქართველოს ევროპის კავშირში გასაწევრიანებლად. აქიდან, ევროპარტიებს საქართველოში შეუძლიათ გააძლიერონ სტრატეგიული და ნორმატიული გზები, რათა აღმოსავლეთ პარტნიორობის კონცეფციამ მეტი გავლენა მოიპოვოს. ევროპარტიები არიან ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკის აქტორები, რომლებსაც შესწევთ უნარი, რომ ეროვნულ პარტიებში (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) საკუთარი ღირებულებები შეიტანონ და პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მიიღონ მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ევროპარტიებს პარტიზანული ხასიათიც აქვთ და ისინი ზოგჯერ, პარტიული ერთგულების, იდეოლოგიური ნათესაობისა და საარჩევნო მიღწევების მიხედვით მოქმედებენ. აქიდან, ევროპარტიები ერთი მხრივ, აძლიერებენ ევროპის კავშირის გავლენას სამეზობლოში და მეორე მხრივ, წარმოადგენენ წინააღმდეგობის ფაქტორს ევროპის კავშირის გარე სამყაროსთვის. კონკრეტული ევროპარტია შესაძლოა წარმოადგენდეს ევროპის კავშირის გავლენის არხს, მაგრამ ამავდროულად, ტრანსნაციონალური პოლიტიკის კუთხით პარტიზანული ბუნების მიხედვით მოქმედებდეს, რაც ზოგჯერ, ნეგატიურად აისახება სამეზობლოში ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულობაზე. (CHRYSSOGELOS, 2020, PP. 1-5).

როგორც ჩანს, საპარლამენტო გავლენის მაქსიმიზაცია, ნორმებისა და ღირებულებების პოპულარიზაცია, დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, ეროვნულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე წვდომის მიღება, ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე გავლენის მოხდენა, ძალთა ბალანსის ცვლილება, საერთაშორისო დონეზე გავლენის გაზრდა, პარტიული პოლიტიკის ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა, იდეოლოგიური

ორიენტაციის გაძლიერება, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკასთან დაკავშირებით ინფორმირებულობის შენარჩუნება, პოლიტიკური სისტემის ევროპეიზაციის უზრუნველყოფა, ევროპის კავშირთან დაახლოება/ინტეგრაცია და ეროვნულ დონეზე ევროპული ღირებულებების შეტანა წარმოადგენს იმ მიზეზებს, რის გამოც ევროპარტიებს ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) თანამშრომლობის გაღრმავება სურთ.

1.4. ქართული პოლიტიკური პარტიების მოტივები ევროპარტიებთან თანამშრომლობის კუთხით

ევროპის კავშირში გაწევრიანების გარანტიების არარსებობის მიუხედავად, ევროპის კავშირის არაწევრი ქვეყნების შიდა პარტიები ევროპარტიებთან თანამშრომლობას საკუთარი ნებით იწყებენ. ეროვნული პოლიტიკური პარტიების მოტივები ევროპარტიებთან თანამშრომლობის კუთხით ხარჯ-სარგებლის ანალიზზე დაყრნობით იქმნება. პირველ რიგში, ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) ევროპარტიებთან თანამშრომლობა შიდა ლეგიტიმაციისა და საერთაშორისო აღიარების მოტივებით სურთ. შიდა ასპარეზზე ეროვნული პარტიები, როგორც ევროპარტიათა ოჯახის წევრები სათავისოდ იყენებენ ევროპულ კუთვნილებას. ევროპის კავშირის გარეთ არსებული რეგიონები, მაგალითად, სამხრეთ კავკასია ხშირად არამდგრადი და მერყევია, შესაბამისად, რეგიონში არსებული პოლიტიკური პარტიებიც განიცდიან ტრანსფორმაციას. ამ კუთხით, ის ეროვნული პარტიები, რომლებიც ევროპის კავშირში არ არიან გაწევრიანებულნი შიდა ლეგიტიმაციასა და საერთაშორისო აღიარებას თავიანთი სერიოზულობისა და სანდოობის გამოსაკვეთად იყენებენ. ეროვნული პოლიტიკური პარტიები (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) მიზნად ისახავენ უზრუნველყონ თავიანთი რეპუტაციის ამაღლება ქვეყნის შიგნით, გარე აღიარებით (ევროპარტიებში გაწევრიანება) და დაგროვილი ნდობა შიდა პოლიტიკური პროცესების გასაკონტროლებლად გამოიყენონ. ევროპელ პარტნიორებთან აფილირებით, ეროვნული პოლიტიკური პარტიები ცდილობენ თავიანთი მოუმწიფებლობის კომპენსირებას. ეროვნული პოლიტიკური პარტიების აზრით, მათი კუთვნილება ევროპარტიასთან პირდაპირ ნიშნავს სანდო და რეპუტაციის მქონე პარტიათა ოჯახის ერთგულებას. მაგალითად, უკრაინის სახალხო მოძრაობისთვის (People's Movement of Ukraine) ევროპის სახალხო პარტიასთან (EPP) თანამშრომლობა აღიქმებოდა, როგორც ძალიან პრესტიჟული. შინაგანად, გავლენიანი ევრპარტიული ოჯახის ერთგულება ეროვნული პარტიის წევრებს შორის თვითშეფასების გაძლიერებას დაეხმარა. ევროპის სახალხო პარტიასთან მჭიდრო ურთიერთობით, უკრაინის სახალხო მოძრაობას ქვეყნის შიგნით შეეძლო მოეპოვებინა მეტი სანდოობა და გამოეკვეთა

პარტიის იდეოლოგიური პროფილი. სხვა შემთხვევებში, ევროპული კუთვნილების გამოყენება ადგილობრივ პარტიებს ეხმარებოდა არა მხოლოდ საკუთარი იდენტობის განსაზღვრაში, არამედ პოპულისტური პარტიებისგან გამიჯვნაში. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თანამშრომლობამ „ALDE“-სთან (ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის) მოახერხებინა პარტიას, რომ მკაფიოდ გამოყოფილიყო პოპულისტური ეროვნული პარტიებისგან. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ევროპარტიის წარმომადგენლები აქტიურად უჭერენ მხარს თავიანთ პოტენციურ პარტნიორებს ან უკვე აფილირებულ ეროვნულ პარტიებს. მეორე მხრივ, ეროვნული პარტიები თავიანთ ამომრჩეველს ხშირად ახსენებენ ევროპული კუთვნილების შესახებ. ევროპარტიები ეროვნული პარტიების საჯარო განცხადებებში და საარჩევნო კამპანიებში ხშირად მოიხსენიებიან, რათა ხაზი გაესვას შიდა პარტიების კუთვნილებას ევროპულ ოჯახთან ან მათ მისწრაფებას ევროპის კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეროვნული პარტიების მხრიდან ევროპარტიების კუთვნილება ემსახურება როგორც პარტიის სერიოზულობასა და სანდოობას, ასევე ის ხელს უწყობს ახალი ან ძველი პროევროპელი ამომრჩევლის მოზიდვას. მაგალითად, 2005 წელს მოლდოვის მოსახლეობის 77%-ზე მეტმა გამოხატა მხარდაჭერა ევროინტეგრაციისადმი. ამ ვითარებაში, მოლდოველი კომუნისტები პროევროპიზმის პოზიციისკენ გადაიხარნენ, რადგან მათი მხრიდან მხოლოდ პრორუსული გზავნილის საფუძველზე ჩატარებულ საარჩევნო კამპანიას პარტიის შესუსტება შეეძლო. შედეგად, მოსახლეობის დამოკიდებულების ცვლილებამ ნაწილობრივ გამოიწვია პარტიის ევროპეიზმზე გადასვლა. გარდა ამისა, ადგილობრივი პარტიები ამომრჩეველთან კომუნიკაციისას ხშირად უსვამენ ხაზს ევროპული კუთვნილების ფაქტს, რადგან სამწუხაროდ, ამომრჩევლებმა იშვიათად იციან ევროპარტიების არსებობის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი გარჩევის უნართან დაკავშირებით. მაშინ, როცა მთავრობაში მყოფ ეროვნულ პარტიებს შეუძლიათ დაასაბუთონ თავიანთი რეფორმები და პოლიტიკა ევროპარტიებთან თანამშრომლობით, ოპოზიციურ პარტიებს შეუძლიათ ევროპარტიებთან თანამშრომლობით დამატებითი არხები მიიღონ, რომლის დახმარებითაც პარტიათა შორის ძალთა ბალანსი იცვლება. მაგალითად, ევროპის სახალხო პარტიამ (EPP) საჯაროდ დაუჭირა მხარი საქართველოს მესამე პრეზიდენტის,

მიხეილ სააკაშვილის მთავრობას და მის პროგრესს ევროინტეგრაციის გზაზე. ევროპის სახალხო პარტიის ყოფილი პრეზიდენტის, მარტენსის განცხადებით, მან იცოდა, რომ შეიძლებოდა მიხეილ სააკაშვილის ნდობა, რომელმაც საქართველოში დემოკრატია გააძლიერა. ანალოგიურად, ოპოზიციაში ყოფნისას, ეროვნული პოლიტიკური პარტიები ევროპარტიებისგან არსებითი მხარდაჭერით სარგებლობენ, კერძოდ, ევროპის სახალხო პარტიამ საჯაროდ დააფიქსირა პოზიცია საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების წინაღმდეგ. ეროვნული პოლიტიკური პარტიები ევროპარტიებთან თანამშრომლობას ზოგჯერ გეოპოლიტიკური პერსპექტივიდანაც ამართლებენ. ევროპარტიებთან თანამშრომლობა, რომელსაც ხშირად პრორუსული ძალები აპროტესტებენ ეროვნულ პარტიებს გეოპოლიტიკურ საკითხებში მხარდაჭერას ჰპრიდება. მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ევროპის სახალხო პარტიის (EPP) კუთვნილება ნიშნავდა მის მხარდაჭერას გეოპოლიტიკურ კონფლიქტში. (2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი). ევროპის სახალხო პარტიის მკაცრმა პოზიციამ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ პირდაპირ განსაზღვრა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის არჩევანი, რომ ის ამ ევროპარტიაში გაწევრიანებულიყო. ევროპის სახალხო პარტია მუდმივად გამოხატავდა თავის მხარდაჭერას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ და ის აქტიურად აკრიტიკებდა რუსეთის აგრესიულ ქმედებებს საქართველოს ტერიტორიებზე. რეგულარული ორმხრივი შეხვედრებისა და ვიზიტების დროს ეროვნული პოლიტიკური პარტიები ევროპულ ინსტიტუტებს ეცნობიან, გარდა ამისა, მათ ეძლევათ შესაძლებლობა ევროპის კავშირში ინტეგრაციის კუთხით ლობირება მოახდინონ. ევროპულ პარტიულ ელიტებთან პირდაპირი წვდომა ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს საშუალებას აძლევს პოლიტიკური საკითხები პირადად, სანდო გზით განიხილონ. ევროპარტიებთან თანამშრომლობით, შიდა პოლიტიკურ პარტიებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ გააძლიერონ თავიანთი მისწრაფებები ევროპის კავშირში გაწევრიანების გზაზე, რადგან თავად ევროპარტიები (ევროპის სახალხო პარტია, ევროპის სოციალისტური პარტია) განსაზღვრავენ ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკას. პარტიულ და სამთავრობო არხებს შორის ურთიერთქმედება შიდა პარტიების მცდელობებს აძლიერებს ევროპის კავშირის საკითხის ეფექტურად წინსვლისკენ. გარდა ამისა, ზოგიერთი ეროვნული

პოლიტიკური პარტიისთვის სწორედ კუთვნილება განსაზღვრავს მათ ევროპულ არჩევანს. მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ევროპის სახალხო პარტიაში (EPP) გაწევრიანების ერთ-ერთი მოტივი იყო მისი მხარდაჭერის გაზრდა ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფებების საკითხში. ამ თვალსაზრისით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ევროპის სახალხო პარტიასთან თანამშრომლობა საქართველოს ეროვნული ინტერესების გამოკვეთისთვის იყო მნიშვნელოვანი. ბოლოს, ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი მოტივი არის ცოდნის გადაცემა. ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპარტიებთან თანამშრომლობა შესაძლებლობას აძლევს მიიღონ ცოდნა და გამოცდილება ევროპული პარტიების მშენებლობის საქმეში. იდეოლოგიურად მჭიდრო ევროპულ პარტიულ ოჯახთან კავშირებით, შიდა პარტიები უფრო მარტივად პოზიციონირებენ პოლიტიკურ სპექტრში. ევროპარტიებთან თანამშრომლობით, იდეოლოგიურად სუსტი, პოსტკომუნისტური პარტიები საკუთარი იდენტობის კრისტალიზაციასა და პროგრამული პროფილების გამკაცრებას ცდილობენ. ტრენინგებისა და სემინარების სერიები პოლიტიკის შემუშავების საკითხში ხელს უწყობს ცოდნის გადაცემასა და მყარი პარტიული პროფილის ჩამოყალიბებას. აქიდან გამომდინარე, ევროპის სახალხო პარტიისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თანამშრომლობის განმაპირობებელი მოტივი თავისი არსით, წმინდად რაციონალური იყო. ინტეგრაციისა და შიდა ლეგიტიმაციის მოპოვებისას, ეროვნული პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ თანამშრომლობას ძლიერ ევროპარტიებთან (ევროპის სახალხო პარტია, ევროპის სოციალისტური პარტია). მაგალითად, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ქართული ოცნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ძალთა ბალანსის შემობრუნებას და შიდა ლეგიტიმაციის მოპოვებას, რაც მათ შორის, ევროპის სოციალისტურ პარტიასთან (PES) თანამშრომლობით უზრუნველყო. საერთაშორისო აღიარების კუთხით, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უკვე ჰქონდა კავშირები ევროპის სახალხო პარტიასთან (EPP), ამიტომ ქართულ ოცნებასაც სჭირდებოდა ისეთი ევროპელი პარტნიორი, რომელიც მის ეროვნულ ინტერესებს მხარს დაუჭერდა და ასეთი ევროპარტია ევროპის სოციალისტური პარტია აღმოჩნდა. (SHAGINA, 2017, P. 36).

ქართული პოლიტიკური პარტიების ნაწილისთვის, განსაკუთრებით, ევროპული საქართველოსთვის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის, ევროპის სახალხო პარტიასთან თანამშრომლობა მმართველ პარტიაზე (ქართული ოცნება) გავლენის მოხდენის საკითხთან არის დაკავშირებული. ევროპის სახალხო პარტიასთან (EPP) აფილირება ეროვნული პოლიტიკური პარტიებისთვის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო) ევროპის კავშირში პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად გამოიყენება, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ევროპარტიებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად ეროვნულმა პოლიტიკურმა პარტიებმა (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) თავდაპირველად, უნდა შეიმუშავონ პროგრამები და თანმიმდევრული იდეოლოგია, რადგან განსაზღვრული ღირებულებების ჩამოყალიბების გარეშე პოლიტიკურ პარტიებს ევროპარტიებთან თანამშრომლობა საკმაოდ გაუჭირდებათ. ეროვნული პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ თამაშს შიდა და საერთაშორისო დონეზე ახორციელებენ, აქიდან, ხშირად ადგილობრივი პარტიები შიდა კონკურენციის გაძლიერებას საერთაშორისო მხარდაჭერით ხსნიან. ეროვნული პოლიტიკური პარტიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მან საერთაშორისო მხარდაჭერა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან კონკურენციის დროს გამოიყენოს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ევროპის კავშირში გაწევრიანების მომხრეა, ბუნებრივია, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის მისი ინსტიტუტები (ევროპარტიები, ევროპარლამენტი) შიდა ლეგიტიმაციის წყარო იყოს. იმ შემთხვევაში, თუკი ეროვნული პოლიტიკური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) შიდა ლეგიტიმაციის ხარისხი მარცხს განიცდის, შესაძლოა რომ საქმე გვქონდეს ევროპარტიებთან თანამშრომლობის პრობლემასთან. აქიდან, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, განსაკუთრებით, მმართველ პარტიებს მოლოდინი აქვთ, რომ ევროპარტიები მათ მხარდაჭერას გამოუცხადებენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ ესმის, პოლიტიკური პარტიები იზიარებენ თუ არა ევროპულ ღირებულებებს (The Caucasus Research Resource Centers, 2015). ამასთანავე, მოსახლეობის ნაწილს სიღრმისეულად არ ესმის იმის შესახებაც, თუ სინამდვილეში რა არის ევროპული ღირებულებები, რაც თავის მხრივ, ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტიის

პრობლემასაც წარმოადგენს, რადგან მათი მხრიდან ევროპული ღირებულებების მკაფიოდ ფორმულირება სამწუხაროდ, არ ხდება. როგორც ჩანს, ქართული პოლიტიკური პარტიები ევროპარტიებში გაწევრიანებას საერთაშორისო აღიარების, შიდა ლეგიტიმაციის მოპოვების, პოლიტიკური დღის წესრიგის ხელშეწყობის და პარტიული ცოდნის გადაცემის მოტივებით ამართლებენ. დამატებით, ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობა იდეოლოგიური პროფილის დახვეწის მოტივითაც აიხსნება, რომელსაც მოგვიანებით დეტალურად მიმოვიხილავთ. (კახიშვილი, 2018, გვ. 6-7).

ქართული პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას იღებენ ევროპარტიების ეგიდით მოწყობილ კონგრესებსა და სამუშაო ჯგუფებში, ამასთანავე, მათ წვლილი შეაქვთ სემინარებსა და ტრენინგებში, რომლებსაც ევროპარტიები (ან მისი შესაბამისი ჯგუფები ევროპარლამენტში) ატარებენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპარტიების კონგრესში მონაწილეობა, რომელსაც ევროპის ქვეყნების პრემიერ-მინისტრები და სხვა მაღალი რანგის პოლიტიკოსები ესწრებიან. ოპოზიციური პარტიების შემთხვევაში, ევროპარტიებთან თანამშრომლობის მთავარი სტიმული მაინც, შიდა ლეგიტიმაციისა და გავლენის გაზრდაა, როგორც დამცავი საშუალება დომინანტური მმართველი პარტიებისა და მთავრობის მხრიდან შესაძლო ზეწოლის წინააღმდეგ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპის სახალხო პარტიის (EPP) შემთხვევაში, ეროვნული პარტიის ერთ-ერთი მთავარი სტიმული თანამშრომლობის კუთხით იყო იდეოლოგიური სიახლოვე, მაგრამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პროგრამების განხილვისას მარტივად შეიმჩნევა ხშირი იდეოლოგიური შეუსაბამობები, რაც გამოწვეულია იმით, რომ პარტიას ჯერ კიდევ არ აქვს მკაფიოდ გამოხატული იდეოლოგიური პროფილი. ის ფაქტი, რომ ეროვნულ პარტიას მხარს უჭერს ევროპული ოჯახი არის ერთგვარი აქტივი როგორც მათი შიდა პარტნიორების, ასევე კონკურენტების მიმართ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული პოლიტიკური პარტია გამოწვევების წინაშე დგას. მართალია, ევროპარტიები პირდაპირ არ აფინანსებენ მათთან აფილირებულ ეროვნულ პარტიებს, მაგრამ ევროპარტიასთან თანამშრომლობა მათ შორის, გულისხმობს ფულის მოპოვებას პოლიტიკური ფონდების საშუალებით, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული გერმანული ფონდების

დახმარებით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპარტიებსა და ეროვნულ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) შორის თანამშრომლობა ორივე მხარისთვის რაციონალური არჩევნის აქტია, ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან პრაქტიკაში განხორციელებული თანამშრომლობა ხშირად ნაკლებად თანმიმდევრული და რაციონალურია, რაც განპირობებულია ქვეყანაში პოლიტიკის პერსონალიზაციის მაღალი ხარისხით, სუსტი დემოკრატიული კულტურით, შიდაპარტიული დემოკრატიის პრობლემებითა და ქცევითი შეზღუდვების გამო. როგორც ჩანს, რაციონალურ ჭრილში თანამშრომლობის კუთხით ევროპარტიები ბევრად უფრო თანმიმდევრულნი არიან, ძირითადად, პლურალისტური და დემოკრატიული მოწყობის გამო. (LAVRELASHVILI, 2016).

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, ეროვნული პოლიტიკური პარტიის მხრიდან ევროპის სახალხო პარტიასთან (EPP) დაახლოება განპირობებული იყო საქართველოს ეროვნული ინტერესებით, რომ საქართველოს ადგილობრივ დონეზე ჰყოლოდა სანდო ევროპელი პარტნიორი, რომელიც მისი ევრო-ატლანტიკური ინტერესების გამომხატველი და გამტარებელი იქნებოდა. გარდა ამისა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ევროპის სახალხო პარტიასთან დაახლოება ლობისტური მიზეზებითაც იყო განპირობებული, რადგან ეროვნულ პოლიტიკურ პარტიას ქვეყნის საზღვრებს გარეთაც სურდა საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გავრცელება. რაც შეეხება სემინარების, ვორქშოფებისა და ფორუმების მოწყობის საკითხს, მისი დახმარებით ეროვნული პოლიტიკური პარტიები (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) ცდილობენ ინტერპერსონალური კავშირები დაამყარონ ევროპარტიის წარმომადგენლებთან და მათთან მჭიდრო ურთიერთობები შეინარჩუნონ. ეროვნული პოლიტიკური პარტიები ევროპარტიების მხრიდან დაფინანსებას არ იღებენ, შესაბამისად, მათთან ურთიერთობის გამყარების ერთ-ერთ საშუალებას სწორედ ასეთი ფორმატები წარმოადგენენ. დამატებით, ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან ევროპარტიებთან თანამშრომლობის განვითარება გამოწვეულია ახალგაზრდული ფორუმების მოწყობით, რომელსაც ევროპული პოლიტიკური ოჯახები უწყობენ ხელს. ახალგაზრდები დაინტერესებულნი არიან ევროპარტიების მხრიდან მიიღონ მეტი ინფორმაცია და ცოდნა ევროპული

ღირებულებების, პარტიული პოლიტიკის, პოლიტიკური კულტურის, დეპოლარიზაციის, პლურალიზმისა და სხვა საკითხების შესახებ. შესაბამისად, ევროპარტიებთან თანამშრომლობა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობას უჩენს, რომ მათ ახალგაზრდები ევროპული ფორუმების საქმიანობაში ჩართონ, რაც ცოდნის გადაცემისა და ღირებულებების ათვისების კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. *[ინტერვიუ ლევან ბეჟაშვილთან].*

ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან ევროპარტიებთან თანამშრომლობის მოტივები შესაძლებელია, ორი, რაციონალური და ღირებულებითი კუთხიდან განვმარტოთ. ღირებულებითი დაინტერესება, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპის კავშირში სურთ გაწევრიანება, შესაბამისად, მათთვის ევროპარტიებთან თანამშრომლობა ევროპის კავშირში ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. რაც შეეხება რაციონალურ დაინტერესებას, ის თავის მხრივ, გულისხმობს შიდა დონეზე ლეგიტიმაციის გაზრდას, რომელიც მათ შორის, ევროპარტიებთან თანამშრომლობის გამყარებით არის შესაძლებელი. ამასთანავე, რაციონალური დაინტერესება ეროვნული პოლიტიკური პარტიების გავლენის საკითხსაც ეხება, რადგან ევროპარტიებთან თანამშრომლობით, ეროვნული პოლიტიკური პარტიები მოწოდებულნი არიან საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი საერთაშორისო დონეზე, ევროპარლამენტში შეიტანონ. შესაბამისად, ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) სურთ, რომ შიდა განხილვის გარდა, პოლიტიკური საკითხები საერთაშორისო დონეზეც განიხილებოდეს (ევროპარლამენტი), რადგან ამგვარი მოცემულობა ეროვნულ პოლიტიკურ პარტიას უფრო დიდ ლეგიტიმაციას ანიჭებს. გამომდინარე იქიდან, რომ 2012 წელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უკვე მყარად იყო მხარდაჭერილი ევროპის სახალხო პარტიის (EPP) მხრიდან, ძალთა ბალანსის კუთხით, ქართულ ოცნებასაც სჭირდებოდა ისეთი პარტნიორი, რომელიც მის ლეგიტიმაციას გაზრდიდა და ასეთი ევროპარტია ევროპის სოციალისტური პარტია (PES) აღმოჩნდა. ამასთანავე, იმ პერიოდში ქართულ ოცნებას საერთაშორისო გავლენებისა და კონტაქტების მოპოვებაც ესაჭიროებოდა, რის უზრუნველსაყოფადაც მათ შორის, ევროპის სოციალისტურ პარტიასთან

თანამშრომლობა აირჩია. თავის მხრივ, ქართულ ოცნებას შეეძლო არჩევანი სხვა ევროპარტიაზეც შეეჩერებინა, მაგრამ ევროპის სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობა მისი მხრიდან პრაგმატული ნაბიჯი იყო, რადგან აღნიშნულ ევროპარტიას შესწევს უნარი ევროპის სახალხო პარტიის მოქმედებები, მათ შორის საქართველოში, შეაჩეროს ან ქართული ოცნების მხარდაჭერით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გავლენას შეუქმნას დაბრკოლება. *[ინტერვიუ დიმიტრი ცქიტიშვილთან].*

ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან ევროპარტიებთან თანამშრომლობის მნიშვნელობა დღითიდღე კიდევ უფრო იზრდება, რადგან აღნიშნული პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს ევროპეიზაციის საკითხთან. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გასარკვევია, ნამდვილად ესმით თუ არა ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპარტიებთან თანამშრომლობის უზარმაზარი პოტენციალისა და შეუძლიათ თუ არა მათ თანამშრომლობა გამოიყენონ როგორც ქვეყნის ინტერესებისთვის, ამასთანავე, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის. (LAVRELASHVILI, 2016).

როგორც ჩანს, შიდა ლეგიტიმაცია და საერთაშორისო აღიარება, სერიოზულობისა და სანდოობის გამოკვეთა, რეპუტაციის ამაღლება, შიდა პოლიტიკური პროცესების გაკონტროლება, პარტიული მოუმწიფებლობის კომპენსირება, თვითშეფასების ამაღლება, პარტიის იდეოლოგიური პროფილის გამოკვეთა/დახვეწა, პარტიული იდენტობის განსაზღვრა, პოპულისტური პარტიებისგან გამიჯვნა, ევროპულ ოჯახთან კუთვნილების დადასტურება, ევროპის კავშირში გაწევრიანება, პროევროპელი ამომრჩევლის მოზიდვა, რეფორმებისა და პოლიტიკის დასაბუთება, დამატებითი არხების/კონტაქტების მოძიება, ძალთა ბალანსის ცვლილება, გეოპოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება, ევროპარლამენტში ლობირების გაძლიერება, პოლიტიკური საკითხების სანდო გზით განხილვა, საქართველოს ეროვნული ინტერესების გამოკვეთა, პროგრამული პროფილების გამკაცრება, მმართველ პარტიაზე გავლენის მოხდენა, ევროპის კავშირისგან პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება, შიდა კონკურენციის გაძლიერება, იდეოლოგიური თანხვედრის მოწესრიგება, პოლიტიკური ფონდების საშუალებით ფულის მოპოვება, ღირებულებითი დაინტერესება, ახალგაზრდული

ფორუმების მოწყობა და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარება წარმოადგენს იმ მიზეზებს, რის გამოც ქართულ პოლიტიკურ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპარტიებთან თანამშრომლობის განვითარება სურთ.

თავი II - ევროპარტიებში გაერთიანება და მისი გავლენა ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარებაზე

მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგიის მქონე ევროპის სოციალისტური პარტიისთვის (PES) მნიშვნელოვან საკითხებს[8] წარმოადგენს უთანასწორობა, საგადასახადო პოლიტიკა, კლიმატის ცვლილებები, ციფრული რევოლუცია, სოფლის მეურნეობა, მიგრაცია და სხვა. ევროპის სოციალისტური პარტიის საარჩევნო პროგრამაში მკაფიოდ არის გამოხატული, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის ღირსეული სამუშაო პირობები და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ევროპის ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს უკეთესი ცხოვრების შანსი. ევროპის სოციალისტური პარტია მხარს უჭერს მდგრად, ენერგოეფექტურ და ეკოლოგიურად სუფთა ევროპას. ევროპარტიის მიხედვით, ევროპის კავშირი მოწოდებული უნდა იყოს, რათა დაიცვას ბუნება და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გააძლიეროს ძალისხმევა. ევროპის სოციალისტური პარტიის დამოკიდებულებით, ეკონომიკა ყოველთვის უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას და არა პირიქით. აქიდან, ევროპარტია დღესაც აქტიურად აგრძელებს ბრძოლას სამუშაო ადგილების შექმნისა და ახალგაზრდების დასაქმების კუთხით. ევროპის სოციალისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდებისა და ზოგადად, ევროპელი საზოგადოების განათლებას. კამპანია "Up to Youth" ეფუძნება ევროპის სოციალისტური პარტიის ახალგაზრდულ გეგმას, რომელიც ორიენტირებულია ევროპაში ახალგაზრდების პერსპექტივების გაუმჯობესებაზე. ევროპარტია საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჯანდაცვას და თვლის, რომ ის ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამასთანავე, ევროპის სოციალისტური პარტია წარმოადგენს თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ ევროპარტიას, რომელიც იბრძვის ყველა ადამიანის, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებებისთვის და შესაძლებლობებისთვის. ევროპარტიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის დემოკრატიის გაძლიერება.

[8] https://pes.eu/

ევროპარტიას სურს ევროპელი საზოგადოება სამი ძირითადი საყრდენის, ფუნდამენტური უფლებების, ანგარიშვალდებულებისა და თანამონაწილეობის გარშემო ჩართოს. აღნიშნული ევროპარტიის მიხედვით, მისთვის მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ ევროპის მომავალი ყველას ეკუთვნის, ამიტომ ევროპის კავშირი უნდა მუშაობდეს ყველასთვის და ასახავდეს ყველა მოქალაქის საჭიროებებსა და მისწრაფებებს. ევროპის სოციალისტური პარტია მდგრადი ევროპის კავშირისთვის იბრძვის, უფრო ძლიერი ინსტიტუტებით, რომლებიც ევროპის მოქალაქეებთან უკეთ არიან დაკავშირებულნი. ევროპის სოციალისტური პარტიის აზრით, ევროპას აქვს მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო არენაზე და მან უნდა დაამტკიცოს თავისი ერთგულება სამართლიანი, დემოკრატიული, მშვიდობიანი და მდგრადი სამყაროს მიმართ. აქიდან, ევროპარტია აქტიურად აგრძელებს მუშაობას საერთაშორისო პარტნიორებთან, მის სამეზობლოში და ფარგლებს გარეთ.

მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიის მქონე ევროპის სახალხო პარტიის (EPP) მიხედვით, მისთვის მნიშვნელოვანია [9] ევროპული მოდელის პოპულარიზაცია, რათა ევროპულმა ღირებულებებმა გავლენა მოახდინოს სწრაფად ცვალებად სამყაროზე. ევროპის სახალხო პარტიის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ევროპის კავშირის ადაპტირება XXI საუკუნის რეალობასთან, სწორი პრიორიტეტების დასახვითა და ევროპის კავშირის მოქალაქეებთან დაახლოებით. ევროპის სახალხო პარტიისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი და ერთიანი კავშირი, რომელიც მოქმედებს ერთად, რადგან ამგვარი ერთიანობა საუკეთესოდ შეეფერება მსოფლიოს მრავალ გამოწვევასა და საფრთხეს. ევროპის სახალხო პარტიის დამოკიდებულებით, ევროპას სჭირდება ამბიციური, კონკურენტუნარიანი და ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სამუშაო ადგილების გაზრდა და ევროპელი მოქალაქეების ცხოვრების მაღალი დონე. დინამიური ეკონომიკა დაფუძნებული უნდა იყოს არა მხოლოდ ციფრებსა და სტატისტიკაზე, არამედ ევროპელი საზოგადოების უნარებზე, ნიჭზე და ინოვაციებზე. ევროპის სახალხო პარტიის შეხედულებით, ევროპელებს სურთ, რომ თავისუფალ და უსაფრთხო ევროპაში იცხოვრონ. მთავრობის უპირველესი

[9] https://www.epp.eu/commitments

მოვალეობაა დაიცვას მოქალაქეები და კანონის უზენაესობა. აქიდან, ევროპის სახალხო პარტიის მუშაობა ძირითადად, ოთხ სფეროზე არის ორიენტირებული: გარე საზღვრების დაცვა, უკანონო მიგრაციის პრევენცია, ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ევროპის კავშირი დაარსდა პრინციპებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობის, ცხოვრების წესის, დემოკრატიის, კეთილდღეობის, თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვას. რამდენადაც მსოფლიო იცვლება და უსაფრთხოების გამოწვევები იზრდება, ევროპელი მოქალაქეები ევროპის კავშირის მხრიდან დაცვას მოელიან. აქიდან გამომდინარე, ევროპის სახალხო პარტია მოწოდებულია ევროპის კავშირს ხელი შეუწყოს და წინა პლანზე თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები წამოწიოს. გარდა ამისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და გამოწვევა არის კლიმატის ცვლილება, რომელიც რეალობას წარმოადგენს და ის გავლენას ახდენს არამარტო ევროპის კავშირის მოქალაქეებზე, არამედ მსოფლიოზე, ამიტომ ევროპის სახალხო პარტია კლიმატის წინააღმდეგ ბრძოლის ერთგული რჩება. ამასთანავე, ევროპის სახალხო პარტია ევროპის კავშირის კლიმატის სამოქმედო დღის წესრიგს ხელმძღვანელობდა. ევროპარტიის შეხედულებით, მსოფლიოს არ სჭირდება ფატალიზმი, არამედ მეტი ამბიცია და მოქმედება საერთო საქმის გასაკეთებლად. ევროპის სახალხო პარტიის ერთ-ერთი მოწოდებაა, რომ გამოიყენონ იმპულსი და იზრუნონ ევროპელი მოქალაქეებისა და მათი შვილების მომავალზე.

ევროპარტიების ფედერაციებსა და ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) შორის თანამშრომლობის კუთხით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პარტიათა იდეოლოგიური პროფილების შესაბამისობა. ევროპის კავშირის არაწევრი სახელმწიფოების პოლიტიკური პარტიები დაბალი იდეოლოგიური პროფილებითა და სუსტი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხით გამოირჩევიან, რაც პირდაპირ გულისხმობს იმას, რომ ევროპარტიებსა და ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს შორის იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი საკმაოდ კომპლექსურია. ევროპარტიები (ევროპის სოციალისტური პარტია, ევროპის სახალხო პარტია) ე.წ. „იდეოლოგიური საკონტროლო სიის“ მიხედვით მოქმედებენ და სწორედ მისი დახმარებით აფასებენ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხს. ისმის კითხვა, იდეოლოგიურად რამდენად შეესაბამებიან ეროვნული პოლიტიკური პარტიები (ქართული ოცნება, ერთიანი

ნაციონალური მოძრაობა) ევროპარტიებს და რა შემთხვევაში არიან მზად ევროპარტიები, რომ იდეოლოგიური თანხვედრის შეუსაბამობის მიუხედავად ეროვნული პარტიები მათი ოჯახის წევრად მაინც მიიღონ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დროის ფაქტორი დადებითად მოქმედებს იდეოლოგიური თანხვედრის საკითხზე, რაც უფრო დიდხანს არის დამკვირვებელი წევრი პარტია ევროპარტიასთან აფილირებული, მით უფრო დიდია შანსი იმისა, რომ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი მოწესრიგებული იქნება. ამასთანავე, მოსალოდნელია ისიც, რომ ძლიერი პოლიტიკური პარტიები ნაკლებად შეესაბამებოდნენ ევროპარტიებს, რადგან მათი იდეოლოგიური პროფილი ხშირად, საკმაოდ ფართოა. საპირისპიროდ, მოსალოდნელია, რომ სუსტი პოლიტიკური პარტიები იდეოლოგიური კუთხით უფრო ახლოს იქნებიან ევროპარტიასთან, რადგან მათი იდეოლოგიური პროფილები შედარებით, უფრო კონსოლიდირებულია. იდეოლოგიურად, ევროპის სახალხო პარტია (EPP) კონსერვატიული და მემარჯვენე-ცენტრისტული პოლიტიკური პარტიების გაერთიანებას წარმოადგენს, მათ შორის არის გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი[10] და პოლონეთის სამოქალაქო პლატფორმა. [11] მიუხედავად მისი ფართო შემადგენლობისა, ევროპის სახალხო პარტიის ძირითადი ღირებულებები შესაძლოა ჩამოყალიბდეს ქრისტიანულ დემოკრატიაზე, საბაზრო ეკონომიკაზე, ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებზე და სუბსიდიარობის პრინციპებზე დაყრდნობით. ევროპის სახალხო პარტია მიიჩნევს, რომ ევროპის კავშირის ფედერალურ მშენებლობას შეუძლია უზრუნველყოს ერთიანობა მრავალფეროვნებაში და შესაბამისად, პატივი სცეს ნაციონალურ იდენტობებს. სუბსიდიარობის პრინციპი ფედერალისტურ ევროპაში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს, რომელშიც ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება თავის ფუნქციებს შეინარჩუნებს. სოციალ-დემოკრატიისგან განსხვავებით, ქრისტიანული დემოკრატია მხარს უჭერს პერსონალიზმს და მიზნად ისახავს ინდივიდებს დაუტოვოს უფლება თავად მიიღონ გადაწყვეტილებები, ამასთანავე, ქრისტიანული დემოკრატიისთვის ოჯახური ღირებულებების დაცვა ფუნდამენტურ ბირთვს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ევროპის სახალხო პარტიასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის

[10] Christian Democratic Union of Germany
[11] Civic Platform

იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია და იდეოლოგიური პროფილის დახვეწის საკითხი უფრო, დროზეა დამოკიდებული. მაშინ, როცა 2008 წლამდე ევროპის სახალხო პარტიასა (EPP) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი შედარებით, მოწესრიგებული იყო, 2008 წლის შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ავტორიტარულმა მიდრეკილებებმა და ძლიერმა სახელმწიფო რეგულაციებმა ევროპარტიასა და ეროვნულ პარტიას შორის ღრმა შეუსაბამობები გამოიწვია. ეკონომიკური განზომილების თვალსაზრისით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ლიბერტარიანული პარტია. თავის დროზე, მას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკურ პარტიასთან და აქტიურად იყო ჩართული ა.შ.შ.-ში დაფუძნებული კატოს ინსტიტუტის [12]საქმიანობაში, რომელიც თავისი არსით, არის არაკომერციული, ლიბერტარიანული ანალიტიკური ცენტრი და ის მხარს უჭერს მთავრობის შეზღუდულ როლს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ამასთანავე, სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის საკითხსაც. 2007 წლამდე ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო ამერიკული სტილის ლიბერტარიანული რეფორმების გატარება, რომელიც ძნელად შეესაბამებოდა ევროპის სახალხო პარტიის სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. პარტიის მხრიდან განხორციელებული რეფორმების უმეტესობა ლიბერტარიანული იყო: საბაზრო ბარიერების შემცირება, საჯარო სექტორის პრივატიზაციის ფართო პროგრამები, სახელმწიფო ხარჯების მკვეთრი შემცირება, სახელმწიფო კონტროლის ორგანოების გაუქმება (ანტიმონოპოლიური სააგენტო, სურსათის ხარისხისა და კონტროლის სამსახური) და სხვა. მიუხედავად ამისა, 2008 წლის შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სახელმწიფოზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადავიდა და მხარი დაუჭირა სახელმწიფო რეგულირების საკითხს. საშინაო უკმაყოფილებამ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ნეოლიბერალური მოდელის პერსპექტივები საკმაოდ შეზღუდა. პარტია ვეღარ დაეყრდნო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ამიტომ სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის გაძლიერების მოტივით უფრო მეტად ჩაერია რეგულირების პროცესში, რამაც გამოიწვია ის, რომ ქართული

[12] The Cato Institute

კომპანიები იძულებულნი გახდნენ ინვესტიციები მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილ პროექტებში ჩაედოთ. მაგალითად, 2007 წელს რუსული ღვინის ემბარგოს გამო, სხვადასხვა კომპანიები აიძულეს ყურძნისა და ღვინის დიდი რაოდენობით შესყიდვაში, რათა თავიდან აეცილებინათ ღვინის ინდუსტრიის კოლაფსი. 2010 წლისთვის ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა აშკარა გახდა. აქიდან გამომდინარე, ლიბერტარიანული ეკონომიკური პოზიციებისგან დაშორებამ ევროპის სახალხო პარტიასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის თანამშრომლობის პროცესს შეუწყო ხელი, მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ ერთადერთი ფაქტორი. რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, იდეოლოგიური კუთხით, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ევროპის სახალხო პარტიას შორის თანხვედრა ნაწილობრივია. ეროვნული პოლიტიკური პარტია ევროპის სახალხო პარტიის პოზიციას იზიარებდა ინდივიდუალური უფლებების დაცვის შესახებ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოწოდებული იყო დაეცვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები, ის მხარს უჭერდა თანაბარი მოპყრობის პრინციპს, რაც შესანიშნავად ჯდებოდა ევროპის სახალხო პარტიის იდეოლოგიურ პროფილში. მიუხედავად ამისა, ევროპის სახალხო პარტიისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიციები ეკლესიის როლთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული იყო. ეროვნული პოლიტიკური პარტია მტკიცედ ემხრობოდა პოლიტიკაში ეკლესიისა და სახელმწიფოს საქმიანობის გამიჯვნას, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მაინც რჩებოდა და დღემდე რჩება აქტიურ მოთამაშედ პოლიტიკური პროცესების ნაწილში. ამ ვითარებაში, ქრისტიანული კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და ინდივიდუალური თავისუფლებების ხელშეწყობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის რთული ამოცანა გახდა. ამ კუთხით, ევროპის სახალხო პარტიასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი შეუსაბამო აღმოჩნდა. პოლიტიკური იდეოლოგიის კუთხით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა შესაძლოა განთავსდეს ევროპის სახალხო პარტიასა (EPP) და “ALDE”-ს (ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის) შორის, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ მხარეთა შორის იდეოლოგიური თანხვედრის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ევროპის სახალხო პარტია ყოველთვის იყო დაინტერესებული

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მასთან აფილირებით, რადგან ის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ წამყვან ოპოზიციურ ძალას წარმოადგენს. საბოლოოდ, იდეოლოგიური თანხვედრის კუთხით ევროპის სახალხო პარტიისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიციები შედარებით დაემთხვა პერსონალიზმისა და ევროპული ინტეგრაციის საკითხებში. რაც შეეხება ევროპის სოციალისტურ პარტიას (PES), მისი პრინციპები განსაზღვრულია 1992 წლის ნოემბრის ჰააგის დეკლარაციაში. ევროპის სოციალისტური პარტიის იდეოლოგიურ პროფილს ძირითადად, ორი ინიციატივა აყალიბებდა: დებატები ახალი ევროპის შესახებ და დასაქმების სტრატეგია. ეკონომიკურად მდგრადი და კონკურენტუნარიანი ევროპის შექმნის პირობის დადებით, ევროპის სოციალისტურმა პარტიამ სრული დასაქმების პანევროპული სტრატეგიის შექმნის შესახებ გამოაცხადა. ლარსონის ანგარიშზე[13] დაყრდნობით, ევროპარტიამ დასაქმების ევროპული ინიციატივა წარადგინა, რომელიც ევროპის კავშირის ინსტიტუციური სტრუქტურების სტიმულირებასა და აღორძინებას ცდილობდა. სრული დასაქმების სტრატეგია მიზნად ისახავდა სამუშაო საათების შემცირებას, მოქნილი სამუშაო მოწყობის პრინციპებს, ინვესტიციების მოზიდვას ინფრასტრუქტურასა და განათლებაში და სხვა. ევროპის სოციალისტური პარტიის მიხედვით, ეკონომიკური კრიზისის დროს ევროპის კავშირმა ყველა მოქალაქეს სამუშაო გადამზადება ან სოციალურად სასარგებლო სამუშაო უნდა შესთავაზოს, რა თქმა უნდა, ღირსეული ანაზღაურებით. სამართლიანობისა და სოლიდარობის პრინციპების დაცვა, მამაკაცებისა და ქალების თანაბარი შესაძლებლობები ევროპის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებებს წარმოადგენს. აღნიშნულმა ევროპარტიამ დაადასტურა ისიც, რომ წინააღმდეგობას გაუწევს რასიზმს, ექსტრემისტულ ნაციონალიზმს და ევროპულ ღირებულებებთან მათ შეუთავსებლობას. ევროპის სოციალისტური პარტია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის ერთგული რჩება. (SHAGINA, 2017, P. 115).

ევროპის სოციალისტური პარტიისა (PES) და ქართული ოცნების საერთაშორისო ჯგუფის მოლაპარაკებათა პროცესში ამ უკანასკნელთაგან არსებობდა განცდა, რომ ევროპის

[13] Larsson Report

სოციალისტურ პარტიაში გაწევრიანების პროცესი პოზიტიურად აისახებოდა ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილის განვითარებაზე. ქართული ოცნების საერთაშორისო ჯგუფის ერთ-ერთი ყოფილი წევრის განცხადებით, მას ჰქონდა მოლოდინი, რომ ევროპარტიაში გაწევრიანება იდეოლოგიური კუთხით კორექტირებას გამოიწვევდა ისეთ საკითხებში, რომელშიც ქართულ ოცნებას ბოლომდე სოციალისტური შეხედულებები არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ევროპის სოციალისტურ პარტიაში დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსის მოპოვებამ არ განაპირობა ქართული ოცნების იდეოლოგიური პროფილის განვითარება, რადგან ურთიერთობათა პროცესში მხარეთა შორის შედარებით სხვა ფაქტორებს ჰქონდა გადამწვეტი მნიშვნელობა. მეტიც, ევროპის სოციალისტური პარტიისა და ქართული ოცნების იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი საკმაოდ ნეგატიურად გამოიყურება, მაგრამ გარკვეული სოციალური პროექტების წამოწყება ქართულ ოცნებას აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხის მიმართულებით მუშაობა გრძელდება. ქართული ოცნების საერთაშორისო ჯგუფის ერთ-ერთი ყოფილი წევრის მოსაზრებით, ეროვნული პოლიტიკური პარტია ბევრად უფრო მემარცხენე იდეოლოგიის მატარებელი იყო მაშინ, როდესაც ევროპის სოციალისტურ პარტიასთან დაიწყო ურთიერთობა, ვიდრე ახლა. მაგალითად, კულტურული ლიბერალიზმის, იდენტობისა და ეროვნული უმცირესობების საკითხის კუთხით ქართული ოცნების იდეოლოგიური კომპასი შედარებით, კონსერვატიზმისკენ იხრება, რომელიც ევროპის სოციალისტური პარტიის იდეოლოგიისგან მკაფიოდ განსხვავდება. *[ინტერვიუ დიმიტრი ცქიტიშვილთან].*

ევროპარტიები ეროვნულ პარტიებთან თანამშრომლობის პროცესში ყოველთვის ცდილობენ იდეოლოგიური პროფილის საკითხზე ყურადღების გამახვილებას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, იდეოლოგიური თანხვედრის, ხოლო მეორე მხრივ, იდეოლოგიური გამართულობის მოწესრიგებას, მიუხედავად ამისა, სადავოა, რომ ევროპარტიები ეროვნულ პარტიებთან ურთიერთობისას მხოლოდ მას ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას. ევროპის სოციალისტური პარტია (PES) და ევროპის სახალხო პარტია (EPP) ევროპარლამენტის მასშტაბით წარმოადგენენ ყველაზე დიდ და ამასთანავე, ერთმანეთის კონკურენტ ევროპარტიებს. საკმარისია, რომ ეროვნული

პოლიტიკური პარტია იდეოლოგიური კუთხით მემარჯვენეობას აღიარებდეს, რომ ევროპის სახალხო პარტიასთან წამოიწყოს ურთიერთობა და საკმარისია, რომ ეროვნული პოლიტიკური პარტია იდეოლოგიური კუთხით მემარცხენეობას აღიარებდეს, რომ ევროპის სოციალისტურ პარტიასთან წამოიწყოს ურთიერთობა, მაგრამ ევროპარტიაში გასაწევრიანებლად მხოლოდ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი საკმარისი არ არის. *[ინტერვიუ ლევან კახიშვილთან].* გაწევრიანების პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა იდეოლოგიურ თანხვედრასთან ერთად, მაინც ინტერპერსონალურ კავშირებსა და ეროვნული პარტიის გავლენას ენიჭება. აქიდან, მხოლოდ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი იზოლირებულად არ ნიშნავს გარანტიას, რომ ეროვნული პარტია ევროპარტიაში გაწევრიანდება. 2011 წლის ოქტომბერში, როდესაც ქართული ოცნების კოალიცია შეიქმნა, იდეოლოგიური კუთხით მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები საკმაოდ მრავალფეროვანნი იყვნენ. მაგალითად, თავისუფალი დემოკრატები მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების პოლიტიკური პარტია, ხოლო საქართველოს კონსერვატიული პარტია მემარჯვენე ორიენტაციის პოლიტიკური პარტია გახლდათ. აღნიშნულმა კოალიციამ 2016 წლამდე იარსება, ხოლო ქართული ოცნება ევროპის სოციალისტურ პარტიაში (PES) დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსით მანამდე, 2015 წელს გაწევრიანდა, რაც ნიშნავს იმას, რომ გაწევრიანებისას ეროვნული პარტია ჯერ კიდევ კოალიციას წარმოადგენდა და იდეოლოგიურად საკმაოდ ჭრელი იყო. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი ევროპარტიაში გაწევრიანების კუთხით გადამწყვეტი არ არის. ქართული ოცნების შემთხვევაში დღის წესრიგში იდგა ის, რომ ამომრჩევლისთვის შეეთავაზებინა ისეთი რამ, რასაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ვერ სთავაზობდა. შესაბამისად, ამ უკანასკნელთან კონკურენციის გასაწევად ქართული ოცნებისთვის ლოგიკური იყო იმ ევროპარტიის არჩევა, რომელსაც ერთი მხრივ, ევროპარლამენტში უზარმაზარი გავლენა ჰქონდა, მეორე მხრივ კი ევროპის სახალხო პარტიის (EPP) მთავარი კონკურენტი იყო და ასეთი პარტია სწორედ ევროპის სოციალისტური პარტია (PES) აღმოჩნდა. *[ინტერვიუ დიმიტრი ცქიტიშვილთან].* იდეოლოგიური პროფილი თავისი არსით, პოლიტიკური პარტიის მხრიდან ღირებულებების არჩევასა და მის ერთგულებას გულისხმობს, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად, ამგვარი

მოცემულობით პოლიტიკური პარტიები არ მოქმედებენ, ისინი ივიწყებენ ღირებულებებს და სხვა ფაქტორების მიხედვით იწყებენ მანევრირებას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არსებული კონსერვატიული პარტია ჯანდაცვის სისტემას აფინანსებს, მემარჯვენე პარტია წესით და რიგით, ამას არ უნდა აკეთებდეს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იდეოლოგიასთან შედარებით ადგილობრივ კონტექსტს ენიჭება. აქიდან, ეროვნული პოლიტიკური პარტიების მხრიდან იდეოლოგიური პროფილის საკითხი ხშირად, არასაკმარისად არის გაანალიზებული და მის მნიშვნელობას უფრო ლოკალური კონტექსტი ფარავს. მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ორი საუკუნე მაინც ჰქონდათ იმისთვის, რომ იდეოლოგიური პროფილები ჩამოეყალიბებინათ, რაც საქართველოს შემთხვევაში რიგი ფაქტორების გამო ვერ მოხერხდა. საქართველოს პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში მათი მხრიდან წამოსული დაპირებები არ არის თანმიმდევრული. მაგალითად, 2012 წელს ქართული ოცნების კოალიციას ეკონომიკის სფეროში ჰქონდა მემარცხენე იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი დაპირებები, ხოლო 2016 წელს, შედარებით მემარჯვენე. მიუხედავად ამისა, 2016 წელს ქართული ოცნება აქტიურად აცხადებდა, რომ ისინი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. საბოლოო ჯამში, იმის თქმა შეგვიძლია, რომ იდეოლოგიური პროფილი, კლასიკური გაგებით არ არსებობს არცერთ ქვეყანაში, რადგან პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლის მოზიდვას მათ შორის, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებითაც შესაძლოა ცდილობდნენ, ხოლო ადგილობრივი კონტექსტი, თავისი არსით მოსალოდნელია რომ ეწინააღმდეგებოდეს იდეოლოგიური კომპასის პრინციპებს. იმის გამო, რომ პოლიტიკურმა პარტიამ ამომრჩეველი მოიზიდოს და მოწინააღმდეგე გაანეიტრალოს სავარაუდოა, რომ ის ღირებულებებს გადაუხვევს და მემარცხენე იდეოლოგიის ნაცვლად მემარჯვენეობას მიმართავს (ან პირიქით). ევროპის სოციალისტური პარტია (PES) და ევროპის სახალხო პარტია (EPP) შესაბამისად, ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას არ უზღუდავენ გასცენ ისეთი დაპირებები, რომლებიც ადგილობრივ კონტექსტს ერგება, რადგან მათთვის ეროვნული პოლიტიკური პარტიების გავლენა და წარმარტების ხარისხი უფროა მნიშვნელოვანი, ვიდრე იდეოლოგიური პროფილის განვითარების საკითხი. *[ინტერვიუ ლევან კახიშვილთან].*

როგორც ჩანს, ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობების შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი არის იდეოლოგიური პოზიციების დახვეწა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეროვნული პოლიტიკური პარტიების მხრიდან ევროპარტიასთან თანამშრომლობის/გაწევრიანების სურვილის შემთხვევაში ადგილობრივი პარტიები იდეოლოგიური კუთხით თანხვედრაში უნდა მოდიოდნენ კონკრეტულ ევროპარტიასთან. მიუხედავად ამისა, საქართველოში ფუნქციონირებად პოლიტიკურ პარტიებს თანმიმდევრული იდეოლოგიური პოზიციები არ აქვთ, რაც მხარეთა შორის ურთიერთობათა განვითარების პროცესს აფერხებს. იდეოლოგიური თანხვედრის კუთხით, ქართული ოცნება მემარცხენე-ცენტრისტულ, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მემარჯვენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს, რაც ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული ეროვნული პოლიტიკური პარტიები მართლაც ისეთ ევროპარტიებთან არიან აფილირებულნი, რომელთა იდეოლოგიაც მათსას ემთხვევა, თუმცა საეჭვოა, რამდენად ენიჭება იდეოლოგიური თანხვედრის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როცა დღის წესრიგში ინტერპერსონალური კავშირების გავლენაც დგას. ევროპარტიები მათთან აფილირებულ ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს არ მიუთითებენ იმაზე, თუ რა პოლიტიკური პოზიციები უნდა დაიკავონ, მეტიც, ევროპარტიები ეროვნული პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების შექმნაშიც არ მონაწილეობენ. აქიდან გამომდინარე, იდეოლოგიური პროფილის განვითარების საკითხი უფრო ეროვნული პოლიტიკური პარტიების საზრუნავად რჩება, თუმცა საეჭვოა, რამდენად ზრუნავენ ისინი იდეოლოგიურ თანმიმდევრულობაზე და პრინციპების დაცვაზე. ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპის სოციალისტურ პარტიასთან და შესაბამისად, ევროპის სახალხო პარტიასთან თანამშრომლობა უფრო მეტად ღირებულია იმის გამო, რომ აღნიშნული ევროპარტიები ევროპარლამენტში საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობენ და შესაძლოა მათ ეროვნული პოლიტიკური დღის წესრიგის საკითხები ევროპის კავშირშიც გააჟღერონ, საწინააღმდეგოდ, საეჭვოა, რომ მხარეთა შორის თანამშრომლობის განმაპირობებელი მთავარი მოტივი იდეოლოგიური პროფილის განვითარებისა და იდეოლოგიური თანხვედრის საკითხები იყოს. ქართულ ოცნებას ევროპის

სოციალისტური პარტია (PES) ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპის სახალხო პარტიის (EPP) გავლენის გასანეიტრალებლად ესაჭიროება (ისევე როგორც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ევროპის სახალხო პარტია), ხოლო ევროპის სოციალისტურ პარტიას ქართული ოცნება საკუთარი გავლენის გასაფართოებლად, ვინაიდან ის საქართველოში მმართველ ეროვნულ პარტიას წარმოადგენს. შესაბამისად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მხარეთა შორის თანამშრომლობის მთავარი მოტივი იდეოლოგიური პროფილის განვითარება იყოს, მითუმეტეს, რომ იდეოლოგიური თანხვედრის კუთხით მრავალი შეუსაბამობა არსებობს. ევროპარტიები შესაძლოა მოქმედებდნენ როგორც მხარეები, რომელთაც ეროვნული კუთხით (საქართველო) პარტიათა მხრიდან იდეოლოგიური ორიენტაციის გაძლიერება სურთ, მაგრამ აღნიშნული საკითხის განვითარება უფრო მეტად ევროპარტიების სურვილზე არის დამოკიდებული, ვიდრე ქართული პოლიტიკური პარტიების მზაობაზე, რადგან დღეს იდეოლოგიური პროფილის კუთხით, ქართული პოლიტიკური პარტიები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან. (კახიშვილი, 2018, გვ. 19-20).

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, იდეოლოგიური პროფილის დახვეწის საკითხის ინიცირება ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან უნდა მიმდინარეობდეს, რადგან ევროპარტიებს ეროვნული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე ზრუნვის გარდა, უამრავი სხვა საკითხი აქვთ მოსაწესრიგებელი. მათთვის მაინც, მთავარია, რომ ეროვნული პოლიტიკური პარტია საპარლამენტო მანდატებს ფლობდეს, ხოლო იდეოლოგიური პროფილის დახვეწის საკითხი უფრო მეტად, თავად ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებზე (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) არის დამოკიდებული. ევროპარტიებისთვის ეროვნული პოლიტიკური პარტიების საპარლამენტო სტატუსის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ საპარლამენტო ბოიკოტის პირობებში ევროპის სახალხო პარტიამ (EPP) ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირდაპირ განუცხადა, რომ თუ ის საპარლამენტო საქმიანობას არ გააგრძელებდა, ევროპის სახალხო პარტიის დატოვება მოუწევდა. *[ინტერვიუ ლევან ბეჟაშვილთან].*

2.1. ევროპის სოციალისტური პარტიის პრობლემები

2016 წლის ივნისში გავრცელდა სტატია, რომლის მიხედვითაც კონტროვერსიული სერბული პოლიტიკური პარტიის ურთიერთობები უნდა გადახედილიყო პანევროპულ, ევროპის სოციალისტურ პარტიასთან (PES). აღნიშნული სტატია აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც პრორუსულმა ალიანსმა, რომელიც ულტრამემარჯვენე პარტიას სახელად „დვერს“[14] მოიცავს, ქვეყნის საყოველთაო არჩევნებში მანდატების მოპოვება მოახერხა. სტატიის გადმოცემით, პარტია „დვერი“ ღიად ჰომოფობიური დაჯგუფებაა, რომლის ლიდერმაც განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაცია არ წარმოადგენდა ადამიანის უფლებას. ამასთანავე, ევროპის სოციალისტური პარტიის ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, რომ ისინი იმედგაცრუებულნი იყვნენ, რადგან სერბეთის დემოკრატიული პარტია [15](PES-ის ასოცირებული წევრი) საარჩევნო კამპანიას მემარჯვენე პარტიის სახელით აწარმოებდა, რომელიც აშკარად არ ცნობდა „ლგბტ“ უფლებებს. აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება ევროპის სოციალისტური პარტიის ღირებულებებს, რომელიც მომხრეა ევროპაში ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და სრული თანასწორობის მოპოვებისა. ალიანსმა, რომელშიც პარტია „დვერი“ შედის, სერბეთის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 13 მანდატი მოიპოვა, ხოლო დემოკრატიულმა პარტიამ, 16 მანდატი.

2019 წლის აპრილში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ ურთიერთობები მის რუმინულ ფილიალთან, მმართველ პარტიასთან (PSD) [16] შეჩერებულიყო მანამ, სანამ რუმინეთის მთავრობა არ დაადასტურებდა თავის ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი და არ შეასრულებდა ევროკომისიის რეკომენდაციებს. რეალურად, PSD-სა და ევროპის სოციალისტურ პარტიას შორის ურთიერთობები დიდი ხანია, რაც მარტივი არ არის. გარდა მადრიდის კონგრესისა, რუმინელი სოციალისტები თავს არიდებდნენ ევროპის სოციალისტური პარტიის ღონისძიებებზე დასწრებას. PSD-ის

[14] The Serbian Movement “DVERI”
[15] The Democratic Party (DEMOKRATSKA STRANKA)
[16] The Social Democratic Party (PSD)

წარმომადგენელთა განცხადებით, მათთვის მიუღებელი იყო ის, თუ როგორ იქცეოდნენ ევროპარლამენტარი კოლეგები. მათ შეეძლოთ მოლოდინი ჰქონოდათ, რომ უსაფუძვლო ბრალდებები ეროვნული პარტიის მიმართ პოლიტიკური ოპონენტებისგან წამოვიდოდა, მაგრამ არა მათი ოჯახისგან, ნათქვამი იყო PSD-ის განცხადებაში. ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, ფრანს ტიმერმანსმა რუმინეთის მთავრობას რამდენიმე წერილი გაუგზავნა, სადაც მოხსენიებული იყო ის პრობლემები, რომლებიც მოგვარებას საჭიროებდნენ.

ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ულტრა მემარჯვენე პარტიების დაშოშმინების საკითხი ევროპის კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში (შვედეთი, იტალია). მემარჯვენე ეროვნული პოლიტიკური პარტიების აღზევება ევროპის კავშირის შიგნით ახალ პოლარიზაციას იწვევს. სულ უფრო ხშირად საუბრობენ არა მემარჯვენეებზე და მემარცხენეებზე, არამედ კონსერვატორებზე. შედეგი არის ის, რომ მსოფლიოს ფინანსური კრიზისის შემდეგ, სოციალისტური პარტიების უმეტესობა იდენტობის კრიზისს განიცდის, რომელთათვისაც ქარიზმატული ლიდერების ნაკლებობა არის დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, ევროპის კავშირის მასშტაბით პოლიტიკური ლანდშაფტი ნაყოფიერია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კუთხით. კონსერვატიული ეროვნული პარტიები საუკეთესოდ აკეთებენ ერთ საქმეს, ისინი აქტიურად მუშაობენ საკუთარი იდენტობის ხელახლა განსაზღვრისთვის და სოლიდარობის ნარატივის მიღებისთვის. უკრაინის ომი ამკვიდრებს აზრს, რომ ევროპელები ერთიანობისა და სოლიდარობის ერთგულნი რჩებიან, ეს უნდა იყოს სოციალ-დემოკრატების მთავარი მიზანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი პოპულარობის კლება გაგრძელდება. (FOX & VASQUES, 2022).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ზოგიერთი წარმომადგენელი სოციალისტებს საშინელ კორუფციულ სკანდალებში ადანაშაულებს. ევროპის სახალხო პარტიის გენერალური მდივნის, ტანასის ბაკოლასის განცხადებით, კორუფციის საკითხი იყო სოციალისტური პარტიის პრობლემა. ბაკოლასის მიხედვით, სოციალისტთა და დემოკრატთა ჯგუფმა (S&D) ვერ აიღო პასუხისმგებლობა ე.წ. „კატარგეიტის სკანდალზე“, რომლის გამოც აღნიშნულ ჯგუფთან დაკავშირებული ოთხი

პირის დაკავება მოხდა. ევროპის სახალხო პარტია მიუთითებდა ევროპარლამენტის პრეზიდენტის, რობერტა მეცოლას (EPP წევრი) გეგმაზე, რომელიც ევროპარლამენტში ანგარიშვალდებულებისა და გამჭირვალობის გაზრდას ისახავს მიზნად. ბაკოლასმა სოციალისტებისა და დემოკრატების ჯგუფი (S&D) დაადანაშაულა იმაში, რომ სკანდალის ლაქამ მთელ ევროპარლამენტში შეაღწია, ამასთანავე, საზოგადოებას შთაბეჭდილება დარჩა, რომ ევროპარლამენტში ყველა „ცუდი ვაშლია“. სოციალისტებისა და დემოკრატების ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენლის მიხედვით, სკანდალის პოლიტიზირება კიდევ უფრო დააზარალებს მოქალაქეთა ნდობას ევროპარლამენტის მიმართ. (MATHIESEN, 2023).

და მაინც, რა მოხდა „კატარგეიტის სკანდალით?“ ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, ევა კაილი (S&D) კატარიდან ქრთამის მიღების ბრალდებით დააკავეს. ევროპარლამენტარები, განსაკუთრებით ევროპის სახალხო პარტიის (EPP) წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ კაილის ამ ქმედებით ევროპის კავშირის პოლიტიკაზე სურდა გავლენის მოხდენა. 2022 წლის 9 დეკემბერს ბელგიის პოლიციამ ბრიუსელში რამდენიმე რეიდი ჩაატარა და ექვსი პირი დააკავა, მათ შორის, ცნობილი პოლიტიკოსები. ფულის გათეთრებასა და კორუფციის სკანდალში მონაწილეობას იღებდნენ ბერძენი პოლიტიკოსი, ევა კაილი და ყოფილი ევროპარლამენტარი იტალიიდან, პიერ ანტონიო პანცერი. როგორც ამბობენ, კატარმა კაილის თანხა გადაუხადა, რათა მას გავლენა მოეხდინა ევროპის კავშირის პოლიტიკოსებზე და გაეტარებინა ისეთი პოლიტიკა, რომელიც კატარის სასარგებლო იქნებოდა. სხვადასხვა კერძო ლოკაციებზე პოლიციამ კაილის მფლობელობაში ასობით ათასი ევრო აღმოაჩინა. მიგრანტ მუშაკთა დაღუპვის შესახებ ცნობების მიუხედავად, კაილი აქტიურად იცავდა კატარის ადამიანის უფლებების პროგრესს და დადებითად აფასებდა მისი შრომითი და სოციალური რეფორმების ინიციატივებს. კაილი ევროპის კავშირის კრიტიკასაც შეეხო დოჰას ადამიანის უფლებათა პოლიტიკის მიმართ, ამასთანავე, ის ცდილობდა, რომ კატარის მოქალაქეებისთვის ვიზების მიღების პროცედურა გამარტივებულიყო. გამოძიება დღემდე გრძელდება, კაილი კი ამჟამად ბელგიის ციხეში იმყოფება. „კატარგეიტის სკანდალით“ მთელი მსოფლიო შოკირებული დარჩა. ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი მტკივნეულია, მაგრამ მათ

კვლავ ბევრი უნდა იმუშაონ, რათა მსოფლიოს მხრიდან ნდობა დაიბრუნონ. რუმინეთის პრეზიდენტმა, კლაუს იოჰანისმა განაცხადა, რომ ეს საკითხი საფრთხეს უქმნიდა მთლიანად ევროპის კავშირს. დამატებით, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა ხაზი გაუსვა ევროპის კავშირის სისუსტეს დემოკრატიული პრინციპების დაცვის კუთხით. (Yadav, 2023).

2023 წლის 11 თებერვალს ბულგარელი სოციალისტების ლიდერი სოციალ-დემოკრატების ჯგუფიდან (S&D), ვიტანოვი[17] ბულგარეთის სოციალისტური პარტიიდან[18] (BSP) გარიცხეს, აღნიშნული მოვლენა კი ხაზს უსვამს ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) კრიზისზე. ვიტანოვმა მიუთითმა პარტია „BSP"-ის გავლენის გაუარესებაზე, რადგან ბოლო არჩევნებში ეროვნულმა პარტიამ ხმების 8.98 % მიიღო და მეხუთე პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა, ხოლო 2000-2007 წლებში ის გავლენით მეორე პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. პარტია „BSP"-სთან ვიტანოვის კონფლიქტის მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო განსხვავებები ოთხპუნქტიან დეკლარაციასთან დაკავშირებით, რომელიც 300-მდე ოპოზიციურად განწყობილი სოციალისტების მიერ იქნა მიღებული. დამატებით, ვიტანოვმა განაცხადა, რომ პარტია აღარ იცავდა ევროპელი სოციალისტების პოლიტიკას, რადგან თავად ბულგარეთში ყველაზე დიდი უფსკრული სწორედ მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებობს. (GOTEV, 2023).

[17] PETAR VITANOV
[18] The Bulgarian Socialist Party (BSP)

2.2. ევროპის სახალხო პარტიის პრობლემები

ევროპის სახალხო პარტიის (EPP) კონკურენტების შეფასებით, აღნიშნულ ევროპარტიას საკუთარი თავის წარმოჩენა სურს, როგორც მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიისა, მიუხედავად ამისა, ის სხვების მიერ აღწერილია, როგორც კონსერვატიული ევროპარტია. დამატებით, კონკურენტების მიხედვით, ეს ორივე ტერმინი საუკეთესო შემთხვევაში მაინც მიახლოებითია. ევროპარტიის შიგნით პოლიტიკურ და ღირებულებით კონტექსტში დაძაბულობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც 13-მა ეროვნულმა პარტიამ ხელმძღვანელობას მოსთხოვა დაპირისპირებოდა უნგრეთის პრემიერ-მინისტრს, ვიქტორ ორბანს მისი ანტიდემოკრატიული და ევროსკეპტიკური რიტორიკის გამო. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, 2019 წელს ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა ორბანის პარტიის, „ფიდესის“[19] განუსაზღვრელი ვადით შეჩერებას, შიდა გამოძიების დასრულებამდე. ორბანის კრიტიკოსები ევროპის სახალხო პარტიაში იმედს იტოვებდნენ, რომ „ფიდესი“ ევროპის სახალხო პარტიის ოჯახიდან გავიდოდა. გარდა ამისა, 1999 წელს იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონის პოპულისტური პარტია, „Forza Italia” ევროპის სახალხო პარტიას შეუერთდა, რაც დღემდე ნეგატიურად მოქმედებს ევროპარტიის იმიჯზე, რადგან ბერლუსკონის სახელთან დაკავშირებულია ბრალდებები არასრულწლოვანთა პროსტიტუციისა და სხვადახვა მოწმეების მოსყიდვასთან დაკავშირებით. (King, 2019).

უნგრეთში არსებული პოლიტიკური პარტიის, „ფიდესის“ ევროპის სახალხო პარტიიდან (EPP) გასვლაზე სულ მცირე, ათი წლის განმავლობაში მსჯელობდნენ. ვიქტორ ორბანის მხრიდან ადგილი ჰქონდა მიგრაციული კრიზისის პოლიტიკური ექსპლუატაციის ეპიზოდს და ბრძოლას „სოროსის იმპერიასთან“. 2019 წლის მარტში, 190 ხმით პარტია „ფიდესს“ ევროპის სახალხო პარტიის (EPP) წევრობა შეუჩერდა და მას ჩამოერთვა ხმის მიცემის უფლება. ევროპის სახალხო პარტიასა და მის უნგრულ ეროვნულ პარტიას შორის ურთიერთობები ასახავს ორბანის ევროპული სტრატეგიის რღვევას. გარდა ამისა, უნგრეთში პრესის თავისუფლების გარშემო შექმნილი პრობლემები გახდა იმის

[19] FIDESZ – HUNGARIAN CIVIC ALLIANCE

მიზეზიც, რომ ევროპის სახალხო პარტიამ „ფიდესს“ გაფრთხილების მიზნით დროებით წევრობა შეუჩერა, იმ იმედით, რომ აღნიშნული პრობლემა გამოსწორდებოდა, მაგრამ ვითარება უარესობისკენ შეიცვალა. ვიქტორ ორბანის პოლიტიკურმა კურსმა ღია გზავნილი მისცა ევროპის სახალხო პარტიას, რომ მისი და უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ღირებულებები შეუთავსებელი რჩებოდა. ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები „ფიდესის“ დეპუტატებს აქტიურად მოუწოდებდნენ, რომ დაფიქრებულიყვნენ იმაზე, შეესაბამებოდა თუ არა მათი პოლიტიკური მრწამსი ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ძირითად ღირებულებებს. 2021 წლის 28 თებერვალს ვიქტორ ორბანმა წერილი მისწერა ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტს, მანფრედ ვებერს და ღიად განაცხადა, რომ “ფიდესი“ ევროპარტიას დატოვებდა. (MACEK, 2021).

საბოლოო ჯამში, 2021 წლის მარტში პარტია „ფიდესმა“ ევროპის სახალხო პარტია დატოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება ვიქტორ ორბანმა მას შემდეგ მიიღო, რაც ევროპის სახალხო პარტიამ წესებში ცვლილებები შეიტანა და ევროპარტიის ოჯახიდან შესაძლებელი გახდა როგორც ეროვნული პარტიების, ისე ცალკეული დეპუტატების გარიცხვა. ვიქტორ ორბანის მიხედვით, ევროპის სახალხო პარტიამ უსამართლო, მიუღებელი და არადემოკრატიული წესები მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ „ფიდესი“ ევროპის სახალხო პარტიაში დიდი გავლენით სარგებლობდა, 12 უნგრელი დეპუტატის დანაკლისის გარეშე ის მაინც უდიდეს პარტიად რჩება ევროპარლამენტში, მაგრამ ევროპარტიის ოჯახიდან ეროვნული პარტიის გარიცხვა ნამდვილად არ წარმოადგენს პოზიტიურ ნაბიჯს. აღნიშნული გადაწყვეტილება უფრო დიდ გავლენას მოახდენს ვიქტორ ორბანზე და მის პოლიტიკაზე როგორც ევროპის კავშირის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. „ფიდესის“ ევროპის სახალხო პარტიიდან გასვლით ორბანი ვეღარ მიიღებს მონაწილეობას ევროპარტიის მხრიდან დანიშნულ არაფორმალურ თანამშრომლობის შეხვედრებში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეხვედრები ძირითადად არაფორმალურია, მათ აქვთ პოლიტიკური დატვირთვაც, რადგან ისინი საშუალებას აძლევს ევროპის კავშირის ლიდერებს მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიის წარმომადგენლებთან გაცვალონ შეხედულებები და შექმნან კოალიციები. ამასთანავე, ევროპის სახალხო პარტიიდან „ფიდესის“ გასვლა უნგრეთის მთავრობის პოზიციებსაც შეცვლის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანტიბრიუსელური, პრორუსული და

მიგრაციასთან დაკავშირებული რიტორიკა კიდევ უფრო გაიზრდება. მიუხედავად ამისა, ორბანს კარგად ესმის, რომ თუ ის ძალიან გააბრაზებს ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს, მათ შეუძლიათ ის დასაჯონ კანონის უზენაესობის პირობითობის მექანიზმით, აქიდან, შესაძლოა „ფიდესმა“ შედარებით მოზომილი პოლიტიკითაც იმოქმედოს. ფაქტი ერთია, რომ ორბანის ანტიევროპული და პრორუსული რიტორიკა საფრთხეს შეუქმნის ევროპის სახალხო პარტიის იმიჯს, რადგან „ფიდესი“ მასთან იყო აფილირებული. (KREKO, 2021).

2022 წლის ოქტომბერში გავრცელდა სტატია, რომლის მიხედვითაც ევროპარლამენტის სოციალ-დემოკრატთა ჯგუფმა (S&D) ევროპის სახალხო პარტია (EPP) ექსტრემალური მემარჯვენეების ნორმალიზაციასა და რუსეთთან კავშირების გაღრმავებაში დაადანაშაულა. აღნიშნული ჯგუფი ევროპის სახალხო პარტიასთან აფილირებულ ეროვნულ პარტიებს მოუწოდებდა არ შეერთებოდნენ იმ ულტრამემარჯვენე კოალიციებს, რომლებიც ძირს უთხრიდნენ ევროპის კავშირის ღირებულებებს. სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის (S&D) მიხედვით, პრობლემა ის კი არ იყო, რომ ისინი ულტრაკონსერვატორები ან ევროსკეპტიკოსები იყვნენ, არამედ ის, რომ ულტრამემარჯვენე პოპულიზმი ძირს უთხრიდა ევროპის კავშირის ინსტიტუტებს. ევროპარლამენტის ჯგუფი ყურადღებას ამახვილებდა სილვიო ბერლუსკონიზე, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოიწვია არეულობა იტალიის პოლიტიკაში მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მან „ტკბილი“ წერილები გაუგზავნა თავის მეგობარს, ვლადიმერ პუტინს. S&D ჯგუფმა განაცხადა, რომ ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს ულტრამემარჯვენეებთან არის დამნაშავე ევროპის კავშირის ღირებულებების შელახვაში. საარჩევნო კამპანიის დროს, ევროპის სახალხო პარტიის (EPP) პრეზიდენტმა, მანფრედ ვებერმა იტალიელები მიიწვია პარტია “Forza Italia”-სთვის ხმის მისაცემად, რომლის პრეზიდენტიც სწორედ სილვიო ბერლუსკონი გახლავთ. ზოგიერთმა ევროპარლამენტარმა საკმაოდ მკაცრად შეაფასა ვებერის მხარდაჭერა ბერლუსკონის პარტიისადმი და მას პუტინის სიმპათიების ნეოფაშისტური მთავრობის მხარდაჭერა უწოდა. (VASQUES, 2022).

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ზოგიერთი ოფიციალური პირი შეშფოთებულია მისი პრეზიდენტის, მანფრედ ვებერის ხელმძღვანელობის სტილითა და

მისი ცალმხრივი თანამშრომლობის მცდელობით იტალიის ულტრამემარჯვენე პრემიერ-მინისტრთან, ჯორჯია მელონისთან, რომელიც ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსის[20] პრეზიდენტია. ევროპის სახალხო პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, ევროპარტიაში არსებობს იმედგაცრუება იმასთან დაკავშირებით, რომ ვებერმა ზოგიერთი ნაბიჯი პარტნიორებთან კონსულტაციის გარეშე გადადგა. აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი მაგალითი იყო დისკუსიები იტალიის პრემიერ-მინისტრთან, ჯორჯია მელონისთან. 2023 წლის 5 იანვარს ვებერი მელონის რომში შეხვდა და მასთან ევროპის კავშირის დონეზე თანამშრომლობა განიხილა. ამგვარმა ნაბიჯმა გამოიწვია ძლიერი კონტრრეაქცია, განსაკუთრებით გერმანიის გავლენიანი მემარჯვენეების [21] მხრიდან. ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ზოგიერთი წევრის აზრით, ევროპარტიაში უმრავლესობისთვის მიუღებელია მელონისთან თანამშრომლობის წამოწყება და ასეთი პოლიტიკური ნაბიჯები წინასწარ კოორდინაციას მოითხოვს. (FOX & MICHALOPOULOS, 2023).

როგორც ჩანს, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის ურთიერთობები იდეოლოგიური პროფილის განვითარების კუთხით დამოკიდებულია როგორც ეროვნული პოლიტიკური პარტიების, ისე ევროპარტიების მზაობაზე. დაუშვებელია საკითხის იმგვარად წარმოჩენა, თითქოს მხარეთა შორის დამნაშავენი მხოლოდ ქართული პოლიტიკური პარტიები არიან, რადგან როგორც გამოჩნდა, ევროპარტიებიც დგანან რიგი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე. აქიდან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარების საკითხში მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ გამოწვევები ორივე მხარეს არსებობს და სწორედ ამ გამოწვევათა შესწავლით არის შესაძლებელი სწორი სურათის დანახვა. *[ინტერვიუ ლევან ლორთქიფანიძესთან].*

[20] European Conservatives and Reformists Party (ECR)
[21] Alternative for Germany (AFD)

თავი III - ქართული პოლიტიკური პარტიების გამოწვევები ადგილობრივ დონეზე

ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) შორის იდეოლოგიური პროფილის განვითარების საკითხი დამოკიდებულია ორივე მხარის მზაობაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ქართული პოლიტიკური პარტიები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან. აღნიშნული თავის პირობებში მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) იმ პრობლემებზე, რომლებიც იდეოლოგიური პროფილის განვითარებას უშლიან ხელს. როგორც ოპერაციონალიზაციის დროს აღინიშნა, ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარებულობას/განუვითარებლობას ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, პერსონიფიცირების დონე და იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის საკითხი განსაზღვრავს. საქართველოს პოლიტიკური პარტიები სუსტი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში „ზემოდან-ქვემოთ“ კონცეფციის მიხედვით იმართებიან, რაც განაპირობებს იმას, რომ ისინი ადეკვატურად ვერ წარმოადგენენ ამომრჩევლისა და მოსახლეობის ფართო ინტერესებს. პერსონიფიცირების კუთხით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები ქარიზმატული ლიდერების და არა იდეოლოგიის გარშემო იქმნებოდნენ, რამაც განაპირობა ის, რომ დღემდე ეროვნული პოლიტიკური პარტიები სწორედ მათი დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებენ იდეოლოგიური კომპასის მიხედვით მოქმედების სანაცვლოდ. რაც შეეხება იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის საკითხს, აღნიშნული პრობლემის პირობებში ქართული პოლიტიკური პარტიები იდეოლოგიური კუთხით ერთმანეთის მსგავსნი არიან, რაც განაპირობებს იმას, რომ საზოგადოებას მათი ღირებულებების ერთმანეთისგან გარჩევა უჭირს. ქართული პოლიტიკური პარტიების შიგნით იდეოლოგიური ვაკუუმის არსებობის პირობებში არაერთი ექსპერტი თვლის, რომ უახლოეს მომავალში ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს დახვეწილი იდეოლოგიური პროფილი ვერ ექნებათ, რადგან საქართველოს პოლიტიკური სისტემის მშენებლობის კუთხით მხოლოდ მცირედი გამოცდილება აქვს.

3.1. ინსტიტუციონალიზაციის საკითხი

სემუელ ჰანტინგტონის მიხედვით, პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაცია განისაზღვრება, როგორც პროცესი, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციები, მათ შორის პოლიტიკური პარტიები ღირებულებასა და სტაბილურობას იძენენ. აქიდან, პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს მძიმე, საბჭოთა მემკვიდრეობამ ქვეყნის შიგნით შექმნა გარემო, სადაც პოლიტიკური პარტიები არ განიხილებიან, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების გამტარებელი ერთეულები. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის გადმოსახედიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რიგ შემთხვევებში პოლიტიკოსებს არ სურთ იყვნენ მხოლოდ პოლიტიკური პარტიის წევრნი, არამედ მხოლოდ გამარჯვებული პარტიის წარმომადგენელნი. აღნიშნული პრობლემა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში პარტიული კულტურის დონე საკმაოდ დაბალია. საქართველოში წარმოდგენილნი არიან სუსტი პარტიული კადრები, რის გამოც პოლიტიკურ დღის წესრიგში დომინირებს მხოლოდ რამდენიმე პარტია და ზოგადად, პოლიტიკაც უფრო ერთპიროვნულ შოუს წარმოადგენს. ცოტა ადამიანი უერთდება ქართულ პოლიტიკურ პარტიებს იდეოლოგიური მიზეზების გამო, რადგან გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ქარიზმატული ლიდერის ხასიათსა და მისდამი სიმპათიას ენიჭება. საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდა თაობის ნაკლებობა შეინიშნება, ხოლო ოპორტუნიზმის ხარისხი საკმაოდ მაღალია. ქარიზმატული ლიდერობის, სტაბილური დაფინანსებისა და სუსტი იდეოლოგიის საკითხები საქართველოში ხელს უშლის პარტიების ინსტიტუციონალიზაციის მაღალ დონეს. (Mierzejewski, 2014, P. 35).

ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთ განზომილებას პარტიული კონკურენციის სტაბილურობა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენცია საკმაოდ დაბალია. 1991 წლიდან დღემდე საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის დონე ხშირად იცვლებოდა. მაგალითად, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ხელისუფლების ძალაუფლებისგან ჩამოშორების შემდეგ ის საერთოდ გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან. იგივე ბედი გაიზიარა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ ვარდების რევოლუციის შემდეგ. რაც

შეეხება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მისი მხარდაჭერა საკმაოდ დაეცა, 2016 წელს კი კატასტროფული რეგრესი განიცადა და მხოლოდ 27%-იანი მხარდაჭერა დაიმსახურა. მორიგი განზომილება, რომლის დახმარებითაც ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს ზომავენ პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის კავშირია. საქართველოს პოლიტიკური პარტიები მხოლოდ ნაწილობრივ გამოხატავენ საზოგადოების ინტერესებს, თავად ამომრჩევლების დიდი ნაწილი კი რთულად ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან. პარტიის მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა შორის არსებობს ნიჰილისტურად განწყობილი მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილი, რომელიც არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ უცხადებს მხარდაჭერას. აქიდან, საქართველოში პოლიტიკურ პარტიებთან იდენტიფიცირებული ამომრჩევლების რიცხვი დიდი არ არის. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია. კავკასიის ბარომეტრის მონაცემების მიხედვით (2015) საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს გამოკითხული მოსახლეობიდან მხოლოდ 2% უცხადებდა ნდობას, ხოლო 41%-მა განაცხადა, რომ საერთოდ/ძირითადად არ ენდობოდა საქართველოში ფუნქციონირებად არცერთ პარტიას. პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის დამატებითი განზომილება შეიძლება იყოს პარტიული კადრების ქარიზმატული ლიდერებისგან დამოუკიდებლობის მაჩვენებელი. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოს პოლიტიკური პარტიები ქარიზმატული ლიდერების ინტერესებს გამოხატავენ, ხოლო იდეოლოგიური კომპასისა და ღირებულებების მნიშვნელობა უკანა პლანზეა გადაწეული. მაგალითად, წარმოუდგენელია „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ზვიად გამსახურდიას გარეშე განხილვა. იგივე შეიძლება ითქვას ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (მიხეილ სააკაშვილი) და ქართული ოცნების (ბიძინა ივანიშვილი) შემთხვევაზეც. (ნარსია, 2017).

საქართველოს პოლიტიკური პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2001 წლის ოქტომბერში დაფუძნდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ. 2004-2005 წლებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შიგნით განხორციელებულმა რეფორმამ შექმნა მყარი ორგანიზაციული სტრუქტურა,

მიუხედავად ამისა, პარტიაში მიხეილ სააკაშვილის, როგორც ქარიზმატული ლიდერის სახე დღემდე დომინირებს. ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონის პირობებში, მიხეილ სააკაშვილს მიენიჭა უფლება, პარტია ერთპიროვნული ინსტინქტებით ემართა და ემოქმედა, როგორც მის მთავარ წარმომადგენელს. როგორც ჩანს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიულმა სტრუქტურამ და ზეაღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილს მმართველობის დაუბრკოლებლად შესაძლებლობა მისცა, აქიდან, დღემდე არ მომხდარა ძალაუფლების რეალური ტრანსფერი და პარტიას ჯერ კიდევ სჭირდება სააკაშვილის პერსონისგან განცალკევებული იდენტობის განვითარება. გარდა ამისა, ეროვნული პარტიის წინაშე სტაბილური დაფინანსების მოპოვების პრობლემაც დგას. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში საკმაოდ ძნელი იყო პარტიის იდეოლოგიური ღირებულებებისა და სააკაშვილის პირადი შეხედულებების ერთმანეთისგან გარჩევა. რაც შეეხება ქართულ ოცნებას, მისი აღმავლობა ჯერ კიდევ კოალიციის პირობებში დაიწყო, როდესაც 2012 წლის ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ უმრავლესობა მოიპოვა და თავისი მთავარი კონკურენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დაამარცხა. მანამდე, 2012 წლის აპრილში ქართველმა ბიზნესმენმა, ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ოფიციალურად დააფუძნა. რაც შეეხება ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს, ქართული ოცნება ჯერ კიდევ დასაწყისის სტადიაშია, მითუმეტეს, რომ თავდაპირველად პარტია კოალიციას წარმოადგენდა (რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) და იდეოლოგიური კუთხით საკმაოდ დიდი გაურკვევლობა არსებობდა. სისტემურობის საფუძველზე, პარტიასა და მის ლიდერს შორის (ბიძინა ივანიშვილი) ურთიერთობები „ზემოდან-ქვემოთ“ მოდელის მიხედვით განხორციელდა, დღემდე ოპოზიციური პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ ოცნებას ივანიშვილის მხრიდან სრულ კონტროლში და სახელმწიფოს ოლიგარქიზაციაში ადანაშაულებს. გარდა ამისა, 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე (2023) საქართველოში პრემიერ-მინისტრის პოსტი 6-ჯერ შეიცვალა, მათგან ერთი და იგივე თანამდებობა დროის სხვადასხვა ინტერვალში ირაკლი ღარიბაშვილს ეკავა, რაც ოპოზიციური პარტიების

მხრიდან კიდევ ერთხელ ბადებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ ქართული ოცნება ბიძინა ივანიშვილის დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებს. როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ისე ქართული ოცნების შემთხვევაში პარტიებს გაუჭირდებათ თავის დაღწევა თავიანთი დამფუძნებლების ჩრდილისგან. როგორც ჩანს, ქართული ოცნების შიგნით ჯერ კიდევ არსებობს კლიენტისტური პრაქტიკა და პარტიაში დაწინაურების საკითხი ერთგულების კონცეფციას უკავშირდება. ბიძინა ივანიშვილის ფული, ისევე როგორც გავლენა პირდაპირი თუ ირიბი ფორმით საფრთხეს უქმნის ქართული ოცნების ინსტიტუციონალიზაციის დონეს, რადგან თავად სახელმწიფოში პარტიული კულტურის ხარისხი, მათ შორის შიდაპარტიული დემოკრატია საკმაოდ განუვითარებელია. ქართველ პოლიტიკოსებთან, ჟურნალისტებთან და მეცნიერებთან სხვადასხვა ინტერვიუების მიხედვით, პარტიული წევრების დიდი ნაწილი ქართულ ოცნებას რაიმე სახის პირადი სარგებლის მიღების იმედით შეუერთდა. ქართული ოცნება მკაფიო იდეოლოგიურ საფუძველს არის მოკლებული და ის ხელისუფლებაში დიდწილად, ივანიშვილის ქარიზმის გამოყენებითა და რიტორიკით მოვიდა, რომელიც მიზნად ისახავდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის დამარცხებას. ქართული ოცნება პოლიტიკურ ასპარეზზე სწორედ მაშინ გამოვიდა, როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოპულარობამ მოიკლო, მაგალითად, გლდანის ციხის სკანდალმა სხვა მიზეზებთან ერთად ძალთა ბალანსი ქართული ოცნების სასარგებლოდ შემოაბრუნა. ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა საქართველოში ოპოზიციური პარტიების გაერთიანებისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მოპოვების პოტენციალი და სწორედ ასეთი ფიგურა აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილი. კოალიცია ქართულ ოცნებაში გაწევრიანება პოლიტიკური პარტიების მხრიდან გარკვეული იდეოლოგიური კომპრომისების მიღწევას ნიშნავდა, შესაბამისად, მათი მხრიდან პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე იდეოლოგიური სიახლოვის საკითხი. აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიებისთვის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) იდეოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ქართული ოცნების ინსტიტუციონალიზაციის

მაღალი ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია პარტიის მხრიდან მისი დამფუძნებლის ჩრდილისგან განთავისუფლებაზე. (Mierzejewski, 2014, PP. 94-97).

საქართველოში რეგისტრირებულია 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტია, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმე არის აქტიურად ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც სუსტი ინსტიტუციონალიზაციის გარდა თავად ეროვნულ კანონმდებლობაზეც არის დამოკიდებული. საქართველოში პოლიტიკური კულტურის დაბალმა მაჩვენებელმა ვერ შეძლო თავად პოლიტიკური სისტემის შექმნა, აქიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა იყოს უფრო მეტად მკაცრი. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის შემთხვევაში საზოგადოება არათუ იცნობს მის იდეოლოგიას, არამედ მოსახლეობის ნაწილისთვის საერთოდ გაუგებარია მისი არსებობის შესახებ. შესაბამისად, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის მსგავსად, არაერთი პარტია არსებობას აგრძელებს მხოლოდ ფურცელზე და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფაქტობრივად, ჩართული არ არის. შედარებით მკაცრი ეროვნული კანონმდებლობის პირობებში პასიური პოლიტიკური პარტიები არსებობას შეწყვეტდნენ და პოლიტიკურ დღის წესრიგში მხოლოდ აქტიური პოლიტიკური პარტიები მიიღებდნენ მონაწილეობას. თვითგადარჩენის ინსტინქტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარტიათა ინსტიტუციონალიზაციის განვითარებაში, რასაც ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე, სამწუხაროდ რომ ვერ ვიტყვით. დამატებით, მკაცრი ეროვნული კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებს საშუალებას მისცემდა ერთმანეთთან გაერთიანებულიყვნენ და შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხი მოეწესრიგებინათ. ძლიერი ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად არსებობის შენარჩუნება, მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა სწრაფად, ქაოსურად იქმნება და იშლება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული პოლიტიკური პარტიების ბედი დამოკიდებულია ძალაუფლების გადანაცვლებაზე და არა მყარი ინსტიტუციონალიზაციის დონეზე. პარტია, რომელიც დროში ხანგრძლივად არსებობს და ლიდერის ცვლილების შემდეგაც აქტიურად აგრძელებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას მყარი ინსტიტუციონალიზაციის ხარისხით გამოირჩევა. საქართველოში ფაქტობრივად წარმოუდგენელია ქარიზმატული ლიდერის ცვლილების

შემდეგ პარტიის ეფექტური ფუნქციონირების გაგრძელება, რაც დაბალ პარტიულ კულტურაზე მიუთითებს. რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდების ნაკლებობას, მთავარ გამომწვევ ფაქტორს, მაინც შიდაპარტიული დემოკრატია წარმოადგენს. შიდაპარტიული დემოკრატია უზრუნველყოფს პარტიის შიგნით საკუთარი პოლიტიკური უნარების განვითარებას, პარტიული ნიშნით დაწინაურებას, საარჩევნო სიაში შეყვანას და სხვა. სამწუხაროდ, საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატია დიდი გამოწვევების წინაშე დგას, რაც პირდაპირ აისახება პარტიებში ახალგაზრდების გაწევრიანების ხარისხზეც. პარტია ახალგაზრდებით ივსება მაშინ, როდესაც ახალგაზრდას უყალიბდება განცდა, რომ თავდაუზოგავი შრომისა და ბრძოლის შემთხვევაში პარტიული კუთხით დაწინაურდება, სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური პარტიები მსგავსი აღქმის ჩამოყალიბებას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, შესაბამისად, ახალგაზრდების უმრავლესობა განრიდებულია პარტიული პოლიტიკისგან. *[ინტერვიუ ლევან ლორთქიფანიძესთან].*

ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკაში მაინც განაპირობებს პროტესტი არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ და სურვილი, რომ რაიმე შეიცვალოს. დამატებით, პარტიაში გაწევრიანების სურვილი დამოკიდებულია გავლენის საკითხზეც. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას შეუერთდეს ხშირად დამოკიდებულია იმაზე, ჰყავს თუ არა ახალგაზრდას მეგობრები ამა თუ იმ პარტიაში. ურთიერთობათა ქსელები, მეგობრობა და გავლენა განსაზღვრავს ახალგაზრდის არჩევანსა და პარტიისადმი ერთგულების საკითხს. მიუხედავად ამისა, ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტები, რომლებსაც საქართველოს პოლიტიკური პარტიები მიმართავენ ახალგაზრდა წევრების მოსაზიდად არის პირდაპირი ფინანსური სარგებელი (ხელფასი ან ერთჯერადი თანხა არჩევნების წინ) და კარიერული შესაძლებლობები. მაინც, ხშირად ფინანსური შეთავაზებები ახალგაზრდა აქტივისტების ნაწილისთვის შეურაცხყოფად აღიქმება, რადგან მათთვის ღირებულებები გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს. ერთ-ერთი გამოკითხვის თანახმად, იდეები, ღირებულებები და იდეოლოგია ლიდერობდა იმ ფაქტორების სიაში, რომლის დახმარებითაც ახალგაზრდები თავიანთი თავის იდენტიფიცირებას ახდენდნენ ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან. (KAKHISHVILI, 2017, PP. 11-13).

2014 წელს გამოქვეყნებული ერთ-ერთი ნაშრომის მიხედვით, საქართველოს პარტიული სისტემა საუკეთესო შემთხვევაში შეიძლებოდა ჩათვლილიყო ზომიერად ინსტიტუციონალიზებულად, რადგან ქვეყანა ამ კუთხით მუშაობას აგრძელებდა. დამატებით, საქართველოში არსებული იმდროინდელი პარტიული სისტემა უფრო მეტად სტაბილურად[22] არის მოხსენიებული, ვიდრე უკრაინისა და ის ამჟღავნებდა შემდგომი განვითარების პოტენციალს. სუსტი პარტიული სისტემა აფერხებს ქვეყნის უნარს დემოკრატიული კონსოლიდაციის განვითარების საკითხში, მაგრამ საქართველოს პარტიული სისტემის დადებითი მხარე გახლავთ ის, რომ ეროვნული პარტიები ნელ-ნელა ევროპარტიებთან თანამშრომლობის გამოცდილებას იღებენ, რაც დემოკრატიული ტენდენციის კუთხით სასიხარულო ამბავს წარმოადგენს. (Mierzejewski, 2014, P. 10).

საქართველოს პარტიული სისტემის გათვალისწინებით, მისთვის დამახასიათებელია დომინანტი პარტიის კონცეფცია (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა). ამასთანავე, სუსტი ინსტიტუციონალიზაციის დამსახურებით, ეროვნული პოლიტიკური პარტიებისთვის დამახასიათებელია გაურკვეველი წინასაარჩევნო პროგრამები, რადგან საზოგადოების ნაწილს უჭირს პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამების ამოცნობა და მათი ერთმანეთისგან გარჩევა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში არსებული პარტიული სისტემა უფრო მეტად ორიენტირებულია ელიტებზე და ქარიზმატულ ლიდერებზე, ვიდრე იდეოლოგიაზე და ღირებულებებზე. პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიები გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ლიდერს და პარტიული დაწინაურებაც ხშირად მისი დღის წესრიგის მიხედვით მიმდინარეობს. აქიდან, პარტიული გადაწყვეტილებების მიღებაც იერარქიული საფეხურის მიხედვით ხდება და სრულიად უგულებელყოფილია თანასწორობის პრინციპი. (MELIKIDZE, 2016, P. 163).

[22] MIERZEJEWSKI (2014), PP. 136. FIGURE 2. PARTY SYSTEMS COMPARED

3.2. პერსონიფიცირების პრობლემა

პოლიტიკური პერსონიფიცირების საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქარიზმატული ლიდერის თვისებები, რომელზეც თავის დროზე დიდ ყურადღებას ამახვილებდა ცნობილი გერმანელი სოციოლოგი, მაქს ვებერი. ქარიზმატული ლიდერის თვისებები დაკავშირებულია ზებუნებრივ, განსაკუთრებულ, მაგიურ ძალებთან, რომლებიც ხშირად მიუწვდომელია ჩვეულებრივი ადამიანისთვის. სწორედ ამიტომ, ინდივიდები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქარიზმას, რადგან ის წარმოადგენს ერთგვარ საჩუქარს, რომელიც ყველასთვის არ არის დამახასიათებელი. ქარიზმატული ლიდერის თვისებები საზოგადოებაში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობს, აქიდან, ხშირად მოსახლეობის ნაწილი მხოლოდ მასზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ფონს მიღმა ტოვებს იდეოლოგიისა და ღირებულებების საკითხს. მაქს ვებერმა თავის ნაშრომში („პოლიტიკა, როგორ მოწოდება და ხელობა“) ის თვისებები ჩამოთვალა, რომელიც პოლიტიკოსისთვის, მათ შორის ქარიზმატული ლიდერისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი, ესენია: ვნება, პასუხისმგებლობა და გონების თვალი.

ქარიზმატული ლიდერობა წარმოადგენს ლიდერობის ტიპს, რომელიც თავის თავში აერთიანებს ხიბლს, ინტერპერსონალურ კავშირებს და დამაჯერებლობას. ქარიზმატულ ლიდერებს შეუძლიათ თავიანთი გუნდების, მათ შორის პოლიტიკური პარტიებისა და ამომრჩევლის მოტივაცია და მათი შთაგონება დიდი მიზნის მიღწევის საქმეში. ისინი ამას აკეთებენ ემოციებზე ზემოქმედებით და მიზანდასახულობის დაუშრეტელი გრძნობით. ადამიანთა ნაწილს სურს, რომ ქარიზმატული ლიდერის დღის წესრიგს გაჰყვეს, რადგან მათი შეხედულებით ის სხვებისგან გამორჩეულია.

პოლიტიკის მეცნიერებაში არსებობს ე.წ. თვისებების თეორია, რომლისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ლიდერის თვისებებს ენიჭება. მაგალითად, ბოგარდუსის[23] მიხედვით, პოლიტიკური ლიდერისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს ინიციატივა, ენერგია და ინტელექტი. გარდა ამისა, არსებობს სიტუაციური თეორია, რომელიც თვლის, რომ ლიდერის გაჩენა ადგილს, გარემოებასა და გარკვეულ ფაქტორებს

[23] Emory Stephen Bogardus

უკავშირდება, რადგან ქარიზმატული ლიდერი ყოველთვის გრძნობს სიტუაციას და მან კარგად იცის როგორ გამოიყენოს ის სათავისოდ. (Northouse, 2010, P. 21).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ პერსონიფიცირების პრობლემა მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური პარტიების გამოწვევას არ წარმოადგენს, აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურია დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური პარტიებისთვისაც. მიუხედავად ამისა, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს ჩამოყალიბების უზარმაზარი, ისტორიული გამოცდილება აქვთ, ხოლო საქართველოს პოლიტიკური პარტიები (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) მხოლოდ XXI საუკუნის მოვლენას წარმოადგენენ. შესაბამისად, დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების პარტიებს პერსონიფიცირების წინააღმდეგ ღირებულებების დახმარებით ბრძოლის უფრო დიდი გამოცდილება აქვთ, ვიდრე საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს. დამატებით, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტია ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დაიშალა („მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“). საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ქარიზმატული ლიდერის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ მრგვალმა მაგიდამ ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიების ნაწილი უფრო მეტად არის პერსონიფიცირებული, ვიდრე იდეოლოგიზირებული. საქართველოს პოლიტიკური პარტიების მორიგ პრობლემას წარმოადგენს სახელწოდებაც, რიგი პარტიების სახელწოდება ამომრჩევლისთვის გაურკვევლობას ტოვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი იდეოლოგიური კომპასის ერთგულია ის. *[ინტერვიუ ლევან ლორთქიფანიძესთან].*

პოლიტიკური პარტია, ყველაზე მარტივი განმარტებით წარმოადგენს იდეოლოგიურ-ღირებულებით, სტრუქტურულ-ორგანიზაციულ და ხელმძღვანელობით აღჭურვილ ერთეულს. იდეოლოგიური და ღირებულებითი კუთხით, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს უჭირთ გარკვეული პოლიტიკური კომპასისადმი ერთგულების გამოხატვა და

მითუმეტეს, მის მიხედვით მანევრირება. სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხი დაკავშირებულია ფინანსურ და ადამიანურ რესურსთან, რადგან საზოგადოებას უნდა ჰქონდეს თავისუფალი დრო და სურვილი, რომ პარტიული მოღვაწეობის გამო ენერგია და ფული დახარჯოს, რაც საქართველოში მორიგ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულ პირობებში, როდესაც იდეოლოგიურ-ღირებულებითი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული კომპონენტები ფაქტობრივად მორღვეულია, რჩება მხოლოდ ხელმძღვანელობის საკითხი, რომელიც ქარიზმატული ლიდერის თვისებებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში აშკარად გამოკვეთილია ლიდერის როლი და მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რადგან ქარიზმას ზოგჯერ შეუძლია გადაფაროს პარტიის ფინანსური და ღირებულებითი პრობლემები, სწორედ აქ იჩენს თავს პერსონიფიცირების საკითხი. *[ინტერვიუ ლევან ლორთქიფანიძესთან].*

საქართველოს პარტიული ისტორიის გათვალისწინებით, რომელიც სუსტი პარტიული სისტემით ხასიათდება, საზოგადოება არჩევანს ლიდერზე ფოკუსირებით აკეთებს, ხოლო პოლიტიკური პარტიებიც ამომრჩევლის დაკვეთას ითვალისწინებენ და ღირებულებითი კომპონენტის უგულებელყოფით ქარიზმატული ლიდერის დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებენ. შესაბამისად, ხშირად ამომრჩეველი პარტიას მისი ლიდერის სახელით უფრო ცნობს, ვიდრე იდეოლოგიური კომპასით. პერსონიფიცირების პრობლემა სწორედ ის გახლავთ, რომ პოლიტიკური პარტიის იმიჯი მთლიანად ქარიზმატული ლიდერის თვისებებზე არის მიბმული, აქიდან, რაიმე მიზეზით ქარიზმატული ლიდერის მხრიდან პარტიის დატოვება ან ხელისუფლების ცვლილება ზოგჯერ დამღუპველად მოქმედებს თავად პარტიის ბედზე. ღირებულებითი კომპონენტის უგულებელყოფით წინა პლანზე მხოლოდ ლიდერი და მისი დღის წესრიგი ჩანს, რაც ტოვებს აღქმას, რომ პარტია ღირებულებების მიხედვით კი არა, არამედ კონკრეტული ლიდერის სურვილების მიხედვით მოქმედებს. პერსონიფიცირების საშუალებით, პარტიის პოლიტიკური ლიდერები მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშეები და არა, როგორც პარტიის წარმომადგენლები. შესაბამისად, ლიდერის გაქრობის შემდეგ დიდია შანსი იმისა, რომ პოლიტიკური პარტიაც გაქრება, რაც საქართველოს შემთხვევაში ნამდვილად მართლდება.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ოთხივე მმართველი პოლიტიკური პარტია ლიდერის ნიშან-თვისებებთან იყო დაკავშირებული. სწორედ ლიდერის გარშემო შეიქმნა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება. საქართველოს პოლიტიკური პარტიების პერსონიფიცირების პრობლემა მხოლოდ მათ გამოწვევას არ წარმოადგენს, რადგან ამომრჩევლის ნაწილი პოლიტიკური პარტიების პროგრამებს სათანადოდ არ ეცნობა და მისთვის ხშირად უფრო მნიშვნელოვანია ქარიზმატული ლიდერის გზავნილები. შესაბამისად, საქართველოში საარჩევნო კამპანიის პირობებში პარტიის ქარიზმატული ლიდერის როლი კიდევ უფრო იზრდება. (მელიქიძე, 2017, გვ. 100-107).

მოსახლეობის დემოკრატიული მოუმწიფებლობის ერთ-ერთი მაჩვენებელი, ლინცისა და სტეფანის[24] მიხედვით არის საკითხებზე დაფუძნებული პარტიული სისტემის არარსებობა. აღნიშნული პრობლემა ხშირად აიძულებს საქართველოს მოსახლეობის ნაწილს არჩევანი პიროვნებისა და ქარიზმის საფუძველზე გააკეთოს, ვიდრე პოლიტიკური ღირებულებების სასარგებლოდ. ჯერ კიდევ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საზოგადოების ნაწილში არსებობდა მოლოდინი, რომ მიხეილ სააკაშვილის ქარიზმატული თვისებების დამსახურებით ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მოქალაქეებს შორის განხეთქილება უფრო ფართო გახდებოდა. თავის დროზე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში რამდენიმე მიზეზის გამო მოვიდა, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მისი ქარიზმატული ნიშან-თვისებები იყო. მიუხედავად ამისა, ქარიზმატულ ლიდერობასთან დაკავშირებით ცნობილი გერმანელი სოციოლოგი, მაქს ვებერი წერდა, რომ ქარიზმა პასუხისმგებლობის გარეშე დამღუპველი იყო. აქიდან, პერსონიფიცირების პრობლემაც ზუსტად ის არის, რომ იმ პარტიის ბედი, რომელიც ქარიზმატული ლიდერის ნიშან-თვისებებზე არის აგებული, საკმაოდ ბუნდოვანია. დროთა განმავლობაში ქარიზმატული ლიდერი შესაძლოა შეიცვალოს, მაგრამ პარტიის იდეოლოგიური ღირებულებები დარჩეს, სწორედ ამ კუთხით აქვთ დიდი სამუშაო გასაწევი ქართულ პოლიტიკურ პარტიებს. (Tatum, 2009, P. 5).

[24] Linz & Stepan

საქართველოს მესამე პრეზიდენტისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ მოსახლეობის ნაწილის სიმპათიები გამოიწვია მისმა პოლიტიკურმა იმიჯმა, როგორც ენერგიულმა, ქარიზმატულმა, შრომისმოყვარე, კორუფციასთან მებრძოლმა, განათლებულმა პიროვნებამ, რომელიც დასავლური ღირებულებების ერთგული იყო. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევრის შეხედულებით, დასავლურმა განათლებამ, მის ცნობიერებაში ასახულმა დასავლურმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ცხოვრებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პოპულისტი პოლიტიკოსისა და კარგი იმიჯმეიკერის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას. თავისთავად, მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი ნიშან-თვისებები ქართულ პოლიტიკაში გადმოიტანა, რამაც მისდამი სიმპათიები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მასთან პირდაპირი ასოცირება გამოიწვია. მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურმა აქტივობამ და ქარიზმატულმა ნიშან-თვისებებმა განსაზღვრა მისი პოპულარობა, განსაკუთრებით, ვარდების რევოლუციის პერიოდში, მაგრამ ქარიზმატული ლიდერებისთვის დამახასიათებელია აღმავლობისა და დაცემის პერიოდები, რაც საქართველოს მესამე პრეზიდენტისთვის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის 2012 წელს დადგა, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა და პარლამენტში 85 მანდატი მოიპოვა. სტივენ ჯონსისა და ლინკოლნ მიტჩელის მიხედვით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე „აგრესიული პოლიტიკური კულტურა შექმნა“. მეტიც, სტივენ ჯონსმა სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკურ ორიენტაციას, რიტორიკასა და ქცევას „პოლიტიკური შიზოფრენია“ უწოდა. სწორედ ამ მოვლენების ფონზე გამოჩნდა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი, რომლის ნიშან-თვისებებმაც საზოგადოების ნაწილში „იმედის ნაპერწკალი“ გააჩინა. მისი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლა დაკავშირებული იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან, ქარხნების მშენებლობასთან, ეკონომიკურ განვითარებასთან და მატერიალურ კეთილდღეობასთან. მოსახლეობას სჯეროდა, რომ ფინანსური კაპიტალის უმეტეს ნაწილს ბიძინა ივანიშვილი ინვესტიციების სახით სწორედ საქართველოს ეკონომიკაში ჩადებდა. სხვა პოლიტიკური ლიდერებისა და ჯგუფებისგან განსხვავებით, ბიძინა ივანიშვილისადმი მოსახლეობის ნაწილის სიმპათიები მაინც გამოწვეული იყო მისი მიღწევებით ბიზნესში, ისევე როგორც

ქველმოქმედებაში და არა პოლიტიკაში. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა კიდეც, რომ მწირი პოლიტიკური გამოცდილების მიუხედავად, ის, როგორც კარგი მენეჯერი, სანდო გუნდს შექმნიდა. აქიდან, ბიზნესმენის შესახებ მითოლოგიზირებულმა წარმოდგენებმა დიდი წვლილი შეიტანა თავად ივანიშვილის ქარიზმის ჩამოყალიბებაში, ხოლო ქართული ოცნების მასთან პერსონიფიცირების პრობლემა კიდევ უფრო გამძაფრდა. სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ და გიორგი მარგველაშვილი თავის დროზე, ბიძინა ივანიშვილის ფულსა და პრესტიჟს ეყრდნობოდა. საბოლოო ჯამში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში არსებული ყველა პოსტსაბჭოთა პოლიტიკური ლიდერი მიჰყვებოდა სოციალური და პოლიტიკური კაპიტალის დაგროვების სხვადასხვა გზას, რაც პოლიტიკაში მათი ინდივიდუალური ქარიზმის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველაზე მნიშვნელოვან დეტალს, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკური ლიდერების ქარიზმის ჩამოყალიბების პროცესზე. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდა, ყველა სხვა ლიდერის ქარიზმა და მასთან დაკავშირებული კომპონენტები ჯერ ქვეყნის გარეთ ჩამოყალიბდა, შემდეგ კი საქართველოს შიგნით იქნა იმპორტირებული. რაც შეეხება პერსონიფიცირების პრობლემას, ის საქართველოს პოლიტიკური სისტემის მოუმწიფებლობისა და მოსახლეობის დაბალი პოლიტიკური კულტურის გამო წარმოიქმნა, რადგან დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური პარტიები ქარიზმატული ლიდერების პიროვნული ნიშან-თვისებების გარდა იდეოლოგიურ ღირებულებებზეც არიან დაფუძნებულნი. (NIKOLEISHVILI & KIKNADZE, 2020, P. 1).

3.3. იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის საკითხი

იდეოლოგია, თავისი არსით გარკვეული რწმენებისა და ღირებულებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელსაც ინდივიდები ან ადამიანთა ჯგუფები აღიარებენ. პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში იდეოლოგიის მნიშვნელობა საკმაოდ დიდია, რადგან მისი დახმარებით პოლიტიკურ ერთეულებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ღირებულებები და მას პრაქტიკაში განხორციელების კუთხით თანმიმდევრულობა შესძინონ. ღირებულებებისა და თანმიმდევრულობის გარეშე პოლიტიკური პარტიები ემსგავსებიან გაურკვეველ სუბიექტებს, რომლებმაც კარგად არ იციან, რისთვის ან ვისთვის იბრძვიან. პოლიტიკური ღირებულებების უგულებელყოფა პოლიტიკური სისტემის მოუმწიფებლობის ნიშანია. ასეთ სისტემებში, პოლიტიკური პარტიები იდეოლოგიას საფუძველს აცლიან და სხვა ფაქტორების მიხედვით იწყებენ მანევრირებას, მაგალითად, მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ქარიზმატული ლიდერის ფენომენი ხდება. იდეოლოგიის დახმარებით პოლიტიკურ პარტიებს უჩნდებათ პრეტენზიები სოციალურ ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით, ხოლო ამომრჩეველს განცდა, თუ მან რა ღირებულებების გამო უნდა დაუჭიროს მხარი პოლიტიკურ პარტიას. დეიდეოლოგიზირებული პოლიტიკური პარტია ღირებულებებისგან დაცლილ ერთეულს წარმოადგენს, მიუხედავად ამისა, იდეოლოგია ყოველთვის არ ასრულებს დადებით როლს, მაგალითად, ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების შემთხვევაში იდეოლოგია დამახინჯებული ფორმით ფუნქციონირებს და ზოგჯერ მისი სახელით ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფაც არის გამართლებული. აქიდან, იდეოლოგიური თანმიმდევრულობისა და გამართულობის საკითხი დიდწილად პოლიტიკური რეჟიმის ხასიათზე არის დამოკიდებული. შესაბამისად, იდეოლოგიის მთავარი მიზანი მაინც, საზოგადოებისთვის ღირებულებებისა და ცვლილებების შეთავაზებაა, ამასთანავე, მას ახსნა-განმარტებითი ფუნქციაც აქვს, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება სოციალური ფაქტებისა და პრობლემების განმაპირობებელი მიზეზების ახსნა. იდეოლოგია გარკვეული კუთხით აფასებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა საკითხებს, აქიდან, მის გარეშე საზოგადოებისთვის გაურკვეველი რჩება ის, თუ რატომ ფასდება ესა თუ ის საკითხი ასე

და არა სხვაგვარად. როდესაც რწმენას იდეოლოგიურ პოზიციას ვუწოდებთ, სულ მცირე, ვაღიარებთ, რომ იგი მისაღებია გარკვეული სოციალური ჯგუფისთვის. *[ინტერვიუ ლევან ლორთქიფანიძესთან].*

იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის კუთხით საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში უამრავი პრობლემა არსებობს, რაც იდეოლოგიური ვაკუუმის გავლენას კიდევ უფრო სერიოზულს ხდის. მაგალითად, ქართული ოცნების ამომრჩევლის ნაწილს სოციალურ-კულტურული კუთხით შედარებით, ცენტრისტული ღირებულებები აქვს, რომელიც ზოგჯერ, ლიბერალური შეხედულებებისკენაც იხრება, მიუხედავად ამისა, თავად ქართული ოცნება მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგიის წარმომადგენელია. დამატებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველთა ნაწილი მაინც, ლიბერალური ღირებულებების ერთგულია, მაგრამ ეკონომიკური საკითხების კუთხით მათ ზოგჯერ, მემარცხენე შეხედულებები აქვთ. თავად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიის მატარებელია. გამოდის, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიების მხრიდან იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის კუთხით პრობლემები არამარტო პარტიების, არამედ ამომრჩევლის მხრიდანაც არსებობს, რადგან დეიდეოლოგიზირების დამსახურებით ორივე მხარისთვის კარგად არ არის გასაგები რა პრინციპებისა და ღირებულებების მიხედვით იბრძვიან ისინი. იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის გარდა, ქართული პოლიტიკური პარტიების ნაწილი იდეოლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთის მსგავსნი არიან, აქიდან, ამომრჩეველს ამგვარი პოლიტიკური პარტიების ერთმანეთისგან გარჩევა ნამდვილად უჭირს. მაგალითად, ლელო, სტრატეგია აღმაშენებელი, ევროპული საქართველო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და სხვა. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ნაწილში იდეოლოგიური იდენტურობის მაღალი მაჩვენებელი მიგვითითებს, რომ იდეოლოგიას რომ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდეს, უამრავის ნაცვლად, მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკური პარტია უნდა არსებობდეს. (საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, 2021, გვ. 34).

საქართველოს პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში მათი მხრიდან იდეოლოგიური პლატფორმის გამოკვეთის საკითხი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. სამწუხაროდ,

პოლიტიკური პარტიები საზოგადოებას ვერ სთავაზობენ იმ გამყოფი ხაზების ჩამოყალიბებას, რომლის დამსახურებითაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. პოლიტიკური კულტურისა და სისტემის გამართულობის პირობებში პარტიებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ გაწერილი თავიანთი იდეოლოგიები, ვის ინტერესებს გამოხატავენ, რისთვის იბრძვიან და ასე შემდეგ. საქართველოს შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიები მაინც, ერიდებიან კონკრეტული ჯგუფის სახელით საუბარს და სანაცვლოდ, ქართველი ხალხის სახელით საუბრობენ, რაც ტოვებს განცდას, რომ მათი თანმიმდევრულობა მხოლოდ პოპულიზმზე არის აგებული. ამ პირობებში, როდესაც პოლიტიკური პარტიები კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს ვერ გამოხატავენ, შესაბამისად, მოსახლეობის მხრიდან მათდამი ნდობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ზოგჯერ სწორედ კონკრეტული იდეოლოგია ასახავს გარკვეული სოციალური ჯგუფის ინტერესებს, მათი არარსებობის პირობებში კი მოსახლეობის ნაწილში ჩნდება განცდა, რომ პოლიტიკური არჩევნის გაკეთება აზრს არის მოკლებული. იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის კუთხით, სერიოზულ პრობლემაზე მიუთითებს ისიც, რომ პოლიტიკური პარტიები მხოლოდ არჩევნების წინ ცდილობენ ყველა საკითხსა და სეგმენტს მიედ-მოედონ. მემარცხენე პარტიების ნაწილს სურს, რომ მათ მხარს ბიზნესი უჭერდეს, სწორედ ამის გამო მათთან საკუთარ თავს ვერც მუშა და ვერც რომელიმე სოციალური ჯგუფი აიგივებს. მაგალითად, ტერმინი „იბერია გაბრწყინდება“ ვერ გამოხატავს ვერცერთი სოციალური ჯგუფის ღირებულებებს. მეტიც, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული და გამოხატული საგარეო, ეკონომიკური და სოციალური პროგრამები. მხოლოდ არჩევნების წინ გააქტიურების ტენდენცია ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ღირებულებების ნაცვლად ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც, პოპულისტურ განცხადებებს ენიჭება. დიდ ბრიტანეთში არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში პოლიტიკური პარტია სწორედ იმ რეგიონებში იწყებს მუშაობას და კვლევის ჩატარებას, რომელშიც საკმარისი ხმები ვერ მოიპოვა, საქართველოში ამგვარი გამოცდილება საკმაოდ მწირია. იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთისთვის პარტიას ესაჭიროება ფინანსური რესურსები და სათანადო ინტელექტუალური პოტენციალი, რაც საქართველოს პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს

პოლიტიკური პარტიების ნაწილი პოპულიზმითა და ეთნიკური ნაციონალიზმით ნაკარნახევი რიტორიკით კვებავს ამომრჩეველს იდეოლოგიური კომპასით გათვალისწინებული ღირებულებების გადაცემის ნაცვლად. *[ინტერვიუ ლევან ლორთქიფანიძესთან].* მიუხედავად ამისა, აღნიშნული ბრალეულობა მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური პარტიების დამსახურება არ არის, რადგან იდეოლოგიური შეხედულებების კუთხით, თავად ამომრჩეველსაც საკმაოდ მწირი ცოდნა აქვს. არჩევნების პერიოდში მოსახლეობა არჩევანს პარტიის ღირებულებითი კომპონენტის ნაცვლად ადგილობრივი ელიტისადმი ლოიალობის, საარჩევნო დაპირებების, პირადი სოციალური ქსელებისა და მემკვიდრეობის სასარგებლოდ აკეთებს. შესაბამისად, საქართველოში მყარი იდეოლოგიური (ღირებულებითი) კავშირი პოლიტიკურ პარტიასა და ამომრჩეველს შორის სამწუხაროდ, რომ არ არსებობს. (სიჭინავა & ხუნდაძე, 2018).

საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ამომრჩევლის მხრიდან იდეოლოგიური გაურკვევლობის ფაქტზე მიუთითებს საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის ცხრილი, რომლის მიხედვითაც 2020 წლის აგვისტოს მონაცემებით გამოკითხულთა 40% (უმრავლესობა) თვლიდა, რომ არ იცოდა რომელ პოლიტიკურ პარტიას მისცემდა ხმას შემდეგ დღეს საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარებულიყო. ქართული ოცნების სასარგებლოდ გამოკითხულთა 17%-მა, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ მხოლოდ 5%-მა მისცა ხმა. როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობაში პოლიტიკური პარტიებისადმი მხარდაჭერის აშკარა დეფიციტი არსებობს და ის მათ შორის, პოლიტიკური პარტიების მხრიდან იდეოლოგიური პროფილის გამოკვეთის პრობლემასაც უკავშირდება. მიუხედავად ამისა, პარტიათა იდეოლოგიურ პროფილს თავად ამომრჩეველიც არ იცნობს კარგად, აქიდან, ბრალეულობა ამგვარ მოცემულობაში ორივე მხარეს მიუძღვის. გარდა ამისა, როდესაც იდეოლოგიური კუთხით ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების შედარება მოხდა, ეკონომიკური ღირებულებებიდან მათ შორის მხოლოდ 4 საკითხზე დაფიქსირდა განსხვავებული პოზიციები, როცა ორივე პარტია ერთმანეთისგან წესით, რადიკალურად უნდა განსხვავდებოდეს. ეთნიკური უმცირესობების უფლებების კუთხით, რომ მათ საკუთარ ენაზე მიეღოთ სახელმწიფო მომსახურებები გაირკვა, რომ ქართულ ოცნებას

ლიბერალური პოზიციები ჰქონდა, ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, კონსერვატიული. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტის ერთ-ერთი ცხრილის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას გარკვეული საკითხების მიმართ ცხადი პოზიცია არ გააჩნია, მაგალითად, ასეთ თემატიკას წარმოადგენს საარსებო მინიმუმზე ნაკლები ყოველთვიური ხელფასის გადახდა, რომელიც კანონით უნდა იკრძალებოდეს. როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე და ცენტრისტული პარტიების პოზიციები ამ საკითხთან დაკავშირებით გაურკვეველია. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ იდეოლოგიას რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდეს, საქართველოს პოლიტიკური პარტიები გარკვეული საკითხების მიმართ მკაფიო პოზიციებს დააფიქსირებდნენ. როგორც ჩანს, პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებში იდეოლოგიური კუთხით პარტიათა მემარცხენე-მემარჯვენედ დაყოფა არ ფუნქციონირებს ისე, როგორც მაგალითად, დასავლეთის დემოკრატიებში. სტაბილური პოლიტიკური სისტემის მხოლოდ მცირედი გამოცდილების გათვალისწინებით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ საქართველოს პარტიულმა კულტურამ დასავლეთის სახელმწიფოების მსგავსად იმუშაოს, მაგრამ გაუგებარია აღნიშნული პრობლემის იგნორირება, რადგან თანმიმდევრული იდეოლოგიის გარეშე პოლიტიკური პარტიები ღირებულებებს იქნებიან მოკლებულნი. თუკი ამომრჩეველს ვერ ექნება განსხვავებულ ღირებულებებს შორის არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა ის გადაწყვეტს, რომ არჩევანი საერთოდ არ გააკეთოს. იდეოლოგიური თანმიმდევრულობის კუთხით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები არჩევნებიდან არჩევნებამდე გარკვეულ პოზიციებს რადიკალურად იცვლიან და ე.წ. „ხტუნაობის“ (Leapfrogging) პრაქტიკას მიჰყვებიან. შედეგად, აღნიშნული პრაქტიკის დამსახურებით, პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლის თვალში სიცხადესა და უპირატესობას კარგავენ. (საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, 2021, გვ. 35). გამოდის, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები საკუთარ ინტერესებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოციალური ჯგუფებისას, ამას NDI[25]-ს მიერ 2018 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვაც ადასტურებს. (კახიშვილი, 2019, გვ. 5).

[25] National Democratic Institute

ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებში იდეოლოგიური კრიზისის არსებობა მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი, მსოფლიო მასშტაბით, მის მთავარ გამომწვევ მიზეზს მაინც, პოლიტიკური ველიდან გარკვეული სოციალური ფენების გაქრობა წარმოადგენს, რადგან იდეოლოგია თავისი არსით, გულისხმობს ღირებულებათა სისტემას, რომელსაც გარკვეული ჯგუფი, სოციალური კლასი აღიარებს, მაგრამ რიგ ქვეყნებში აშკარად შეინიშნება საზოგადოების ჰომოგენიზაციის პროცესი, ხოლო მისი დამსახურებით რთულია თავად პოლიტიკურმა პარტიებმაც გამოკვეთონ განსხვავებული იდეოლოგიური პროფილები, შესაბამისად, ისინი სხვა ფაქტორების მიხედვით იწყებენ მოქმედებას. როგორც ჩანს, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა განაპირობებს პარტიათა იდეოლოგიურ თანმიმდევრულობას და არა პირიქით. საზოგადოების ატომიზაციის (გათქვეფის) პირობებში პოლიტიკური პარტიები იდეოლოგიური ღირებულებების მიხედვით მოქმედების ნაცვლად მარკეტინგულ საშუალებებს იყენებენ და ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ იმ გზავნილებზე, რომლებიც საზოგადოებაში პოპულარული და გამარჯვების მომტანი იქნება. საქართველოში პოლიტიკური პარტიების უმრავლესობის ჩამოყალიბება სოციალური ფაქტორების გაანალიზების გარეშე ხდება, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე პარტიათა დღის წესრიგში სოციალური ჯგუფების პრობლემების მაგივრად კოლოსალური მნიშვნელობა საგარეო პოლიტიკის საკითხებს ენიჭება. *[ინტერვიუ ლევან ლორთქიფანიძესთან].*

დასკვნა

ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ურთიერთობათა შესწავლის პროცესში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ეროვნული პოლიტიკური პარტიების ევროპარტიებში გაერთიანების პროცესი და იმის დადგენა, თუ აღნიშნული პროცესი რა გავლენას ახდენდა ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიური პროფილის განვითარებაზე. თავის მხრივ, ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარება მხარეთა შორის იდეოლოგიური თანხვედრის საკითხს უკავშირდება, რადგან იდეოლოგიური თანხვედრის დამსახურებით მხარეები პრინციპების დონეზე ერთმანეთთან ჰარმონიაში არიან. მიუხედავად ამისა, პრინციპებისა და იდეოლოგიური კომპასის კუთხით ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მაინც, ევროპის სახალხო პარტიასა (EPP) და „ALDE"-ს (ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის) შორის შესაძლოა განთავსდეს. რაც შეეხება ქართულ ოცნებას, მისი და ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი დღემდე საკმაოდ ცუდად გამოიყურება, რადგან თავის დროზე, 2015 წელს, როდესაც ქართული ოცნება ევროპის სოციალისტურ პარტიაში დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსით გაწევრიანდა, ის ჯერ კიდევ კოალიციას წარმოადგენდა და იდეოლოგიური კუთხით საკმაოდ ჭრელი ერთობა იყო. აქიდან, ეროვნული პოლიტიკური პარტიების ევროპარტიებში გაწევრიანება იდეოლოგიური თანხვედრის საკითხს უკავშირდება, რომელიც მხარეთა შორის იდეოლოგიური პროფილის განვითარებას უწყობს ხელს, მაგრამ ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში იდეოლოგიური თანხვედრის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს დიდი ისტორიული გამოცდილება ჰქონდათ, რათა დროთა განმავლობაში მათ პოლიტიკურ პარტიებს მკაფიო იდეოლოგიური პროფილები ჩამოეყალიბებინათ. საქართველოს შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების მხრიდან იდეოლოგიური პროფილის არათუ განვითარება, ჩამოყალიბებაც ვერ მოხერხდა რიგი ფაქტორების, მათ შორის, დაბალი პარტიული ინსტიტუციონალიზაციისა და კულტურის, ამასთანავე, მაღალი პერსონიფიცირებისა და განუვითარებელი

შიდაპარტიული დემოკრატიის გამო. შესაბამისად, საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს თანმიმდევრული იდეოლოგიური პოზიციები არ აქვთ, რაც ევროპარტიებთან თანამშრომლობასა და იდეოლოგიური პროფილის განვითარებას აფერხებს. საეჭვოა, რომ თავად ევროპარტიების მხრიდანაც იდეოლოგიური თანხვედრისა და პროფილის განვითარების საკითხებს ენიჭებოდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მათ გარდა დღის წესრიგში დგას ინტერპერსონალური კავშირების, საპარლამენტო სტატუსის, ლოიალობა/ნდობისა და სანდო ინფორმაციის გადაცემის საკითხები. შესაბამისად, იდეოლოგიური პროფილის განვითარების საკითხი უფრო მეტად, ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან უნდა იქნას ინიცირებული, რადგან ევროპის სახალხო პარტიასა (EPP) და ევროპის სოციალისტურ პარტიას (PES) ეროვნული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარების გარდა, უამრავი სხვა საკითხი აქვთ მოსაწესრიგებელი. იქიდან გამომდინარე, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები იდეოლოგიური თანმიმდევრულობის კუთხით რიგი გამოწვევების წინაშე დგანან, ევროპარტიების მხრიდან იდეოლოგიური პროფილის განვითარება ვერ ხერხდება, რადგან მის გარდა პარტიული კულტურისა და სისტემის ფუნქციონირების საკითხები არის მოუწესრიგებელი. **საკვლევი კითხვიდან** (რა გავლენას ახდენს ევროპარტიებში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე?) გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპარტიებში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს. დიმიტრი ცქიტიშვილთან, ქართული ოცნების ყოფილ წევრთან ჩატარებული ინტერვიუთი დადგინდა, რომ ქართულ ოცნებაში არსებობდა მოლოდინი, თითქოს ევროპის სოციალისტურ პარტიაში გაწევრიანებით ეროვნული პარტიის იდეოლოგიური პროფილის კორექტირება მოხდებოდა, მაგალითად, ისეთ საკითხებში, რომლებშიც ქართულ ოცნებას ბოლომდე სოციალისტური შეხედულებები არ ჰქონდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამის გამომწვევი მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ ურთიერთობათა პროცესში მხარეთა შორის სხვა ფაქტორებს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგალითად, ძალთა ბალანსის შემობრუნებას ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპის სახალხო პარტიის

საწინააღმდეგოდ, შესაბამისად, ქართული ოცნებისა და ევროპის სოციალისტური პარტიის სასარგებლოდ. ლევან კახიშვილთან, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსთან ჩატარებული ინტერვიუთი გაირკვა, რომ ევროპარტიები მართლაც ცდილობენ ეროვნული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილის განვითარებას, მაგრამ საეჭვოა, რომ ევროპარტიები თანამშრომლობისას მხოლოდ მას ანიჭებდნენ გადამწყვეტ მნიშვნელობას, რადგან მათთვის ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების გავლენა და წარმატების ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იდეოლოგიური პროფილის დახვეწის საკითხი. დამატებით, ლევან ბეჟაშვილთან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრთან ჩატარებული ინტერვიუთი გაირკვა, რომ იდეოლოგიური პროფილის განვითარების საკითხი თავად ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან უნდა იყოს ინიცირებული, რადგან ევროპარტიებს მასზე ზრუნვის გარდა უამრავი სხვა საკითხი აქვთ მოსაწესრიგებელი. რაც შეეხება **ჰიპოთეზას**, (რაც უფრო იზრდება იდეოლოგიური თანხვედრა, მით უფრო იზრდება ევროპარტიაში ეროვნული პოლიტიკური პარტიის გაერთიანების ალბათობა, რაც ზრდის პარტიების იდეოლოგიური პროფილის დახვეწის შესაძლებლობას) გამოდის, რომ **ის არ დადასტურდა,** რადგან იდეოლოგიური თანხვედრის გარდა ეროვნული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ევროპარტიებში გასაწევრიანებლად და მათი იდეოლოგიური პროფილის განსავითარებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერპერსონალურ კავშირებს, საპარლამენტო სტატუსს, ლოიალობა/ნდობას და სანდო ინფორმაციის ნაკადსაც. შესაბამისად, იდეოლოგიური თანხვედრა არ წარმოადგენს ერთადერთ ფაქტორს, რათა ეროვნული პოლიტიკური პარტიები ევროპარტიებში გაერთიანდნენ და მათი იდეოლოგიური პროფილი დახვეწილი იყოს. რაც შეეხება მხარეთა შორის თანამშრომლობის განვითარების მოტივებს, ევროპარტიები ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებთან, მათ შორის საქართველოს პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას საერთაშორისო დონეზე გავლენის გაზრდის, პარტიული პოლიტიკის ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკასთან დაკავშირებით ინფორმირებულობის შენარჩუნების, პოლიტიკური სისტემის ევროპეიზაციის, ევროპის კავშირთან ინტეგრაციის, ეროვნულ დონეზე ევროპული ღირებულებების შეტანისა და სხვა

ფაქტორების გამო იწყებენ. საწინააღმდეგოდ, ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან ევროპარტიებთან თანამშრომლობის განვითარება უფრო მეტი მიზეზით აიხსნება, მათ შორის, შიდა ლეგიტიმაციითა და საერთაშორისო აღიარებით, სანდოობის გამოკვეთით, რეპუტაციის ამაღლებით, პარტიული მოუმწიფებლობის კომპენსირებით, პარტიული იდენტობის განსაზღვრით, ევროპულ ოჯახთან კუთვნილების დადასტურებით, ევროპის კავშირში გაწევრიანებით, დამატებითი არხების მოძიებით, ძალთა ბალანსის ცვლილებით, გეოპოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებით, ევროპარლამენტში ლობირების გაძლიერებით, მმართველ პარტიაზე გავლენის მოხდენით, ახალგაზრდული ფორუმების მოწყობით, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებით და სხვა. ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) გაერთიანების შესასწავლად მნიშვნელოვანია მაქსიმალური ობიექტურობის შენარჩუნება, რომელიც შესაძლებელია არამარტო ქართული პოლიტიკური პარტიების, არამედ ევროპარტიების პრობლემებზე ყურადღების გამახვილებით. მაგალითად, ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) პრობლემებიდან აღნიშვნის ღირსი იყო მისი ურთიერთობა ღიად ჰომოფობიურ და პრორუსულ, ულტრამემარჯვენე პარტია „დვერ“-თან (The Serbian Movement “DVERI”), ამასთანავე, ევროპარტიის გადაწყვეტილება, რომ ურთიერთობები მის რუმინულ ფილიალთან (The Democratic Party, DEMOKRATSKA STRANKA) შეჩერებულიყო, მანამ სანამ პარტია თავის ერთგულებას არ დაადასტურებდა კანონის უზენაესობისადმი. მიუხედავად ამისა, ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) პრობლემებიდან თავისი მასშტაბით მაინც, „კატარგეიტის სკანდალი“ გამოირჩევა, რომლის გამოც ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, ევა კაილი (S&D) დააკავეს. ევროპის სახალხო პარტიის (EPP) შემთხვევაში, აღსანიშნავი იყო მისი პრობლემები “Forza Italia”-სთან, რომელიც იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონის სახელს უკავშირდება, რადგან მისი მისამართით არაერთი ბრალდება გაისმა არასრულწლოვანთა პროსტიტუციისა და მოწმეების მოსყიდვასთან დაკავშირებით. დამატებით, ევროპის სახალხო პარტიასთან აფილირებული იყო უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის პოლიტიკური პარტია „ფიდესი“ (FIDESZ – HUNGARIAN CIVIC ALLIANCE), რომელსაც 2019 წელს ჯერ ევროპის სახალხო პარტიის წევრობა

შეუჩერდა, ხოლო 2021 წელს მას ევროპარტიის დატოვება ოფიციალურად მოუწია. ამგვარი გადაწყვეტილება დიდწილად გამოწვეული იყო ვიქტორ ორბანის ევროსკეპტიკური განცხადებებით, მათ შორის, ზოგჯერ მიგრაციული კრიზისისა და „სოროსის იმპერიასთან“ ბრძოლის სახელით. აქიდან გამომდინარე, ობიექტურობის შესანარჩუნებლად დაუშვებელია საკითხის იმგვარად ფორმულირება, თითქოს მხარეთა შორის მხოლოდ ქართული პოლიტიკური პარტიები იყვნენ დამნაშავენი, რადგან როგორც ჩანს, თავად ევროპარტიებიც დგანან რიგი გამოწვევების წინაშე. ქართული პოლიტიკური პარტიების იმ გამოწვევებს შორის, რომლებიც ევროპარტიებთან თანამშრომლობის განვითარებასა და იდეოლოგიური პროფილის დახვეწას აფერხებენ არის ინსტიტუციონალიზაციის საკითხი, პერსონიფიცირების პრობლემა და იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის საკითხი. დაბალი ინსტიტუციონალიზაციისა და მაღალი პერსონიფიცირების დამსახურებით ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის დამახასიათებელია სუსტი პარტიული კადრების არსებობა და მიჯაჭვულობა ქარიზმატული ლიდერისადმი, ხოლო იდეოლოგიის ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთის კუთხით ქართული პოლიტიკური პარტიები არათუ სოციალური ჯგუფების, არამედ საკუთარი ინტერესების გამტარად გვევლინებიან, მეტიც, თავად ამომრჩეველიც არ იცნობს კარგად პარტიათა იდეოლოგიას, რადგან ღირებულებებთან შედარებით დიდი მნიშვნელობა მაინც, ქარიზმატული ლიდერის განცხადებებსა და დღის წესრიგს ენიჭება. აღნიშნული პრობლემების დამსახურებით, საქართველოს პარტიული ისტორიის გათვალისწინებით, ეროვნული პოლიტიკური პარტიები სწრაფად იქმნებოდნენ და სწრაფადვე იშლებოდნენ, რადგან პარტიიდან ქარიზმატული ლიდერის წასვლის ან ხელისუფლების ცვლილების შემდეგ თავად პარტიის არსებობის ბედი ეჭვის ქვეშ დგებოდა. დასახელებული ფაქტორი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ღირებულებების ნაცვლად საქართველოს პოლიტიკური პარტიები სხვა საკითხებს უფრო ანიჭებენ უპირატესობას. შესაბამისად, პარტიათა იდეოლოგიური პროფილის განვითარება ჯერ ადგილობრივი, ეროვნული დონიდან უნდა დაიწყოს, რაც თავის მხრივ, ევროპარტიების მხრიდან მეტ დაინტერესებას გამოიწვევს. საკვლევი თემიდან გამომდინარე, **თეორიული ჩარჩოს** კუთხით გამოყენებული იყო ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ინსტიტუციური ნორმები,

წესები და რესურსები აყალიბებდნენ ეროვნული აქტორების ქცევას. მართლაც, ევროპარლამენტი, ისევე როგორც ევროპის კავშირი მოწოდებულია იმისკენ, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების ქცევები ჩამოაყალიბოს, რაც გამოიხატება მაგალითად, ევროპული ღირებულებების გადაცემაში. რაც შეეხება თავად ეროვნული პოლიტიკური პარტიების ქცევათა ჩამოყალიბებას, ისინი ევროპარტიებში გაწევრიანებას ევროპის კავშირში ინტეგრაციის წინაპირობად განიხილავენ. ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული საკითხის კვლევისას გარკვეულ შეზღუდვებს გადავაწყდით. მაგალითად, **კვლევის ლიმიტს** წარმოადგენდა ის, რომ ვერ მოხერხდა ინტერვიუს ჩატარება თავად ევროპარტიების (ევროპის სახალხო პარტია, ევროპის სოციალისტური პარტია) წარმომადგენლებთან, რაც თავის მხრივ, კვლევის რეპრეზენტატულობაზე უფრო დადებითად აისახებოდა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კვლევის სანდოობას ექპერტული შერჩევის საფუძველზე ჩატარებული ინტერვიუები და სამეცნიერო ნაშრომები ამყარებენ.

ბიბლიოგრაფია

1. Bader, M. (2010). *Aiding Political Parties in Georgia and Ukraine.* Amsterdam University Press, University of Amsterdam.
2. Banks, M. (2016). *PES blasted for affiliation with far-right Serbian party.* https://www.theparliamentmagazine.eu/news/article/pes-blasted-for-affiliation-with-farright-serbian-party
3. Batsikadze, N. (2022). *Internal Democracy in Georgian Parties.* Uppsala University.
4. Baume, M. (2021). *Orban's Fidesz quits EPP group in European Parliament.* https://www.politico.eu/article/epp-suspension-rules-fidesz-european-parliament-viktor-orban-hungary/
5. Benashvili, M. (2020). *The Issue of Institutionalization of Political Parties in Post-soviet Georgia.* Journal of Development Studies.
6. Bressanelli, E. (2014). *EUROPARTIES AFTER ENLARGEMENT, ORGANIZATION, IDEOLOGY AND COMPETITION.* Palgrave Studies in European Union Politics. University of London, UK.
7. Chedia, B. (2014). *THE PARADIGM OF POST- SOVIET POLITICAL LEADERSHIP IN GEORGIA.* Central Asia and the Caucasus. Volume 15, Issue 3.
8. Chryssogelos, A. (2020). *EUROPARTIES IN THE NEIGHBOURHOOD: HOW TRANSNATIONAL PARTY POLITICS BIND EASTERN EUROPE AND THE WESTERN BALKANS TO THE EU.* Robert Schuman Centre for Advanced Studies. London Metropolitan University.
9. Dobordjginidze, E. (2022). *GD Chair says EPP follows wrong principles.* https://1tv.ge/lang/en/news/gd-chair-says-epp-follows-wrong-principles/
10. Ferens, B. (2021). *The International power of Europarties.* https://www.ips-journal.eu/topics/european-integration/the-international-power-of-europarties-5193/
11. Fox, B. & Michalopoulos, S. (2023). *Concerns over EPP chief's leadership style, second salary.* https://www.euractiv.com/section/politics/news/concerns-over-epp-chiefs-leadership-style-second-salary/

12. Fox, B. & Vasques, E. (2022). *Discourse has moved to the left, but socialists keep on losing.* https://www.euractiv.com/section/politics/news/discourse-has-moved-to-the-left-but-socialists-keep-on-losing/
13. Gastol, B. (2017). *Are the Europarties Real Political Parties? National Parties Involvement in Multi-level Structures of European Political Parties.* Jagiellonian University, Krakow, Poland.
14. Getsadze, T. (2013). *Role of Ideology in Georgian politics.* https://cafebabel.com/en/article/the-role-of-ideology-in-georgian-politics-5ae008cdf723b35a145e4237/
15. Gotev, G. (2023). *Leading MEP excluded from the Bulgarian socialist party.* https://www.euractiv.com/section/elections/news/leading-mep-excluded-from-the-bulgarian-socialist-party/
16. Hodler, S. (2022). *EPP Resolution Urges Eu and Democratic Partners to Sanction Ivanishvili.* https://georgiatoday.ge/epp-resolution-urges-eu-and-democratic-partners-to-sanction-ivanishvili/
17. Kartozia, M. (2022). *PES congress resolution backs Georgia's EU perspective.* https://1tv.ge/lang/en/news/pes-congress-resolution-backs-georgias-eu-perspective/
18. King, T. (2019). *How the EPP lost its way.* https://www.politico.eu/article/european-people-party-manfred-weber-how-the-epp-lost-its-way/
19. Kreko, P. (2021). *Fidesz's Exit from the European People's Party Will Diminish Hungary's Influence in the EU.* https://www.institutmontaigne.org/en/expressions/fideszs-exit-european-peoples-party-will-diminish-hungarys-influence-eu
20. Lavrelashvili, T. (2016). *Europarties & the Unused Potential of Cross-Party Partnership.* http://gtarchive.georgiatoday.ge/news/4483/Europarties-&-the-Unused-Potential-of-Cross-Party-Partnership-
21. Lavrelashvili, T. (2017). *Georgian Parties and the "Euro-Parties" Cooperation, Achievements and Challenges.* https://gfsis.org.ge/events/blog/view/770
22. Lavrelashvili, T. (2021). *GEORGIAN PARTIES ABROAD: NARRATIVE VERSUS REALITY.* KU Leuven. https://www.cambridge.org/core/journals/ps-political-science-

and-politics/article/abs/georgian-parties-abroad-narrative-versus-reality/91DC5AA3E44D28F98F650C02F4754DBC

23. Lavrelashvili, T. (2022). *The European People's Party (EPP) Engagement with its Sister Parties in Serbia and Georgia.* KU LEUVEN, FACULTEIT SOCIAL WETENSCHAPPEN.
24. Macek, L. (2021). *HISTORY OF A BREAKDOWN: FIDESZ'S DEPARTURE FROM THE EPP GROUP AT THE EUROPEAN PARLIAMENT.* https://institutdelors.eu/en/publications/chronique-dune-rupture-le-depart-du-fidesz-du-groupe-ppe-au-parlement-europeen/
25. Mathiesen, K. (2023). *EU corruption scandal a socialist problem conservatives boss Claims.* https://www.politico.eu/article/qatargate-eu-corruption-scandal-a-socialist-problem-conservatives-boss-claims/
26. Melikidze, G. (2016). *WEAK INSTITUTIONALIZATION OF PARTY SYSTEM: QUALITATIVE RESEARCH OF GEORGIAN PARTY SYSTEM.* Department of the Political Science, Tbilisi State University.
27. Mierzejewski, M. (2014). *When the Colors Fade: Party Politics, Institutionalization, and Democratization in Ukraine and Georgia.* University of Illinois at Chicago.
28. Nikoleishvili, L. & Kiknadze, T. (2020). *PECULIARITIES OF THE PHENOMENON OF POLITICAL LEADERSHIP IN POST-SOVIET GEORGIA.* International Journal of Innovative Technologies in Social Science. Legal and Political Science.
29. Northouse, P. (2010). *LEADERSHIP, THEORY AND PRACTICE, FIFTH EDITION.* SAGE Publications, Inc. London, United Kingdom.
30. Steinmo, S. (2001). *The New Institutionalism.* The Encyclopedia of Democratic Thought, London.
31. Sedlakova, M. (2013). *THE ROLE OF IDEOLOGY IN BOUNDARY MAINTENANCE OF EUROPARTIES.* Central European University, Department of Political Science. Budapest, Hungary.
32. Shagina, M. (2017). *JOINING A PRESTIGIOUS CLUB, Cooperation with Europarties and Its Impact on Party Development in Georgia, Moldova, and Ukraine 2004-2015.* Soviet and Post-Soviet Politics and Society. Vol.172. Ibidem Press, Stuttgart.

33. Tatum, J. (2009). *DEMOCRATIC TRANSITION IN GEORGIA: POST-ROSE REVOLUTION INTERNAL PRESSURES ON LEADERSHIP.* Caucasian Review of International Affairs. Vol. 3. CRIA.
34. Vasques, E. (2022). *Socialists accuse EPP and Renew of normalizing far right.* https://www.euractiv.com/section/politics/news/socialists-accuse-epp-and-renew-of-normalising-far-right/
35. Yadav, P. (2023). *Explained: What is The Qatargate Scandal That Has Shocked Entire Europe.* https://www.indiatimes.com/explainers/news/what-is-the-qatargate-scandal-that-has-shocked-entire-europe-587976.html
36. ბარქაია, ზ. & კვაშილავა, ბ. & გოგოლაძე, ნ. & ქობალია, ი. & ჩხიკვაძე, ი. (2020). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი.* აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (EECMD).
37. ბროლაძე, ა. (2018). *სერგეი სტანიშევი - დღეს თქვენ ცხოვრობთ უფრო თავისუფალი ცხოვრებით, რაც ასევე „ქართული ოცნების“ და მთავრობის მიღწევაა.* https://1tv.ge/news/sergei-stanishevi-dghes-tqven-ckhovrobt-ufro-tavisufali-ckhovrebit-rac-aseve-qartuli-ocnebis-da-mtavrobis-mighwevaa/
38. ზურაბაშვილი, თ. (2022). *რა განაპირობებს პარტიებში ახალგაზრდების დაწინაურებას და მათ წვდომას პარტიული პოლიტიკის შემუშავებაზე.* პოლიტიკის ნარკვევი, გამოცემა #41. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
39. თორაძე, ს. (2020). *ევროპის სოციალისტური პარტია - ვიზიარებთ საერთაშორისო დამკვირვებლების მოსაზრებას, რომ საქართველოში არჩევნები იყო კონკურენტული და დაცული იყო ფუნდამენტური თავისუფლება.* https://1tv.ge/news/evropis-socialisturi-partia-saqartveloshi-archevnebze-maghali-aqtivoba-demokratiis-gadzlierebaze-metyvelebs/
40. კახიშვილი, ლ. (2018). *ევროპის პოლიტიკური პარტიების ფედერაციებში ქართული პარტიების სოციალიზაციის ეფექტები.* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. National Endowment for Democracy.
41. კახიშვილი, ლ. (2019). *ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია: რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და*

როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება? პოლიტიკის დოკუმენტი, გამოცემა NO17. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

42. კახიშვილი, ლ. (2020). *დიდი და პატარა პარტიები საქართველოში: განსხვავდება თუ არა პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები?* პოლიტიკის დოკუმენტი, გამოცემა #23. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
43. კახიშვილი, ლ. & კეშელავა, დ. & პაპავა, გ. & სიჭინავა, დ. (2021). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი.* Friedrich Ebert Stiftung.
44. ლავრელაშვილი, თ. (2019). *ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები - რას ნიშნავს საქართველოსთვის?* https://gfsis.org.ge/ge/blog/view/952
45. მანაგაძე, თ. (2022). *სოზარ სუბარი - „ევროპის სახალხო პარტია“ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწოდებული მესიჯებით ერთ სიტყვასაც არ ახსენებს კანდიდატის სტატუსზე, ნათლად გამოჩნდა, რას აკეთებს პარტია, როცა ევროპაში დადის.* https://1tv.ge/news/sozar-subari-evropis-sakhalkho-partia-nacionaluri-modzraobis-mier-miwodebuli-mesijebit-ert-sityvasac-ar-akhsenebs-kandidatis-statusze-aqedan-natlad-gamochnda-ra/
46. მელიქიძე, გ. (2017). *პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში (მრავალპარტიული საარჩევნო კამპანიის ოცწლიანი გამოცდილების თვისებრივი ანალიზი).* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
47. ნარსია, შ. (2017). *რატომ არის საქართველოში პარტიული სისტემა სუსტად ინსტიტუციონალიზებული?* https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-shota-narsia-partiuli-sistemis-institucionalizacia/28946453.html
48. რამაზაშვილი, თ. (2014). *არმაზ ახვლედიანი ევროპის სოციალისტური პარტიის კონგრესს დაესწრო.* https://reportiori.ge/old/?menuid=2&id=18292
49. რუსიშვილი, ა. (2016). *ქართული პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგია.* https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisufali-sivrtse-akaki-rusishvili-partiebi-da-ideologia/27817485.html

50. სამხარაძე, ნ. (2022). *თანამშრომლობის პრობლემა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში: რას ითხოვს ამომრჩეველი?* პოლიტიკის ნარკვევი, გამოცემა #38. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
51. სამხარაძე, ნ. (2022). *რა სახე აქვს პოლარიზაციას საქართველოში და როგორ გავზომოთ ის?* GIP პოლიტიკის მემორანდუმი, გამოცემა #60. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
52. ქარქაშაძე. თ. (2018). *ქართულ პოლიტიკურ პარტიებს უჭირთ საკუთარი იდეოლოგიური პლატფორმა გამოკვეთონ - კორნელი კაკაჩია.* https://ghn.ge/news/198725-kartul-politikur-partiebs-uchirt-sakutari-ideologiuri-platforma-gamokveton-korneli-kakachia
53. ცქიფურიშვილი, ნ. (2022). *რატომ არ ჩანს „ოცნების“ ევროპული პარტნიორი პარტია.* https://netgazeti.ge/life/614537/
54. ჯალაღონია, თ. (2022). *თეა წულუკიანი - გაუგებარია, რომ პატიმარ სააკაშვილს „ევროპის სახალხო პარტია“ კვლავ მიიჩნევს დიდ დემოკრატად, ამ დროს ის არის ადამიანი, რომელიც არბევდა ხალხს, აწამებდა პატიმრებს ციხეებში.* https://1tv.ge/news/tea-wulukiani-gaugebaria-rom-patimar-saakashvils-evropis-sakhalkho-partia-kvlav-miichnevs-did-demokratad-am-dros-is-aris-adamiani-romelic-arbevda-chvens-khalkhs-scemda-awameb/

დანართი #1

რესპონდენტი - **ლევან კახიშვილი,** საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის არარეზიდენტი ანალიტიკოსი და ბამბერგის უნივერსიტეტის (გერმანია) დოქტორანტი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით.

ინტერვიუს ტიპი და ჩატარების თარიღი - ონლაინ ინტერვიუ, 19 მარტი, 2023.

1. რა როლს თამაშობს ინტერპერსონალური კავშირები ევროპარტიებსა და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობათა განვითარების პროცესში? (00:15)
2. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება სურდეთ ევროპარტიებს ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა? (04:40)
3. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება სურდეთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ევროპარტიებთან თანამშრომლობა? (04:40)
4. როგორ ფიქრობთ, ქართული პოლიტიკური პარტიები იდეოლოგიზირების ნაცვლად რატომ არიან მკაცრად პერსონიფიცირებულნი, ქარიზმატული ლიდერების დღის წესრიგზე დამოკიდებულნი იდეოლოგიის მიხედვით მოქმედების ნაცვლად? (14:00)
5. რას გულისხმობს ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროფილი? (25:34)
6. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე? (26:30)
7. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ევროპარლამენტსა და ევროპარტიებში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაერთიანების პროცესი იდეოლოგიური პროფილის დახვეწის კუთხით წარმოადგენს ინსტრუმენტს, რათა ევროპის კავშირში გაწევრიანებისკენ გადაიდგას პრაგმატული ნაბიჯი? რომ ქართული პოლიტიკური პარტიების ნაწილისთვის, ევროპის კავშირის ინსტიტუტებთან დაახლოება ევროპის კავშირში გაწევრიანების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს? (46:15)

8. როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ საკითხის კვლევა? (52:55)
9. რამდენად შეგკამათებიათ ვინმე კვლევასთან ან სტატიასთან დაკავშირებით, რა იყო კონტრარგუმენტები? (53:45)
10. რას დაამატებდით? (55:00)

დანართი #2

რესპონდენტი - **დიმიტრი ცქიტიშვილი,** 2016-2020 წლები - საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

ინტერვიუს ტიპი და ჩატარების თარიღი - ონლაინ ინტერვიუ, 21 მარტი, 2023.

1. ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების გაერთიანების უზრუნველსაყოფად რა კრიტერიუმები უნდა იქნას დაკმაყოფილებული? (02:40)
2. ევროპის სოციალისტურ პარტიასთან დაახლოების მიზნით, რას აკეთებს ქართული ოცნება? (05:43)
3. რა როლს ასრულებს ევროპარტიების მხრიდან ქართული პოლიტიკური პარტიებისადმი დახმარების პროცესი, სემინარები, ვორქშოფები და ფორუმების მოწყობა? (09:07)
4. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება სურდეთ ევროპარტიებს ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა? (13:18)
5. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება სურდეთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ევროპარტიებთან თანამშრომლობა? (13:32)
6. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე? (19:40)
7. როგორ ფიქრობთ, ქართულ და ევროპულ პარტიებს შორის ურთიერთობებს რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ევროპეიზაციის კუთხით? (23:35)
8. რა პრობლემები არსებობს თავად ევროპარტიებში? (28:36)

9. როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ საკითხის კვლევა? (32:05)
10. რას დაამატებდით? (36:00)

დანართი #3

რესპონდენტი - **ლევან ლორთქიფანიძე,** პოლიტოლოგი, პოლიტიკური პარტიების მკვლევარი, მწვანეთა ახალგაზრდული მოძრაობის დამფუძნებელი.

ინტერვიუს ტიპი და ჩატარების თარიღი - ონლაინ ინტერვიუ, 20 მარტი, 2023.

1. საქართველოს პოლიტიკური პარტიები, ძირითადად, იდეოლოგიურად ერთმანეთის მსგავსნი არიან, რაც ხელს უშლის ამომრჩეველს მკაფიოდ დაინახოს განსხვავება პარტიათა იდეოლოგიურ პროფილებს შორის, როგორ ფიქრობთ, რატომ არსებობს აღნიშნული პრობლემა? (03:40)
2. როგორ ფიქრობთ, ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა რატომ იქმნება ქარიზმატული პიროვნებების (ელიტების) და არა იდეოლოგიის გარშემო? (07:15)
3. საქართველოში რეგისტრირებულია 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტია, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმე არის აქტიურად ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორ ფიქრობთ, რატომ არსებობს აღნიშნული პრობლემა? (11:50)
4. როგორ ფიქრობთ, ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის რატომ არის დამახასიათებელი სუსტი ინსტიტუციონალიზაციის დონე? (17:35)
5. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება საქართველოში პარტიათა უმრავლესობის ჩამოყალიბება სოციალური ფაქტორების გაანალიზების გარეშე? (22:30)
6. როგორ ფიქრობთ, თავად ამომრჩეველი რატომ იცნობს ცუდად პარტიათა იდეოლოგიურ პროფილს? (28:00)
7. როგორ ფიქრობთ, რატომ არიან წარმოდგენილნი ახალგაზრდები საქართველოს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობაში მხოლოდ ნაწილობრივ? (17:52)
8. როგორ ფიქრობთ, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში რატომ გამოიკვეთა მხოლოდ ორი პარტია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება) და დღის წესრიგში დგას მხოლოდ მათი დაპირისპირების საკითხი, ამასთანავე,

რატომ თამაშობენ დანარჩენი პოლიტიკური პარტიები შედარებით, პასიურ როლს? (33:00)

9. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ღირებულებებისა და იდეოლოგიის მიხედვით დაიწყონ მანევრირება? (37:05)
10. როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოში პარტიული პოლიტიკის კვლევა? (44:05)
11. რას დაამატებდით? (49:30)

დანართი #4

რესპონდენტი - **ლევან ბეჟაშვილი,** საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“.

ინტერვიუს ტიპი და ჩატარების თარიღი - პირისპირ ინტერვიუ, 21 აპრილი, 2023.

1. ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების გაერთიანების უზრუნველსაყოფად რა კრიტერიუმები უნდა იქნას დაკმაყოფილებული? (0:15)
2. რა როლს თამაშობს იდეოლოგიური თანხვედრის საკითხი ევროპარტიებსა და ქართული პოლიტიკური პარტიების ურთიერთობათა პროცესში? (4:00)
3. ევროპის სახალხო პარტიასთან დაახლოების მიზნით, რას აკეთებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა? (7:12)
4. რა როლს ასრულებს ევროპარტიების მხრიდან ქართული პოლიტიკური პარტიებისადმი დახმარების პროცესი, სემინარები, ვორქშოფები და ფორუმების მოწყობა? (7:16)
5. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება სურდეთ ევროპარტიებს ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა? (10:36)
6. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება სურდეთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ევროპარტიებთან თანამშრომლობა? (13:05)

7. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს ევროპარტიებში ქართული პოლიტიკური პარტიების გაერთიანების პროცესი მათი იდეოლოგიური პროფილის დახვეწაზე? (15:40)
8. როგორ ფიქრობთ, ქართულ და ევროპულ პარტიებს შორის ურთიერთობებს რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ევროპეიზაციის კუთხით? (26:50)
9. რა პრობლემები არსებობს თავად ევროპარტიებში? (22:35)
10. როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ საკითხის კვლევა? (26:00)
11. რას დაამატებდით? (30:32)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Vladimer Grdzelishvili

The Process of Unification of Georgian Parties in European Parties on the example of Georgian Dream and United National Movement

Master's Program in Political Sciences

The Thesis is done to obtain Master's Academic Degree in Political Sciences

Supervisor: Giorgi Melikidze

Doctor of Political Sciences, Assistant Professor

Tbilisi

2023